

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

მურმან გორგოშაძე

სამართლის ფილოსოფიის საკითხები



გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი 2009

**Shota Rustaveli State University
The Faculty of the Social Sciences, Business and
Jurisprudence
The Jurisprudence Department**

Murman Gorgoshadze

**THE ISSUES OF THE PHILOSOPHY
OF JURISPRUDENCE**

Batumi 2009

ნაშრომში განხილულია სამართლის ფილოსოფიის საგნის, იურიდიული ანთროპოლოგიის, სამართლის ანთროპული საფუძვლების, სამართლის ნიჰილიზმის, სამართლებრივი ცნობიერებისა და სამართლისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სამართალმცოდნეობის სპეციალისტების სტუდენტებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვის.

This work deals with the issues of the subject of the philosophy of jurisprudence, the jurisprudence anthropology, the anthropology bases of the jurisprudence, the jurisprudence nihilism, the jurisprudence mentality, the relationship of the jurisprudence and the state power.

The work is written for the students of the jurisprudence faculties as well as for anyone who is interested in this issue.

redaqtori **guram naWyebia** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

recenzentebi: **akaki yulijaniSvili** – ფილოსოფიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
levan jayeli – სამართლის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Editor: **Guram Natchkebia** – the Doctor of Law, the Professor of Tbilisi State University, the academician of the Academy of Philosophy of Georgia.

Reviewers: **Akaki Kulijanishvili** – the Doctor of Philosophy, the Professor of Tbilisi State University;
Levan Jakeli – the Doctor of Law, the Professor of Batumi State University.

ISBN 978-9941-409-58-5

შინაარსი

შესავალი	9
თავი 1. სამართლის ფილოსოფიის საგანი (პროფესორ ალექსანდრე ვანჩიშვილისებური ხედვა)	
1.1. საკითხის დასმა	13
1.2. სამართლის ფილოსოფიის ფუნქციები	14
1.3. სამართლის ფილოსოფია და ზოგადი ფილოსოფია	16
1.4. სამართლის ფილოსოფია და სამართლის თეორია	17
1.5. სამართლის ენციკლოპედია	19
თავი 2. „იურიდიული ანთროპოლოგიის“ ადგილის საკითხისათვის იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში	
2.1. საკითხის დასმა	22
2.2. „იურიდიული ანთროპოლოგია“ სამართლისმცოდნეობის ახალი დისციპლინა	22
2.3. „იურიდიული ანთროპოლოგია“ პოსტსაბჭოთა სივრცეში	23
2.4. „იურიდიული ანთროპოლოგიის“ საგანი და ადგილი იურისპრუდენციაში	24
თავი 3. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთი საკითხი არისტოტელეს ფილოსოფიაში	
3.1. სახელმწიფოს დანიშნულება	29
3.2. სახელმწიფოს წარმოშობა	30
3.3. სახელმწიფოს ნიშნები	34
3.4. სახელმწიფოს მმართველობის (პოლიტიკური მოწყობის) ფორმები	36
3.5. მონარქია	37
3.6. არისტოკრატია	38
3.7. პოლიტეია (რესპუბლიკა)	39
3.8. ტირანია	39
3.9. ოლიგარქია	40
3.10. დემოკრატია	41
3.11. მმართველობის საუკეთესო ფორმა	42
3.12. მოქალაქეობა	43
3.13. სამართალი	45

3.14. კანონი და კანონმდებლობა	46
3.15. დანაშაული და პასუხისმგებლობა	48
3.16. სასჯელი	50
თავი 4.სამართლის ანთროპული საფუძვლები (აქსიომატური დასაბუთების ცდა)	
4.1. საკითხის დასმა	51
4.2. სამართლის ანთროპული ძირების დამასაბუთებელი ძირითადი აქსიომები	51
4.3. თავისუფლება – სამართლის საფუძველი	61
თავი 5. სამართლის ნიჰილიზმი – სოციალური ნიჰილიზმის ნაირსახეობა	
5.1.„სამართლებრივი ნიჰილიზმი” თუ „სამართლის ნიჰილიზმი”?	64
5.2.ნიჰილიზმის ცნება	65
5.3.ნიჰილიზმი, როგორც ღირებულება	67
5.4.სამართლის ნიჰილიზმის ცნება და ნიშნები	69
5.5.სამართლის ნიჰილიზმის წარმოშობის მიზეზები	72
5.6.სამართლის ნიჰილიზმის გამოვლენის ფორმები	78
თავი 6. იურიდიული პოზიტივიზმის ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები	
6.1.ტერმინი „პოზიტივიზმი”	80
6.2.ტერმინი „იურიდიული პოზიტივიზმი”	80
6.3.პოზიტიური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები	81
6.4.იურიდიული პოზიტივიზმის წარმოშობის მიზეზები	83
6.5.იურიდიული პოზიტივიზმის კონტამდელი წარმომადგენლები	85
6.6.იურიდიული პოზიტივიზმის კონტისდროინდელი წარმომადგენლები	86
6.7.იურიდიული პოზიტივიზმის კონტის შემდგომი წარმომადგენლები	90
6.8.იურიდიული პოზიტივიზმის არსი	94
6.9. სამართლის ინსტრუმენტული ხასიათი	97
6.10.სამართალი, როგორც ვერიფიცირებას დაქვემდებარებული მოვლენა	97
6.11.სამართალი, როგორც რაციონალიზმის განსახიერება	97
6.12.სამართალი, როგორც დოგმა	98
6.13. კანონზე დამორჩილების საკითხი	99
6.14.იურიდიული პოზიტივიზმის ნაკლოვანებები და წინააღმდეგობები	100

6.15.იურიდიული პოზიტივიზმის დადებითი მხარეები	106
6.16.იურიდიული პოზიტივიზმის იდეების გავრცელება და ევოლუცია	109
თავი 7. სამართლებრივი ცნობიერების შინაარსის ძირითადი ელემენტები	
7.1. სამართლებრივი ცნობიერების შინაარსის შემეცნებითი ელემენტები	112
7.2. სამართლებრივი ცნობიერების შინაარსის შეფასებითი ელემენტები	116
თავი 8. სამართალი და ხელისუფლება	
8.1. ხელისუფლების ცნება	119
8.2. ხელისუფლება, ძალა და ნება	122
8.3. სახელმწიფო ხელისუფლების ცნება და განხორციელების საშუალებები	124
8.4. სახელმწიფო ხელისუფლებისა და სამართალის ურთიერთმიმართება	130
8.5. ხელისუფლების სუბიექტი, ობიექტი, რესურსი	132
8.6. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია და ლეგალიზაცია	133
8.7. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი	136
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	142
გამოყენებული ლიტერატურა	144

Contents

Introduction	9
Chapter 1. The object of the jurisprudence sciences (according to Professor Aleksandre Vacheisvili).	
1.1. The essence of the problem	13
1.2. The functions of philosophy of jurisprudence	14
1.3. The philosophy of jurisprudence and the common philosophy	16
1.4. The philosophy of jurisprudence and the theory of the jurisprudence	17
1.5. The encyclopedia of the jurisprudence	19
Chapter 2. The place of “the jurisprudence anthropology” in the system of the jurisprudence sciences.	
2.1. The essence of the problem	22
2.2. “The jurisprudence anthropology” as a new discipline of the jurisprudence	22
2.3. The anthropology of the jurisprudence in the post-soviet countries	23
2.4. The subject and place of “the jurisprudence anthropology”	24
Chapter 3. Some of the issues of the state and the jurisprudence in the philosophy of Aristotle.	
3.1. The aim of the state	29
3.2. The origin of the state	30
3.3. The characteristic features of the state	34
3.4. The forms of the state government (political arrangement)	36
3.5. Monarchy	37
3.6. Aristocracy	38
3.7. Politheia (republic)	39
3.8. Tyranny	39
3.9. Oligarchy	40
3.10. Democracy	41
3.11. The best form of the state government	42
3.12. The citizenship	43
3.13. The jurisprudence	45
3.14. The law and legislation	46
3.15. The penalty	48
Chapter 4. The anthropology bases of the jurisprudence (the attempt of the axiomatic proving).	
4.1. The essence of the problem	51
4.2. The basic proving axioms of the anthropology bases of the jurisprudence	51

4.3. The freedom – the base of the jurisprudence	61
Chapter 5. The jurisprudence nihilism – one of the types of the social nihilism.	
5.1. “The jurisprudence nihilism” or “the nihilism of the jurisprudence”	64
5.2. The concept of the nihilism	65
5.3. The nihilism as the value	67
5.4. The concept of the jurisprudence nihilism and its characteristic features	69
5.5. The origin of the jurisprudence nihilism	72
5.6. The forms of the exposing of the jurisprudence nihilism	78
Chapter 6. The philosophical and jurisprudential aspects of the jurisprudence positivism.	
6.1. The term of “positivism”	80
6.2. The term of “the jurisprudence positivism”	80
6.3. The basic principles of the jurisprudence positivism	81
6.4. The origin of the jurisprudence positivism	83
6.5. The representatives of the jurisprudence positivism before Cont	85
6.6. The representatives of the jurisprudence positivism during Cont	86
6.7. The representatives of the jurisprudence positivism after Cont	90
6.8. The essence of the jurisprudence positivism	94
6.9. The instrumental character of the jurisprudence	97
6.10. The jurisprudence as the phenomena that must be verified	97
6.11. The jurisprudence as the exposition of the rationalism	97
6.12. The jurisprudence as the dogma	98
6.13. The issue of the obeying to the law	99
6.14. The negative aspects and contradictions of the jurisprudence positivism	100
6.15. The positive aspects of the jurisprudence positivism	106
6.16. The spreading and evolution of the jurisprudence positivism	109
Chapter 7. The basic elements of the jurisprudence mentality.	
7.1. The cognitive elements of the jurisprudence mentality	112
7.2. The evaluating elements of the jurisprudence mentality	116
Chapter 8. The jurisprudence and the state power.	
8.1. The concept of the state power	119
8.2. The state power, the force and the will;	122
8.3. The concept of the state power and the instruments of the state power	124
8.4. The relationship of the jurisprudence and the state power	130
8.5. The subject, the object and the resources of the state power	132
8.6. The legitimating and legalizing of the state power	133
8.7. The principle of the distribution of the state power	136
Resume written in the English language	142

შესავალი

თანამედროვე ეპოქის დინამიზმმა, საყოველთაო გლობალიზმის საფრთხემ და ეროვნულ სულთან ეროვნული სამართლის იდენტიფიკაციის აუცილებლობამ, აქტუალური გახადა სამართლის ანთროპული ბუნების ძიება, მისი სულიერი და კულტურული წანამძღვრების კვლევა. აღნიშნული კუთხით სამართლის შესწავლა საბჭოთა სივრცეში ტაბუირებული იყო, რის გამოც სამართლის ფილოსოფიამ, როგორც სასწავლო დისციპლინამ და სამეცნიერო დარგმა, პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა და გამორჩეული ადგილი დაიკავა ფილოსოფიასა და იურისპრუდენციაში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სამართლის არსის წვდომა და სამართლებრივი რეფორმის კონცეფციის ჩამოყალიბება შეუძლებელია სამართლის ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, აქსიოლოგიური და პრაქსიოლოგიური პრობლემების კვლევის გარეშე. ამ სახის კვლევებს კი, დარგობრივი იურიდიული დისციპლინებისაგან განსხვავებით, სამართლის ფილოსოფია ახორციელებს.

თანამედროვე ქართველი მეცნიერ-იურისტები და ფილოსოფოსები აქტიურად იკვლევენ სამართლის ფილოსოფიის პრობლემებს, რითაც აგრძელებენ მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში დამკვიდრებულ სამართლის ფილოსოფიის პრობლემატიკის კვლევის ტრადიციებს.¹

¹ გიორგი ნაწიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა; მისივე, სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციური საფუძვლები, იხ., გიორგი ნაწიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992; იროდიონ სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002; ალექსანდრე ვაჩიშვილი, Kelsen-ის მოძღვრება

იქმნება საინტერესო გამოკვლევებო, სამეცნიერო სტატიებო. რაც გვაფიქრებინებს, რომ ცოცხლდება სამართლის ფუძემდებლური მსოფლმხედველობითი საწყისების, მისი ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური პრინციპებისა და კატეგორიული აპარატის საფუძვლიანი შესწავლის ტრადიცია, ყოველივე ეს უთუოდ შეუწყობს ხელს სამართლის კონკრეტული პრობლემების ეფექტურ შესწავლას.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ავტორის სამეცნიერო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და შედეგებს. მასში თავმოყრილი სტატიების ერთი ნაწილი გამოქ-

სამართალსა და სახელმწიფოზე, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტტ. IX, X, ტფ., 1929,1930 წწ. და სხვა.

² გივი ლოზჟანიძე, ავთანდილ ტუკვაძე, გიორგი ჯაოშვილი, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ., 2006; არსენ ბურჯალიანი, ფილოსოფია, სამართალი, პიროვნება, თბ., 2006; რუსუდან კუტალია, ილია ჭავჭავაძის სამართლებრივ-პოლიტიკური შეხედულებები და სამართლის ფილოსოფია (დემოკრატიის ქართული ნიმუში), თბ.,2004; ჯამბულ ფუტყარაია, სამართლის ფილოსოფია. შესავალი ნაწილი(ძველი სამყარო), თბ., 2006; ბადრი ფორჩხიძე, ომარ მინდაძე, სამართლის ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები, ქუთაისი, 2009 და სხვა.

³ ოთარ გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის // სახელმწიფო და სამართალი, 1990, # 6,7; მისივე, ილია ჭავჭავაძე სამართლებრივი ნიჰილიზმის შესახებ // სამართალი, 1991, # 1,2; გურამ ნაჭყებია, ბრალი, როგორც ფილოსოფიური კატეგორია //ფილოსოფიური ძიებანი, # V, 2001; მისივე, მართლშეგნება, როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი // ფილოსოფიური ძიებანი, # VIII, 2004; მისივე, სამართლის ფილოსოფიის შესაძლებლობის საკითხისათვის // ფილოსოფიური ძიებანი, # IX, 2005; მისივე, ისტორიის ფილოსოფია და სამართლის ფილოსოფია //ფილოსოფიური ძიებანი, # XIII, 2009; გიორგი ხუბუა, სამართლის ფილოსოფიის საგნის საკითხისათვის // კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, თბ., 2002 და სხვა.

ვეყნებულია ქართულ⁴ და უცხოურ⁵ პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ გარკვეული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო მეორე ნაწილი ქვეყნდება პირველად⁶.

ნაშრომში თავმოყრილ თემებს აერთიანებს ერთიანი საგანი – ყველა მათგანი სამართლის ფილოსოფიის კვლევის ობიექტია. შევეცადეთ თემები დაგველაგებინა და გადმოგვეცა ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მათი სასწავლო დანიშნულებით გამოყენებაც.

ვიმედოვნებთ „სამართლის ფილოსოფიის საკითხები“,⁶ წაადგება ქართველ სტუდენტებსა და სამართლის ფილოსოფიით დაინტერესებულ მკითხველს, სამართლის ფილოსოფიის ზოგიერთი პრობლემის განხილვა-გაანალიზების საქმეში.

⁴ ალექსანდრე ვაჩიშვილი სამართლის ფილოსოფიის საგნისა და როლის შესახებ იურისპრუდენციაში // მაცნე, ფილოსოფია, 2007, #1; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთი საკითხი არისტოტელეს ფილოსოფიაში // ფილოსოფიური ძიებანი, 2007, # XI; სამართლის ნიჰილიზმი – სოციალური ნიჰილიზმის ნაირსახეობა // სოციალური ეკონომიკა, 2007, #5; იურიდიული პოზიტივიზმის ფილოსოფიურ-სამართლებრივი ასპექტები // ფილოსოფიური ძიებანი, 2008, # XII; სამართლის ანთროპული საფუძვლები (აქსიომატური დასაბუთების ცდა) // ფილოსოფიური ძიებანი, 2009, # XIII.

⁵ Юридическая антропология в постсоветской образовательной системе Грузии // Археология, этнология и фольклористика Кавказа: Материалы Международной научной конференции «Новейшие археологические и этнографические исследования на Кавказе», Махачкала, 2007 (თანაავტორობით); Определяющие элементы содержания правового сознания // Ленинградский Юридический Журнал, (თანაავტორობით), (ჩაშვებულია დასაბეჭდად).

⁶ „იურიდიული ანთროპოლოგიის“ ადგილის საკითხისათვის იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში; ხელისუფლება და სამართალი.

მადლობას მოვასხენებ წიგნის რედაქტორსა და რეცენზენტებს გაწეული შრომისათვის. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო წიგნის რედაქტორ ბატონ გურამ ნაჭყეების მიმართ, რომლის საქმიანი შენიშვნებისა და სურვილების დიდი ნაწილი გავითვალისწინეთ.

მურმან გორგოშაძე

ბათუმი

25 ივნისი, 2009 წელი

Tavi 1. samarTlis filosofiis sagani

(პროფესორ ალექსანდრე ვაჩეიშვილისებური ხედვა)

1.1.საკითხის დასმა. ალექსანდრე ვაჩეიშვილმა⁷ შექმნა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო სამართლის ზოგად თეორიაში⁸. შევეცდებით ამ ნაშრომზე დაყრდნობით გადმოვცეთ თანამედროვე სამართლის მეცნიერების სწავლების ერთ-ერთი აქტუალური საკითხის⁹ – სამართლის ფილოსოფიის

⁷ ალექსანდრე ვაჩეიშვილი(1886-1964), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე(1946წ.), ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ბრიუსელის, პარიზის და ჟენევის უნივერსიტეტებში. 1912 წელს დამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1922 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტის შუამდგომლობით, მიიწვია იგი სოციოლოგიის ლექტორად, აქედან მოყოლებული, ალ. ვაჩეიშვილი აქტიურად ერთვება საუნივერსიტეტო საქმიანობაში და მრავალმხრივ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა: 1931 წლიდან გარდაცვალებამდე ამავე უნივერსიტეტის პროფესორი და სისხლის სამართლის კათედრის გამგეა; კითხულობს ლექციებს სოციოლოგიაში, სამართლის თეორიაში, სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში. მრავალმხრივია მისი სამეცნიერო შემკვიდრებაც, იგი იკვლევს როგორც სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილის, ასევე სისხლის სამართლის პროცესის, პენიტენციალური სამართლის, ქართული სამართლის ისტორიის, სამართლის თეორიის, სამართლის ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს. მისი ძირითადი ნაშრომებია: „სისხლის სამართლის პროცესი“, ნაწ. I, თბ., 1955; „დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში“, თბ., 1957; „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“, თბ., 1960; „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, ტ. I-III, თბ., 1946-1963 წწ.; „სამართლის ზოგადი თეორია“, ტფ., 1926; „სოციოლოგიის შესავალი“, ტფ., 1923; „Kelsen-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“, (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტტ. IX, X, ტფ., 1929,1930წწ.).

⁸ ალ. ვაჩეიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია, ტფ., 1926.

⁹ საკითხის აქტუალობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიის, სამართლის თეორიისა და სამართლის ფილოსოფიის სწავლების საკითხებს მიემდგნა საერთაშორისო

საგნისა და ადგილის მისეული ხედვა იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში. თავიდანვე შევნიშნავთ, რომ ალ. ვაჩეიშვილის მიერ ოთხმოცი წლის წინათ გამოთქმული შეხედულებები აღნიშნულ საკითხებზე, დღესაც მნიშვნელოვანია.

ალექსანდრე ვაჩეიშვილი მიიჩნევს, რომ დარგობრივი იურიდიული მეცნიერებების შესწავლა და ანალიზი შეუძლებელია ზოგადად იურისპრუდენციის შესახებ ერთიანი ცოდნის ჩამოყალიბების გარეშე. მისი აზრით, ცალკეული იურიდიული დისციპლინების კვლევა-ძიების საგანს სამართლის ცალკეული ნაწილები წარმოადგენს, მაგრამ იურიდიული აზროვნება, როგორც ზოგადად აზროვნების ნაწილი, არ კმაყოფილდება სამართლის ცალკეული ნაწილის შემეცნებით და მის ზოგად შემეცნებასაც მოითხოვს. ამ მიზნით იურიდიული აზროვნება გამოდის ვიწრო კერძო-სამართლებრივი ფარგლებიდან და სამართლის ცალკეული დარგების შემსწავლელი მეცნიერებების მიერ დაგროვებულ მასალაზე დაყრდნობით ქმნის სამართლის ზოგადი ცოდნის სისტემას – სამართლის ენციკლოპედიის, სამართლის თეორიისა და სამართლის ფილოსოფიის სახით¹⁰. სამართლის ზოგადი ცოდნის ამ სისტემაში სამართლის ფილოსოფიას იგი პირველ ადგილს მიაკუთვნებს და აღნიშნავს მის "ღრმა გავლენას" იურიდიულ აზროვნებაზე, განსაკუთრებით მე-17, მე-18 საუკუნეების იურიდიულ აზროვნებაზე.

1.2. სამართლის ფილოსოფიის ფუნქციები. ალ. ვაჩეიშვილი გამოყოფს სამართლის ფილოსოფიის ორ ძირითად ფუნქციას (მიმართულებას) – თეორიულსა და პრაქტიკულს. თეორიულ ფუნქციაში მოიაზრებს სამართლის, როგორც ასეთის, როგორც არსებულის კვლევას, ხოლო პრაქტიკულ ფუნქციაში გულისხმობს სამართლის ფილოსოფიის მიერ იდეალური სამართლის

კონფერენციები და კონგრესები ვარშავაში (1983წ.), მოსკოვში (1985წ.), ბოლონიაში (1995წ.), ზუენოს-აირესში (1997წ.) და სხვა.

¹⁰ ალ. ვაჩეიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია, ტფ., 1926, გვ. 1-2 .

შესახებ ცოდნის დადგენას, ანუ ისეთი სამართლის კვლევას, როგორც უნდა იყოს იგი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორივე მიმართულების მიზანი აპრიორულ მეთოდებზე დაყრდნობით სამართლის იდეალური კრიტერიუმების კვლევა-დადგენაა, მკვლევრის აზრით, ისინი მაინც განსხვავებული გზით განვითარდნენ. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველი მიმართულება, რომელიც ადრინდელი ბუნებითი სამართლით იყო წარმოდგენილი, იკვლევდა "ნორმათა სისტემას", რომლის საშუალებითაც "ვითომ შესაძლო იყო ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება"¹¹. აღნიშნული "ნორმათა სისტემა" იმ დროისათვის არსებული პოზიტიური სამართლისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი არ იყო დროითა და სივრცით შეზღუდული და სამართლის ერთგვარ იდეალს წარმოადგენდა, რომელსაც შექმლებისდაგვარად უნდა დაახლოებოდა პოზიტიური სამართალი და ამდენად, იგი განსაზღვრული შინაარსით იყო წარმოდგენილი. მეორე მიმართულება კი სამართლის იდეალში გარკვეულ შინაარსს არ მოიაზრებდა, იგი კი არ ქმნიდა სამართლის ნორმების შემცველ სისტემას, მის შინაარსს, არამედ ადგენდა სამართლის ფორმალურ კრიტერიუმებს. ამ მიმართულების მიხედვით, სამართლის შინაარსის "ისტორიული პირობების" შესაბამისად ცვალებადების გამო, სამართლის შინაარსზე დაყრდნობით მისი საყოველთაო კრიტერიუმის გამონახვა შეუძლებელი იყო. ამიტომ სამართლის იდეალზე, მის კრიტერიუმზე მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით შეიძლებოდა. სამართლის ფილოსოფია, ალ. ვანეიშვილის შეხედულებით, ამ მეორე მიმართულებით – მარადიული სამართლის პრობლემებისა და სამართლის ზოგადი ფორმების (და არა მისი შინაარსის) კვლევის მიმართულებებით განვითარდა.

¹¹ იქვე, გვ. 3

როგორც აღვნიშნეთ, ალ. ვაჩეიშვილის აზრით, სამართლის ფილოსოფიის ეს ორი მიმართულება აპრიორულ მეთოდებს იყენებს და ამით განსხვავდება სამართლის ფილოსოფია, ასევე ზოგადი ხასიათის იურიდიული ცოდნის დამდგენი დისციპლინისაგან – სამართლის თეორიისაგან, რომელიც ცალკეული იურიდიული მეცნიერებების მიერ "ისტორიულად მოცემული" მასალის ემპირიული კვლევა-ძიების საფუძველზე არკვევს სამართლის საერთო თვისებებს და ამ ემპირიული მრავალსახეობის ანალიზით გამოჰყავს მისი ზოგადი ნიშნები, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ახდენს იურიდიული ცოდნის განზოგადობას. სხვანაირად თუ ვიტყვით, სამართლის თეორიის კვლევის ობიექტი პოზიტიური სამართალია, ანუ სამართალი როგორც გარკვეული სოციალური ინსტიტუტი. ამ თვალსაზრისით სამართლის თეორია შედარებით "გადარბებულია" ფილოსოფიური პრობლემებისაგან და კმაყოფილდება აბსტრაქციის მაღალი დონით.¹²

თავისი დებულების გასამყარებლად ალ. ვაჩეიშვილი მიმართავს ინგლისური ანალიტიკური იურისპრუდენციის ფუძემდებელს ოსტინს და იზიარებს მის თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ კერძო იურიდიული მეცნიერებების გვერდით ადგილი უნა დაეთმოს ზოგად იურიდიულ მეცნიერებას, რომელსაც ოსტინი "ზოგად იურისპრუდენციას", ასევე "დადებითი" (პოზიტიური) სამართლის ფილოსოფიას უწოდებს. ფილოსოფიას იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში, სააზროვნო მასალის განზოგადების ისეთ დონესთან გვაქვს საქმე, რომელსაც არ აინტერესებს მისი პრაქტიკული ღირებულება და მათ განიხილავეს წმინდა თეორიული თვალსაზრისით.

1.3. სამართლის ფილოსოფია და ზოგადი ფილოსოფია.

ალ. ვაჩეიშვილი თვლის, რომ სამართლის ფილოსოფიას იგივე ამოცანები აქვს, რაც ზოგადად ფილოსოფიას, იმ განსხვავებით,

¹² გიორგი ხუბუა, სამართლის ფილოსოფიის საგნის საკითხისათვის, – იხ., კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, თბ., 2002, გვ.30.

რომ სამართლის ფილოსოფია ამ ამოცანებს ასრულებს თავის დარგში, კერძოდ, პოზიტიური სამართლის დარგში. იგი არის მოძღვრება სამართლის პრინციპებისა და სამართლის ღირებულებების შესახებ. სამართლის პრინციპებში შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც სამართლის ძირითადი ცნებები, ისეთები, როგორიცაა უფლება, მოვალეობა, სამართლის შედეგი და სხვა, ასევე ისიც, რაც წინ უსწრებს სამართალს, რისგანაც თვით სამართალია დამოკიდებული. სამართლის პრინციპებს ძირითადი ცნებების მნიშვნელობით, იკვლევს სამართლის ზოგადი თეორია, რომელიც სამართლის ფილოსოფიის სუროგატი. სამართლის ფილოსოფია კი თავისი ნამდვილი მნიშვნელობით იკვლევს სამართლის დაფუძნების საფუძვლებს. ვისაც სურს სამართლის, როგორც მთლიანობის, შეცნობა, უნდა ეძიოს თავისი საგანი უფრო ფართო სფეროში. იმ სფეროში, სადაც სამართალი შეადგენს მხოლოდ ნაწილს. ასეთ ფართო სფეროს წარმოადგენს სოციალური და კულტურული ფილოსოფია. სამართლის ძირითადი ცნებები ამოღებულ უნდა იქნას ზოგადი კულტურული პროცესიდან. სამართლის შემადგენლობაში შედის როგორც საზოგადოების, ასევე კულტურის ელემენტები და, მაშასადამე, სამართლის შესახებ ზოგადი ცოდნის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სოციალურ და კულტურულ ფილოსოფიასთან, სამართალი აქ პოულობს თავის დაფუძნებას, ამიტომ, ალ. ვანგიშვილის აზრით, ამ როლს ვერ შეასრულებს სამართლის ზოგადი თეორია. ეს ფუნქცია ცალსახად სამართლის ფილოსოფიამ, როგორც დარგობრივმა ფილოსოფიამ, უნდა იკისროს.

1.4. სამართლის ფილოსოფია და სამართლის თეორია.

ალ. ვანგიშვილი არ ეთანხმება მერკერის, როგენის, პიკარის და სხვების მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ სამართლის ფილოსოფიას შეუძლია იარსებოს მხოლოდ სამართლის ზოგადი თეორიის სახით და მისი შესწავლის საგანი არსებული, პოზიტიური სამართალია. მერკერი სამართლის ფილოსოფიას,

სამართლის შემსწავლელი მეცნიერებების საერთო სისტემაში, უთმობს იმავე ადგილს, რა ადგილიც ცალკე იურიდიულ მეცნიერებებში უჭირავს მათ ზოგად ნაწილებს. სამართლის ზოგადი თეორიის საფუძვლები, მერკერის აზრით, უკვე მოცემულია სპეციალურ იურიდიულ მეცნიერებებში. მაგ., სისხლის სამართალი იძლევა დანაშაულისა და სასჯელის ზოგად ცნებებს, ასევე სამოქალაქო სამართალი იძლევა თავის ძირითად ზოგად ცნებებს. საჭიროა ისეთი მეცნიერების შექმნა, რომელიც შეაერთებს ერთ მთლიანობაში იმას, რაც მოცემულია სპეციალური მეცნიერებების ზოგად ნაწილებში. ამ ამოცანას ასრულებს სამართლის ზოგადი თეორია. მხოლოდ ამ მნიშვნელობითაა შესაძლებელი, მერკერის აზრით, სამართლის ფილოსოფია¹³. მაშასადამე, ამ შეხედულების მიხედვით, სამართლის ზოგადი თეორია, იგივე, სამართლის ფილოსოფია, იკვლევს ისტორიულად მოცემულ პოზიტიურ სამართალს და შეიმუშავებს მის უზოგადეს ცნებებს. სამართლის ფილოსოფიის საგნისა და როლის ამგვარი გაგება მიუღებელია ალ. ვაჩიშვილისათვის.

ალ. ვაჩიშვილი სამართლის ფილოსოფიის, როგორც სამართლის თეორიისაგან განსხვავებული დისციპლინის აუცილებლობას შემდეგნაირად ასაბუთებს: სამართლის მეცნიერება სპეციალური მეცნიერებაა, რომელსაც, ისევე როგორც სხვა კერძო მეცნიერებებს, თავისი ძირითადი კვლევის საგანი აქვს. სპეციალური მეცნიერება ახდენს თავისი საკვლევი ობიექტის შემეცნებას. იგი ნათელყოფს, თუ როგორ გამოიხატება მისი ძირითადი ცნება (საკვლევი საგანი) კერძო, ცვალებად შემთხვევებში, მაგრამ ყველა სპეციალური მეცნიერება მოითხოვს აგრეთვე სათანადო განზოგადებას, რადგან სპეციალური მეცნიერებების მიერ შესასწავლი ობიექტის სხვადასხვა საგნად დანაწილების მიუხედავად, მათ საგნებს შორის მაინც არსებობს

¹³ ალ. ვაჩიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია, ტფ., 1926, გვ. 6.

საერთო, ზოგადი, რომლის შესწავლა აუცილებელია ამ ზოგადით მოცული ცალკეულის (კონკრეტულის) გასაგებად, ამ ზოგადს სწავლობს ფილოსოფია¹⁴, როგორც ვხედავთ, ალ. ვაჩეიშვილის აზრით, ყველა დარგს თავისი ფილოსოფია აქვს, რომელიც შეისწავლის ცალკეული დარგის წილნაყარობას იმ ზოგადთან, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს და ამით ქმნის ცალკეული დარგის მთლიანობაში შესწავლის შესაძლებლობას.

1.5. სამართლის ენციკლოპედია. სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის თეორიის გარდა, ალ. ვაჩეიშვილი ზოგად იურიდიულ დისციპლინებში განიხილავს აგრეთვე სამართლის ენციკლოპედიას, რომლის საგანისა და ადგილს შესახებ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში, აღნიშნავს, რომ სამართლის ენციკლოპედია არ არის ცალკე აღებული მოძღვრება, "იგი მეცნიერებათა წრეა" და შეადგენს სამართლის მეცნიერებათა შინაარსის მიმოხილვას. თუმცა, შენიშნავს ალ. ვაჩეიშვილი, შელინგისა და ჰეგელის წყალობით სამართლის ენციკლოპედიამ დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების ტენდენცია მიიღო. აღნიშნული ტენდენცია სამართლის ენციკლოპედიის შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შესუსტდა და სამართლის ენციკლოპედიით სამართლის ძირითადი საკითხების გადმოცემა დაიწყო.

ალ. ვაჩეიშვილი მიიჩნევს, რომ სამართლის ენციკლოპედიას, როგორც იურიდიული ცოდნის მიმოხილვას, არ აქვს მეცნიერული ნიადაგი, იგი იურიდიული ცოდნის რეზიუმეა და წარმოადგენს შემოკლებულ სახელმწიფო სამართალს, შემოკლებულ სამოქალაქო სამართალს და ა.შ. რის გამოც არ ადგენს ახალ ცოდნას იურიდიული ცოდნის სისტემაში. მაშასადამე, ალ. ვაჩეიშვილის მიხედვით, თეორიული თვალსაზრისით სამართლის ენციკლოპედია არაა გამართლებული.

¹⁴ იქვე, გვ. 8.

პედაგოგიური მოსაზრებით, ალ. ვაჩეიშვილის აზრით, მიზანშეუწონელია სამართლის შესწავლის დაწყება სპეციალური მეცნიერებებით, მაგალითად, სახელმწიფო ან სამოქალაქო სამართლით. ვინაიდან არა მხოლოდ სპეციალური მეცნიერებები, სამართლის ისტორიაც გულისხმობს ზოგადი იურიდიული ცნებების ცოდნას, რადგან ერთიც და მეორეც შექმნილია იურიდიულ ცნებათა ენაზე და ამ ცნებების ცოდნის გარეშე გაძნელება როგორც სპეციალური, ისე ისტორიული დარგების შეწავლა. მაშასადამე, "არსებობს განსაკუთრებული კურსის მოთხოვნები, რომელსაც მოსწავლე შეჰყავს სამართლის სფეროში"¹⁵. ამ მოთხოვნებს, ალ. ვაჩეიშვილის აზრით, ვერ აკმაყოფილებს სამართლის ენციკლოპედია, რადგან იგი სამართლის ყველა დარგის მოკლე მიმოხილვაა, რის გამოც ვერ მოგვცემს სამართლის შესახებ ზოგად ცოდნას, რადგან აქ ცოდნას აქვს ნაწყვეტობის ხასიათი, ნაწილების მოკლედ ცოდნა არ ნიშნავს მთლიანობის ცოდნას. ნაწილების შეერთება, მისი ერთ მთლიანობად ქცევა არ არის მარტივი საქმე, სამართლის ენციკლოპედია ვერ ასრულებს ამ ფუნქციას, მას მოსწავლე ვერ შეჰყავს სამართლის შესწავლის სფეროში. იგი ვერ შეასრულებს ამ როლს იმიტომაც, რომ მას აკლია გამაერთიანებელი წარმოდგენა ერთიანი სამართლის მეცნიერების შესახებ, იგი, როგორც სხვადასხვა მეცნიერებების მიმოხილვა, ვერ იძლევა სამართლის მეცნიერების, როგორც მთლიანობის, შემეცნებას. ამგვარი ამოცანის შერულება მას შეეძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაიწყებს სამართლის ძირითადი, ზოგადი ცნებების შესწავლა-დადგენას, ამ შემთხვევაში იგი სამართლის თეორია იქნება და არა სამართლის ენციკლოპედია. მაშასადამე, ამ როლის შესრულება სამართლის თეორიამ უნდა იკისროს და არა სამართლის ენციკლოპედიამ.

¹⁵ იქვე, გვ. 11.

მაშასადამე, აღ. ვაჩეიშვილი ზოგად იურიდიულ დისციპლინებს – სამართლის ფილოსოფიას, სამართლის თეორიას და სამართლის ენციკლოპედიას ორგვარ ამოცანას უსახავს: პირველი, მათ უნდა შექმნან ზოგადი ცოდნა, ასე ვთქვათ, თეორიული საფუძველი იურიდიული მეცნიერებების საკვლევად და მეორე, მათ უნდა გაუკაფონ გზა სტუდენტებს იურისპრუდენციის დასაუფლებლად. ზოგად იურიდიულ დისციპლინებს შორის სამართლის ფილოსოფიას მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მიიჩნევს, რომ სამართლის ფილოსოფია სამართალს იკვლევს მისი არსებითი, ფუნდამენტური მახასიათებლების – თავისუფლების, ნების, ადამიანის არსისეული თვისებებიდან, მისი აქტიობიდან გამომდინარე მოვლენას და ადგენს სამართლის ზოგად პრინციპებს და ღირებულებებს, მისი დაფუძნების საფუძვლებს.

Tavi 2. „iuridiuli anTropologiis” adgilis sakiTxisaTvis iuridiul mecnierebaTa sistemaSi

2.1. საკითხის დასმა. სამართლის რეალიზაციისა და სამართლებრივი რეგულირების პროცესში არსებულმა ხარვეზებმა, სამართლის ნორმების რაოდენობის ზრდამ (თანამედროვე მსოფლიოს ნორმატიული მასივის ნახევარზე მეტი უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე იქნა მიღებული), მისმა სწრაფმა ცვალებადობამ, საზოგადოების სოციალური ორგანიზაციისა და სამართლებრივი ყოფიერების გართულებამ, თანამედროვე დემოკრატიის კრიზისმა, სამართლის ახალი განზომილებებით შესწავლის აუცილებლობა წარმოშვა. საჭირო ხდება სამართლის პრინციპებისა და ღირებულებების, როგორც სამართლის შემეცნების “ცოცხალი წყაროს” შესწავლა.¹⁶ იზრდება სამართლისმცოდნეობისათვის ე.წ. ახალი, არატრადიციული დისციპლინების როლი სამართლის შემეცნების საქმეში.

2.2. „იურიდიული ანთროპოლოგია” – სამართლისმცოდნეობის ახალი დისციპლინა. “იურიდიული ანთროპოლოგია” ერთ-ერთი ახალი იურიდიული დისციპლინაა, იგი დამოუკიდებელი კვლევის სფეროდ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ყალიბდება. “იურიდიული ანთროპოლოგია” (მას „სამართლის ანთროპოლოგიის” სახელითაც მოიხსენიებენ), ინტერდისციპლინური სამეცნიერო დარგია და აერთიანებს ცოდნას ანთროპოლოგიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ისტორიის, სამართლის, კულტუროლოგიის, ეთნოგრაფიის, ეთნოლოგიის და სხვა სფეროებიდან. მეცნიერების ამ დარგებთან “იურიდიული ანთროპოლოგიის” კავშირი მისი საგნისა და ობიექტის სირთულითაა განპირობებული, “იურიდიულ ანთროპო-

¹⁶ Саидов А.Х., О предмете антропологии права.//Государство и право, № 2, М., 2004. С.13.

ლოგიას” აინტერესებს ადამიანის სამართლებრივი ყოფიერება, ადამიანი სამართლებრივი განზომილებებითა და სამართლებრივი გამოვლინებებით, ასე ვთქვათ, სამართალშემოქმედი ადამიანი. ადამიანის რთული და მრავალფეროვანი ბუნება ანთროპოლოგიურ თემატიკას ამოუწურავს ხდის. ანთროპოლოგიური თემატიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საზოგადოებაში ადამიანთა ცხოვრების პირობების, მისი ინტელექტისა და ემოციონალურობის გამოვლენის ფორმების შესწავლა წარმოადგენს¹⁷. სამართალი ჩვეულების, ზნეობის, დროის მოთხოვნის, ადამიანის ცხოვრების საზრისისა და სხვადასხვაგვარი “გამოვლინებების”, ზოგადად კულტურის სინთეზია, ამიტომ მისი კვლევა მეცნიერებათა ფართო სპექტრს მოითხოვს.

2.3. „იურიდიული ანთროპოლოგია” პოსტსაბჭოთა სივრცეში. ჩვენს ქვეყანაში, და საერთოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, იურიდიული ანთროპოლოგიის განსაკუთრებულ აქტუალობას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობს სამართლის სხვაგვარი, ასე ვთქვათ, არატრადიციული გააზრების აუცილებლობაც. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში სამართალი, მისი არსი გაგებული და დადგენილი იყო გარკვეული საზოგადოებრივი-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით და სამართლად იწოდებოდა კანონის რანგში აყვანილი გაბატონებული კლასის ნება. მისი შინაარსიდან ამოვარდნილი იყო სამართლის ზოგადი არსი და “იგი დაიყვანებოდა საკუთრებითი ურთიერთობების გამოხატულებაზე”¹⁸. რის გამოც, საბჭოთა სივრცეში სამართლის ანთროპოლოგიური კუთხით კვლევა ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა, რამაც წარმოშვა მრავალი კითხვა სამართლის არსის, მისი ეფექტური რეგულირებისა და სხვა საკითხების შესახებ.

¹⁷ Рулан Н., Юридическая антропология (Пер. с франц.), М., 2000. С. 7.

¹⁸ გურამ ნაჭყებია, სამართლის ფილოსოფიის შესაძლებლობის საკითხისათვის // ფილოსოფიური ძიებანი, № IX, თბ., 2005, გვ. 211.

2.4. „იურიდიული ანთროპოლოგიის” საგანი და ადგილი იურისპრუდენციაში. „იურიდიული ანთროპოლოგიის” ადგილის კვლევისათვის იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში, საჭიროა მისი მიმართების დადგენა საკვლევი ობიექტით მასთან ახლოს მდგომ სხვა დისციპლინებთან. როგორც აღვნიშნეთ, „იურიდიულ ანთროპოლოგიას” აინტერესებს ადამიანის სამართლებრივი ყოფიერება, ეს უკანასკნელი კი სოციალური სინამდვილის ნაწილია, თანაც ისეთი ნაწილი, რომელიც დღითი დღე აფართოებს თავის საზღვრებს, რის გამოც „იურიდიული ანთროპოლოგია” სოციალური ანთროპოლოგიის შემადგენელ ნაწილად გვევლინება. მაშასადამე, სოციალურ ანთროპოლოგიას და იურიდიულ ანთროპოლოგიას კვლევის საერთო ობიექტი აქვთ და ეს სოციალური სინამდვილეა, მაგრამ მათი კვლევის საგანი სხვადასხვაა, კერძოდ, იურიდიულ ანთროპოლოგიას, განსხვავებით სოციალურისაგან, აინტერესებს ადამიანთა ქცევისა და ურთიერთობების მხოლოდ იურიდიული ასპექტები. სოციალური ურთიერთობების იურიდიულ ასპექტებს იურისპრუდენცია შეისწავლის, ამ თვალსაზრისით, „იურიდიულ ანთროპოლოგიას” და იურისპრუდენციას ერთი და იგივე შესასწავლი ობიექტი აქვთ, ამდენად, იგი შეიძლება იურიდიულ დისციპლინად მოვიაზროთ, მით უფრო რომ, მისი ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინად იურისპრუდენციის ფარგლებში ხდება,¹⁹ ამიტომ იურიდიული ანთროპოლოგიის საგანი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს უკვე იურიდიულ დისციპლინებს შორის. საჭიროა მოინახოს ის გამმიჯნავი, რაც განასხვავებს „იურიდიულ ანთროპოლოგიას” სხვა იურიდიული დისციპლინებისაგან. ასეთი გამ-

¹⁹ Нерсесянц В. С. Юридическая антропология как наука и учебная дисциплина // Рулан Н. Юридическая антропология (Пер. с франц.), М., 2000. С.2.

მიჯნავე ადამიანია. კერძოდ, იურიდიულ დისციპლინებს ძირითადად აინტერესებთ პოზიტიური სამართალი, მისი ქმნადობა-რეალიზაციის საკითხებით. აქ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმებით შებოჭილი ადამიანია შესწავლის საგანი. მაშინ როცა „იურიდიული ანთროპოლოგიისათვის” ამოსავალია ადამიანი, როგორც სამართალშემოქმედი გონითი არსება. ამდენად, იურიდიული ანთროპოლოგიის საგანი „იურიდიული ადამიანია”, უფრო ზუსტად, ადამიანი სამართლებრივი ქცევებით, რომელიც არა მხოლოდ ბიო-სოციალური რეალობის, არამედ ამასთანავე და უპირატესად სულიერი და გონითი სამყაროს წარმომადგენელია, რაც ფაქტობრივად ქმნის კიდევ მის საკუთრივ ადამიანურობას²⁰. მისთვის ნიშანდობლივია იმ მიზნისეული სურათის შექმნა, რომელშიც შემდგომ თავადაც მონაწილეობს, როგორც ამ ყოფიერების შემქმნელიც და წევრიც²¹. ამ მიზნისეული სურათის ერთი დიდი ნაწილი სამართალია. ამიტომ სამართალს ემპირიულთან ერთად, უნდა მოექცნებოდეს ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე მეტაფიზიკური დაფუძნება, ადამიანი ხომ თავისი არსით მეტაფიზიკური არსებაა და მის საქმიანობას მეტაფიზიკური საწყისები წარმართავს. „იურიდიული ანთროპოლოგიის” მიზანს, მის საგანს, სამართლის სწორედ ამ კუთხით კვლევა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, „იურიდიული ანთროპოლოგია” ყველაზე ახლოს ფილოსოფიურ ანთროპოლოგიასთანაა, რადგან ეს უკანასკნელი ადამიანის რაობის დამდგენი დისციპლიანაა²². შესაბამისად, მისი კვლევის შედეგები აუცილებელია „იურიდიული ადამიანის” შესასწავლად.

²⁰ ნაო კვარაცხელია, ადამიანი და მეტაფიზიკა // ფილოსოფიური ძიებანი, № X, თბ., 2006, გვ. 14-15.

²¹ თამაზ ბუაჩიძე, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., 2003, გვ. 5.

²² ნინო მშვენთაძე, ადამიანი, როგორც შემოქმედი გონითი არსება (ფილოსოფიური ანთროპოლოგია), თბ., 2005, გვ. 11.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ანთროპოლოგიას მჭიდრო კავშირი აქვს სამართლის ისტორიასთან, იურიდიულ ეთნოგრაფიასთან (ზოგიერთი მკვლევარი იურიდიულ ეთნოგრაფიას იურიდიული ანთროპოლოგიის შემადგენელ ნაწილად განიხილავს)²³ და სხვა ისეთ დისციპლინებთან, რომლებიც ტრადიციულ საზოგადოებებში ადამიანთა მიერ შექმნილი სამართლებრივი რეალობის რეტროსპექტული ანალიზისა და მის აწმყოში განფენის შესაძლებლობას იძლევა, იგი არ არის სამართლის ისტორიის ან ეთნოგრაფიის დამატება, მისი მიზანია ტრადიციული და თანამედროვე სამართლებრივი სისტემების ურთიერთზემოქმედების შემეცნების გზით ადამიანის სამართლებრივი ყოფიერების კვლევა²⁴.

სამართალი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ამა თუ იმ ერის თვითგამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას, იგი ერის კულტურის, ტრადიციის, მემკვიდრეობის, მიზნების და ზოგადად სულიერების დომინანტა შემცველი ფენომენია. მასში აკუმულირებულია ის სოციო-კულტურული კონტექსტი, რომელიც უშუალოდ კანონში შეიძლება არც იყოს დაფიქსირებული²⁵. ამ კონტექსტებსა და დომინანტებს ფილოსოფიური დისციპლინები შეისწავლიან, რაც განაპირობებს იურიდიული ანთროპოლოგიის მჭიდრო კავშირს მათთან, განსაკუთრებით კი სამართლის ფილოსოფიასთან, იმ თვალსაზრისით, რომ სამართლის ფილოსოფია სამართლის ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, აქსიოლოგიური და პრაქსიოლოგიური პრობლემების კვლევით უშუალოდ უწყობს ხელს იურიდიულ ანთროპოლოგიას საკუთარი საგნის შესწავლაში.

²³ Саидов А.Х., О предмете антропологии права.//Государство и право, № 2, М., 2004. С.65.

²⁴ Ковлер А.И., Антропология права, М., 2002. С. 2.

²⁵ Тишков В.А., Антропология права - начало и эволюция дисциплины.- Юридическая антропология. Закон и жизнь, М, 2000 - http://www.jurant.ru/ru/books/law_and_life/.

მაშასადამე, იურიდიული ანთროპოლოგიის შესასწავლ ობიექტს სოციალური სინამდვილე წარმოადგენს, საგანს კი ამ სინამდვილის მნიშვნელოვანი ნაწილის – სამართლებრივი რეალობის შემოქმედი ადამიანი სამართლებრივი განზომილებებითა და გამოვლინებებით. იურიდიული ანთროპოლოგიის მიზანია, ტრადიციული და თანამედროვე საზოგადოებების სამართლებრივი სისტემების კონკრეტული იურიდიულ-ანთროპოლოგიური გამოკვლევების საშუალებით შეისწავლოს ადამიანის სამართლებრივი ყოფიერების სულიერი და ღირებულებითი ძირები სხვადასხვა რეგიონში, სხვადასხვა პირობებსა და ეტაპებზე, შეიმუშაოს ზოგადთეორიული დებულებები სამართლის შესახებ, გაამდიდროს მისი შინაარსი ახალი ასპექტებით და ხელი შეუწყოს სამართლის რეალიზაციისა და სამართლებრივი რეგულირების პროცესებს.

იურიდიული ანთროპოლოგიის აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ მისი როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი დარგის შესახებ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში. იურიდიული ანთროპოლოგიის „ფუნდამენტურობა“ იმაში გამოიხატება, რომ იგი ხელს უწყობს სამართლის ცნებისა და სამართლებრივი ველის ქმნალობის პროცესების ახსნას, ხოლო გამოყენებითი, პრაქტიკული მნიშვნელობა კი ისაა, რომ სამართლის სულიერი და ღირებულებითი ძირებიდან გაგება მნიშვნელოვნად წაადგება გლობალიზაციით, დინამიზმითა და ინტეგრაციით ნიშნდებულ თანამედროვე ეპოქას ეროვნული სამართლებრივი ორიენტაციის გაკეთებაში. იურიდიული ანთროპოლოგიის შედეგების გამოყენება კანონშემოქმედებით საქმიანობაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეროვნული სულისა და ეროვნული კანონმდებლობის იდენტიფიკაციას, რაც თავის მხვრივ, კანონებს ცხოვრების წესთან მიმართებაში უფრო „მგრძნობიარეს“ გახდის.

იურიდიული ანთროპოლოგია სამართლის შემსწავლელ ზოგად თეორიულ დისციპლინათა რიგს მიეკუთვნება სამართ-

ლის ფილოსოფიის, სამართლის თეორიის, სამართლის სოციოლოგიის, იურიდიული გეოგრაფიის და სხვა ზოგად-თეორიულ იურიდიულ დისციპლინებთან ერთად. მკვლევართა ერთი ნაწილი მას სამართლის თეორიისაგან გამოყოფილ²⁶ და სამართლის ფილოსოფიის მიმართულებად ჩამოყალიბებულ დისციპლინად მიიჩნევს²⁷, რაშიც ნამდვილად არის ლოგიკა იმ თვალსაზრისით, რომ სამართლის ფილოსოფია იდეალურის დადგენას ცდილობს, რითაც ფაქტობრივად საზღვრავს დარგობრივი იურიდიული მეცნიერებების სამართლებრივ პოლიტიკას. იდეალურის ძიებაში კი იურიდიული ანთროპოლოგიის კვლევის შედეგები და მეთოდები ფასდაუდებელია, მაშინ როცა სამართლის თეორია პოზიტიური სამართლის თეორიაა და სამართლის ღირებულებითი ასპექტების კვლევა მის პრეროგატივას არ წარმოადგენს.

ვფიქრობთ, იურიდიული ანთროპოლოგიის სწავლება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ სპეციალობებზე, სხვა სიკეთეებთან ერთად, ხელს შეუწყობს სამართლებრივ მოვლენებსა და პროცესებში ჩვეულებითი სამართლის მენტალობით განსაზღვრული ეთნოკულტურული ელემენტების ხედვისა და საქართველოს სახელმწიფო სისტემებში მათი ჩართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

²⁶ გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 2.

²⁷ იქვე, 17.

Tavi 3. saxelmwifosa da samarTlis zogierTi sakiTxi aristoteles filosofiaSi

არისტოტელე, ანტიკურობის უდიდესი მოაზროვნე, თავისი დროის თითქმის ყველა პრობლემურ საკითხს შეეხო და საფუძვლიანად გამოიკვლია კიდევ. მის საკვლევ ობიექტებს შორის მნიშვნელოვანია იმდროინდელი ბერძნული სახელმწიფო და სამართალი. შემთხვევითი არაა, რომ მის მიერ დაარსებულ სკოლაში ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების 158-მდე ისტორია შეუქმნიათ²⁸ და ანტიკური ეპოქის ოთხმოცამდე კონსტიტუციის ანალიზი განუზრახავთ. არისტოტელემ სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მდიდარი ემპირიული მასალის გადამუშავების შედეგად ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი დებულება შეიმუშავა სახელმწიფოსა და სამართლის არსის, ფუნქციონის, ფორმისა და ა. შ. შესახებ, რომ მეთორამეტე საუკუნემდე სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში არ შექმნილა რაიმე უფრო მნიშვნელოვანი და ახალი, რაც დაჩრდილავდა არისტოტელეს ნააზრევს ამ დარგში²⁹.

3.1. სახელმწიფოს დანიშნულება. არისტოტელე სახელმწიფოს აპოლოგეტად მიჩნეული მოაზროვნეა. იგი თვლის, რომ სახელმწიფოს მიზანი ადამიანებისათვის უმაღლესი სიკეთის მიღწევა, მოქალაქეთა სრულყოფილი თანაცხოვრება, მათი გაბედნიერებაა. სახელმწიფო მოქალაქეთა ერთობაა, შექმნილი გარკვეული მიზნის მისაღწევად. სახელმწიფოში, არისტოტელეს აზრით, ადამიანებს დიდი სიკეთე მოუტანა, კანონისა და სამართლის წყალობით ადამიანი ცოცხალ არსებათა შორის საუკეთესო და სრულყოფილი გახლდა³⁰.

²⁸ История философии, Т. I, М., 1941. С. 230.

²⁹ ედუარდ კოდუა, სოციოლოგიის ისტორია, I ნაკვეთი, თბ., 1996, გვ. 171.

³⁰ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 13.

სახელმწიფო ეკონომიკური და იურიდიული ფუნქციების შესრულებით ახორციელებს თავის დანიშნულებას. ადამიანებს უქმნის პირობებს არა მხოლოდ არსებობისათვის, არამედ, უფრო მეტად, ბედნიერი არსებობისათვის³¹. არისტოტელესთან სახელმწიფოს მიზანია ადამიანისათვის სრულყოფილი, მთლიანად დამოუკიდებელი და დაკმაყოფილებული ბედნიერი და მშვენიერი ცხოვრების უზრუნველყოფა, მოქალაქის ჰუმანიზაცია და მასში სათნოების გრძნობის ჩამოყალიბება. ადამიანის არსებობის მიზანი (სიკეთისა და ბედნიერების მიღწევა), არისტოტელეს აზრით, მხოლოდ სახელმწიფოში შეიძლება განხორციელდეს, ე. ი. სახელმწიფო (თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არაა ყოველგვარი სახელმწიფო) არის ადამიანთა კავშირი, რომლის დანიშნულება უმთავრესი სიკეთისკენ—ბედნიერებისაკენ მისწრაფებაა.

3.2. სახელმწიფოს წარმოშობა. სახელმწიფოს წარმოშობისა და მისი არსებობის საკითხი არისტოტელესთან ადამიანის მისეულ გაგებას ეფუძნება. ადამიანი, არისტოტელეს განსაზღვრებით პოლიტიკური ცხოველია³², რამდენადაც ადამიანს, ცხოველებისაგან განსხვავებით, სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის, საზიანოსა და სასარგებლოს შექმნისა და შეგრძნების უნარი აქვს, იმდენად იგი ფუტკრებსა და ჯოგებად მცხოვრებ ცხოველებზე უფრო პოლიტიკური (საზოგადოებრივი) არსებაა. ადამიანებს ერთმანეთის გარეშე ცხოვრება, საკუთარი არსის განხორციელება არ შეუძლიათ, რის გამოც ერთიანდებიან და ქმნიან გარკვეულ კავშირს. „ძონ პოლიტიკონ“—ის ფორმულით ცდილობს არისტოტელე პირველი სოციალური ჯგუფების ახსნას. მისი აზრით, ადამიანის პოლიტიკურობის (სოციალურობის) პირველი გამოვლენა ოჯახის შექმნაა. ოჯახი ძმობითა და სიყვარულით შენდება. ოჯახის სტრუქტურა არისტოტელესთან ბატონისა და მონის, ქმრისა და ცოლის,

³¹ იქვე, გვ.78.

³² იქვე, გვ. 12.

მამისა და შვილის ურთიერთდამოკიდებულების ელემენტებს მოიცავს. ოჯახური ურთიერთობები ოჯახის მეთაურის ხელისუფლებით წესრიგდება, ოჯახის მეთაური, ჩვეულებრივ, სრულწლოვანი მამაკაცია, „მამაკაცი უფრო მეტადაა მოწოდებული ხელმძღვანელობდეს, ვიდრე ქალი, თუ რაიმე არ მოხდა ბუნების საწინააღმდეგო“³³ – შენიშნავს არისტოტელე.

ოჯახი თანდათანობით განვითარების და გაერთიანების შედეგად აღწევს ადამიანის სოციალურობის გამოვლენის მეორე საფეხურს – სოფელს (ერთობას, დასახლებას). სოფლის გაჩენა ადამიანთა მოთხოვნილებების ზრდის შედეგია. სოფელი ოჯახების კოლონიაა, რომელიც მხოლოდ ერთი დღისათვის არ იქმნება და რომლის მიზანიცაა ადამიანთა ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება³⁴. სოფლები დაშორიშორებული, განცალკევებული ოჯახების ერთობლიობაა. რამდენიმე სოფელი ქმნის დასრულებულ სახელმწიფოს, სახელმწიფო ოჯახისა და სოფლის ბუნებრივი განვითარების შედეგია. სახელმწიფოს წინამორბედი კავშირები (ოჯახი, სოფელი) თავიანთი განვითარების დასრულებას სახელმწიფოში აღწევენ³⁵.

მაშასადამე, ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური (საზოგადოებრივი) ცხოვრებისათვის შექმნილი არსებაა. ყველა ადამიანი ბედნიერებისაკენ ისწრაფვის, ბედნიერება ადამიანის ცხოვრების მიზანია. მიზანი კი, არისტოტელეს ფილოსოფიის მიხედვით, ისეთი სრულქმნილებაა, რომლის გავლენითაც შესაძლებელი ხდება ქმედითობა ბუნების სამყაროში³⁶. არისტოტელე დარწმუნებულია, რომ სამყაროში ბატონობს მიზანშეწონილობა, ყველა არსება შექმნილია მისი საბოლოო მიზნის გათვალისწინებით³⁷ და აქედან გამომდინა-

³³ იქვე, გვ. 28.

³⁴ იქვე, გვ. 11.

³⁵ იქვე, გვ. 12.

³⁶ უილიამ გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ., 1983, გვ. 142.

³⁷ Бонар А. Греческая цивилизация, Т. 3, М., 1991. С. 165.

რე, ადამიანის განვითარებაც განისაზღვრება მასში ჩადებულ მიზნით. ბედნიერება ადამიანის მიზანია. ამ მიზნის მისაღწევად ადამიანი მოქმედებს, ქმნის ოჯახს, სოფელს, სახელმწიფოს. საუკეთესო სახელმწიფო ადამიანის ბედნიერი ცხოვრების საშუალებაა, ე. ი. სახელმწიფოს წარმოშობა არისტოტელესთან უკავშირდება ადამიანის არსს, მასში ჩადებულ მიზანს. სახელმწიფო, ადამიანის ენტელექსიაა. ადამიანში დევს სახელმწიფო როგორც მიზნობრივი მიზეზი, როგორც მისი შინაგანი მისწრაფება, მიზანმიმართულება, როგორც ტელეოლოგია, როგორც ადამიანის მამოძრავებელი ძალა და საბოლოო მიზანი. არისტოტელე თვლის, რომ ყოველ საგანს თავისი „ბუნება“ აქვს, რომელიც გარკვეული კანონის საფუძველზე ხორციელდება³⁸. ადამიანის ბუნება მისი პოლიტიკურობაა, საზოგადოებრიობაა, რომლის გამოვლენა ოჯახისა და სოფლის საფეხურების გავლით სახელმწიფოთი სრულდება. რადგან სახელმწიფო ადამიანის უმთავრესი მიზნის – ბედნიერების მიღწევის საუკეთესო საშუალებაა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მასში აღწევს იგი თავისი თავის სისრულეს და სათანადო ფორმას, სახელმწიფოთი სახიერდება ადამიანის არსი, მისი ბუნება და მისი შესაძლებლობანი.

ამდენად, არისტოტელეს ფილოსოფიის ძირითადი დებულებების გათვალისწინებით, მცდარად უნდა მივიჩნიოთ შეხედულება, რომლითაც არისტოტელე სახელმწიფოს წარმოშობის პატრიარქალური თეორიის ფუძემდებლად ითვლება³⁹. პატრიარქალური თეორიის ძირითადი დებულებები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ პრინციპულად განსხვავდება

³⁸ Зубов В. П., Аристотель м., 1963. С. 77.

³⁹ История философии, Т. I, М., 1941. С. 231; Общая теория права и государства, М., 1994. С. 41; Комаров С. А., Малько А. В., Теория государства и права, М., 1999. С. 200; Енгибарян Р. В., Краснов Ю. К., Теория государства и права, М., 1999. С. 26; Венгеров А. Б., Теория государства и права, М., 2000. С. 43.

არისტოტელეს შეხედულებებისაგან. შევეცდებით ვაჩვენოთ ეს სხვაობა:

ა) პატრიარქალური თეორიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო იქმნება ოჯახის ზრდის შედეგად, ოჯახში გაერთიანებული ადამიანების რიცხვის ზრდა, ამ თეორიის მიხედვით, საბოლოო ანგარიშით იწვევს სახელმწიფოს წარმოშობას. არისტოტელესთან კი სახელმწიფო იქმნება ოჯახების გაერთიანების შედეგად მიღებული დასახლებების გაერთიანებით და არა ერთი ოჯახის წევრების რაოდენობრივი ზრდით. ძველ საბერძნეთში სახელმწიფოს შექმნისათვის საკმარისი ოჯახების რაოდენობაც კი სახელდებოდა. მაგალითად, პლატონი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციისათვის საშუალო რაოდენობად 5040 ოჯახს მიიჩნევდა, არისტოტელე ამ ციფრს კი გადაჭარბებულად თვლიდა.⁴⁰

ბ) არისტოტელესთან სახელმწიფო, თავისი ბუნებით, ოჯახთან და სოფელთან მიმართებაში პირველადია (24. 109), მიზნობრივი მიზეზია ოჯახისა და სოფლის შესაქმნელად, პატრიარქალური თეორია ამგვარად არ მსჯელობს; პატრიარქალური თეორიის მიხედვით მეფის ხელისუფლება მამის ხელისუფლების გაგრძელებაა და რადგანაც მამის ხელისუფლება ბუნებრივ, შეუზღუდავ და ღვთაებრივ ხელისუფლებად ითვლება, ამიტომ ქვეშევრდომები ვალდებული არიან უყოყმანოდ დაემორჩილონ მას. ყოველგვარი წინააღმდეგობა დაუშვებელია, როგორც ოჯახში მამას, ასევე სახელმწიფოში მონარქს არ ირჩევენ, არ ნიშნავენ. არისტოტელე ასე არ ფიქრობს, იგი განიხილავს როგორც მემკვიდრეობით, ასევე არჩევითი მმართველობის ფორმებს (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ), იგი არ გამორიცხავს აჯანყებასაც ხელისუფლების წინააღმდეგ.⁴¹

⁴⁰ Секторский Е. В., Понятие общества в античном мире, В Журнале ФН № 4, 1992. С. 123.

⁴¹ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 42-43.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელე მიუთითებს ოჯახისა და სახელმწიფოს ორგანიზაციის გარკვეულ მსგავსებაზე, ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ იგი პატრიარქალური თეორიის ფუძემდებლად ან მიმდევრად ჩავთვალოთ. არისტოტელე არის მოაზროვნე, რომელმაც საკმაოდ ორიგინალურად, თავისივე ფილოსოფიურ პრინციპებზე დაყრდნობით ახსნა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი და მას სათავე ადამიანში, მის ფსიქიკაში⁴² მოუძებნა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ არისტოტელემ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ორიგინალურ თეორიას, რომელსაც პირობითად **ანთროპული თეორია** შეიძლება ვუწოდოთ.

3.3. სახელმწიფოს ნიშნები. სახელმწიფო არისტოტელესთან ადამიანთა გაერთიანებაა, ადამიანთა გარკვეული კავშირია. აქედან გამომდინარე ადამიანები, მოსახლეობა სახელმწიფოს უპირველესი ნიშანია. სახელმწიფო ქმნის მოსახლეობას თავისთვის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, უკეთესი, ბედნიერი ყოფის მისაღწევად. ამიტომ სახელმწიფო არ შეიძლება ადამიანების შემთხვევითი კავშირი, შემთხვევითი გაერთიანება იყოს. იგი მოსახლეობის ერთსულოვანი გაერთიანებაა,⁴³ ერთსულოვნება და ურთიერთსიყვარული სახელმწიფოს ზნეობრივი საწყისია. იდეის, მიზნის, ბედის ერთიანობა და ერთსულოვნება ურთიერთსიყვარულის ზნეობრივ საწყისს ეფუძნება. ამდენად, იდეის, მიზნის, ბედის ერთიანობა და ერთსულოვნება სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანია.

ადამიანთა ამ კავშირს აქვს ერთიანი ტერიტორია, სახელმწიფო პირველ რიგში ადგილის ერთიანობაა.⁴⁴ მაშასადამე,

⁴² რუსუდან კუტალია, ილია ჭავჭავაძის სამართლებრივ-პოლიტიკური შეხედულებები და სამართლის ფილოსოფია (დემოკრატიის ქართული ნიმუში), თბ., 2004, გვ. 26.

⁴³ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. II, თბ., 1996. გვ. 17.

⁴⁴ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 32.

ადგილი, ტერიტორია სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანია. ამავე დროს სახელმწიფო დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის შექმნილი გაერთიანებაა, სახელმწიფოს აქვს სრული დამოუკიდებლობა,⁴⁵ ე. ი. დამოუკიდებლობაც სახელმწიფოს აუცილებელი ნიშანია. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად უნდა ჰყავდეს შეირაღებული ძალები და უნდა ჰქონდეს შეიარაღება, რომელიც გამოიყენება როგორც გარეშე მტრების, ასევე იმათ წინააღმდეგ, რომლებიც არ ემორჩილებიან სახელმწიფოს.⁴⁶ მაშასადამე, შეიარაღებული ძალებით სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანია. სახელმწიფოს შემდეგ ნიშნად არისტოტელე ფულის გარკვეულ რაოდენობას ასახელებს.⁴⁷ მისი აზრით, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ნიშანი რელიგიური სამსახურისა და იმ გადაწყვეტილებების არსებობაა, რომელიც ადგენს, თუ რაა სასარგებლო და სამართლიანი სახელმწიფოსათვის,⁴⁸ ანუ საკუთარი კანონმდებლობა, არისტოტელეს აზრით, სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანია.

მაშასადამე, არისტოტელე გამოყოფს სახელმწიფოს შემდეგ ნიშნებს: მოსახლეობას, იდებს, მიზნის, ბედის ერთიანობასა და ერთსულოვნებას, ტერიტორიას, დამოუკიდებლობას, შეიარაღებულ ძალებს, საკუთარ ფულს, რელიგიურ სამსახურსა და კანონმდებლობას.

ამ ნიშნებს, არისტოტელეს აზრით, ყველა სახელმწიფო საჭიროებს. მათ გარეშე სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია. თუ სახელმწიფო არ შეიცავს ყველა მათგანს, იგი არ იქნება დამოუკიდებელი და თვითკმარი. ამასთანავე, არისტოტელე მიუთითებს საკვების, ხელოსნობისა⁴⁹ და შრომის

⁴⁵ იქვე, გვ. 12, 79.

⁴⁶ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. II, თბ., 1996. გვ. 78.

⁴⁷ იქვე, გვ. 79.

⁴⁸ Аристотель, Сочинения в 4-х т, т 4, М., 1984. С. 603.

⁴⁹ იქვე.

იარაღების „ანუ იმ პირობების არსებობაზეც, რაც აუცილებელია სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისათვის“.

3.4. სახელმწიფოს მმართველობის (პოლიტიკური მოწყობის) ფორმები. არისტოტელე სახელმწიფოს მმართველობის სხვადასხვა ფორმას განიხილავს. სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ეს მრავალფეროვნება, მისი აზრით, სახელმწიფოს რთული შემადგენლობით აიხსნება. იგი თვლის, რომ თუ საზოგადოება განუწყვეტლივ ვითარდება გაერთიანოვნების მიმართულებით, მაშინ კარგავს სახელმწიფოებრიობას, რადგან სახელმწიფო თავისი არსებით განსხვავებულობის სიმრავლეა. სახელმწიფო შედგება არ მხოლოდ მრავალრიცხოვანი ადამიანებისაგან, არამედ განსხვავებული ადამიანებისაგან.⁵⁰ განსხვავებული ადამიანები ქმნიან სახელმწიფოს განსხვავებულ ნაწილებს, რომლებსაც საკუთარი შეხედულებები აქვთ ბედნიერებაზე, მისი მიღწევის გზებსა და საშუალებებზე. ვინაიდან სახელმწიფო ბედნიერების მიღწევის პირობებს ქმნის, ადამიანთა ყველა ჯგუფი ცდილობს ხელში აიღოს ხელისუფლება და საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე დაამყაროს მისთვის მისაღები მმართველობის ფორმა ანუ ბედნიერების მიღწევის მისეული საშუალება. ამიტომ ხელისუფლებაზე პრეტენზიას აცხადებს კეთილშობილიც, თავისუფალიც და მდიდარიც, უმრავლესობაც და ა. შ. ეს კი, ფიქრობს არისტოტელე, იწვევს სახელმწიფოს მმართველობის ფორმების სიმრავლესა და მათ ცვლას.

იმის მიხედვით, თუ ვის ხელშია ძალაუფლება – ერთის, უმცირესობის, თუ უმრავლესობის, არისტოტელე ასხვავებს მმართველობის შემდეგ ფორმებს: მონარქიას, არისტოკრატიასა და პოლიტიკიას. ერთის, უმცირესობისა და უმრავლესობის მმართველობა შეიძლება იყოს, როგორც სწორი, ასევე არასწორი. თუ მმართველი, მნიშვნელობა არა აქვს რამდენი იქნება, ხელისუფლებას იყენებს საყოველთაო სიკეთის

⁵⁰ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 32.

მისაღწევად, მაშინ მმართველობა სწორია, ხოლო თუ მმართველს ამოდრავებს საკუთარი ინტერესები, მაშინ, არისტოტელეს აზრით, საქმე გვაქვს არასწორ მმართველობასთან და მონარქია გადაიქცევა ტირანიად, არისტოკრატია – ოლიგარქიად, ხოლო პოლიტეია – დემოკრატიად. როგორც ვხედავთ, არისტოტელე სახელმწიფოს მმართველობის ექვს ფორმას: მონარქიას, არისტოკრატიას, პოლიტიკას, ტირანიას, ოლიგარქიასა და დემოკრატიას ასახელებს. აქედან პირველ სამს მმართველობის სწორ ფორმას უწოდებს, მომდევნო სამს კი დამახინჯებულს. დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

3.5. მონარქია. მონარქია არისტოტელესთან ერთის მმართველობაა, იგი, მისი აზრით, მმართველობის უძველესი, პირველი და ღვთაებრივი ფორმაა. „მონარქია არის მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც ხალხი აძლევს ხელმძღვანელობის უფლებას გვარის ისეთ წარმომადგენელს, რომელიც თავისი ზნეობით სხვებზე მაღლა დგას.“⁵¹ მონარქიის ინსტიტუტის წარმოშობას არისტოტელე იმით ხსნის, რომ ძველ დროში ზნეობით გამორჩეული ადამიანები იშვიათნი იყვნენ, მეფედ კურთხევისათვის, ზნეობასთან ერთად, ქველმოქმედებაც იყო საჭირო, ასეთები კი კიდევ უფრო ნაკლები იყვნენ და როცა რომელიმე ერთი თავისი სათნოებით ბევრად სჯობდა სხვას, სამართლიანი იქნებოდა, ამ ერთის გვარი ქცეულიყო სამეფო გვარად, ხოლო ის ერთი კი გამხდარიყო მეფე.⁵² არისტოტელე ასხვავებს აბსოლუტურ და შეზღუდულ მონარქიებს, რომლებიც ხელისუფლებას ღებულობენ როგორც არჩევით, ასევე მემკვიდრეობითაც. მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელე გარკვეული სიმკაითით ეკიდება მონარქიას, საბოლოოდ იგი მაინც პოლიტიკის უპირატესობაზე ჩერდება, მისი მსჯელობით, მონარქი, თუ ის საუკეთესოა, საუკეთესო კანონსაც კი სჯობს, იმ გაგებით, რომ კანონები მხოლოდ ზოგადს ითვალისწინებენ და არა კონკრეტულ

⁵¹ იქვე, გვ. 98.

⁵² იქვე.

შემთხვევებს, მონარქი კი კონკრეტულ შემთხვევებს უკეთ მოიაზრებს, ვიდრე ზოგადი კანონი, ამიტომ მონარქი, თუ იგი აბსოლუტურად ყველას სჯობს, უნდა იყოს კანონმდებელი და ადგენდეს კანონებს. მაგრამ ერთს, ამ შემთხვევაში, მონარქს, შეცდომის დაშვების ალბათობა გაცილებით უფრო დიდი აქვს, ვიდრე მრავალს, და თუ მრავალსაც ისეთივე კარგი თვისებები აქვს, როგორც ერთს, მაშინ მრავლის მმართველობა უფრო სასურველია, ვიდრე ერთის. ამასთანავე, არისტოტელეს აზრით, არ იქნებოდა სამართლიანი, ერთი ყოველთვის ხელმძღვანელობდეს, ხოლო მეორე ყოველთვის ემორჩილებოდეს. ხელმძღვანელობაც და ქვეშევრდომობაც რიგრიგობით უნდა იყოს. უკეთესია სახელმწიფოს მუდამ ერთნი და იგივენი მართავდნენ, თუ ეს შესაძლებელი იქნება, მაგრამ რადგანაც ადამიანები თანასწორები არიან, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მმართველობაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა,⁵³ ამიტომ მონარქია არაა საუკეთესო მმართველობა.⁵⁴

3.6. არისტოკრატია. არისტოკრატია, არისტოტელეს აზრით, მმართველობის ისეთი ფორმაა, როცა სახელმწიფოს მართავს უმცირესობა, მაგრამ ერთზე მეტი საუკეთესოთა უმცირესობა. არისტოკრატია გვარიშვილობით, ქონებით თუ სამსახურებრივი მდგომარეობით წარჩინებულთა მმართველობაა. არისტოკრატიული მმართველობა იქაა შესაძლებელი, სადაც ხალხი აფასებს პირად ღირსებებს. რადგან პიროვნული ღირსებებით, ჩვეულებრივ, კეთილშობილნი გამოირჩევიან, ამიტომ არისტოკრატიის დროს მართავენ კეთილშობილნი. უმცირესობის მმართველობა არისტოკრატიულ მმართველობად რომ ჩაითვალოს, ეს უმცირესობა უნდა იყოს საუკეთესო, წარჩინებული ან ისეთი უმცირესობა, საუკეთესო მიზნები-საკენ რომ წარმართავს სახელმწიფოს. არისტოკრატიულ სახელმწიფოში თანამდებობები განათლების მიხედვით ნაწილ-

⁵³ იქვე, გვ. 33.

⁵⁴ იქვე, გვ. 98.

დება. არისტოკრატიულ სახელმწიფოს მართავენ ისინი, ვინც კანონიერებას იცავს. ესენი კი კეთილშობილი ადამიანები უნდა იყვნენ, სწორედ აქედან მიიღო სახელწოდება ამ სახელმწიფომ.⁵⁵

3.7. პოლიტეია (რესპუბლიკა). პოლიტეია მმართველობის ისეთი ფორმაა, როცა სახელმწიფოს მართავს უმრავლესობა და მმართველობა მიმართულია საზოგადოებრივ სარგებლობაზე. პოლიტეია ოლიგარქიული და დემოკრატიული მმართველობის შუალედური ფორმაა. იგი ზომიერი დემოკრატიაა. პოლიტეიაში სამთავრობო თანამდებობანი შეიძლება ღარიბებსაც შეხვდეთ, თუ ისინი ღირსეულნი იქნებიან. უმრავლესობა უმცირესობასთან შედარებით, არისტოტელეს მიხედვით, გარკვეულ უპირატესობას ფლობს. მართალია, უმრავლესობის თითოეული წევრი არისტოკრატიული (რჩეული, წარჩინებული) უმცირესობის თითოეულ წევრზე უარესია, მაგრამ მთლიანობაში, სახელისუფლებო უფლებამოსილების წარმოშობის თვალსაზრისით, უმრავლესობა სჯობს უმცირესობას. თუ ხელისუფლების საფუძვლად პირად ღირსებას, სიმდიდრეს ან კეთილშობილებას ჩაეთვლით, საზოგადოებაში ყოველთვის მოიძებნება ღირსეულიც, მდიდარიც და კეთილშობილიც, რომლებსაც მუდამ ექნებათ პრეტენზია ხელისუფლებაზე. პირად ღირსებაზე, სიმდიდრეზე და კეთილშობილებაზე დამყარებული ხელისუფლება არ იქნება მყარი უმრავლესობის ხელისუფლებასთან შედარებით. უმრავლესობის ხელისუფლებით კმაყოფილი მეტია, ხელისუფლება უფრო მეტზე ნაწილდება, ვიდრე უმცირესობის ხელისუფლების დროს.

3.8. ტირანია. ტირანია არისტოტელესთან მონარქიული მმართველობის დამახინჯებული ფორმაა. თუ მონარქიული მმართველობა მთელი საზოგადოების ინტერესებს ემსახურება, იგი მმართველობის კარგი ფორმაა და არისტოტელე

⁵⁵ არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 63.

მას ბაზილიეას უწოდებს, ხოლო თუ მონარქიული მმართველობა მხოლოდ პირად ინტერესებზეა მიმართული, საქმე ტირანიასთან გვაქვს. არისტოტელე აშკარად გამოხატავს ტირანიის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და მიაჩნია, რომ ტირანია არ გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან. იგი ტირანის მკვლელს უფრო მეტი პატივისცემის ღირსად თვლის, ვიდრე ქურდისას. მონარქს ტირანისაგან ის ასხვავებს, რომ მონარქები სახელმწიფოს კანონებთა და ქვეშევრდომთა ნება-სურვილებით მართავენ, ტირანები კი იძულებით, ამიტომ ტირანი გარეშე ძალებით იცავს თავს მოქალაქეებისაგან, მონარქს კი მოქალაქეები იცავენ.⁵⁶

3.9. ოლიგარქია. ოლიგარქია არისტოკრატიული მმართველობის არასწორი ფორმაა. ოლიგარქიაც არისტოკრატიის მსგავსად უმცირესობის მმართველობაა, მაგრამ არისტოკრატიისაგან განსხვავებით, მდიდარი უმცირესობის მმართველობა. „ოლიგოს“—უმცირესობას ნიშნავს. ოლიგარქიის დროს ხელისუფლება ეკუთვნის მდიდარ უმცირესობას,⁵⁷ რომელიც ემსახურება მხოლოდ მდიდრების და არა მთელი საზოგადოების ინტერესებს.

არისტოტელე განასხვავებს ოლიგარქიის შემდეგ სახეებს: ა) სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობენ მხოლოდ მდიდრები, ბ) ხელისუფლების სათავეში ექცევიან დიდი ქონების პატრონნი და შემდეგ ისინი ირჩევენ სხვა თანამდებობის პირებს. ეს არჩევა შეიძლება მოხდეს როგორც მდიდართა, ასევე მოსახლეობის სხვა ფენიდანაც, გ) ხელისუფლებაში მყოფი მამის თანამდებობას იკავებს შვილი და საზოგადოება იმართება კანონის მიხედვით, დ) ხელისუფლებაში მყოფი მამის თანამდებობას იკავებს შვილი და მმართველობა ხორციელდება არა კანონის, არამედ თანამდებობის პირების მიერ. ოლიგარქიული მმართველობის ამ

⁵⁶ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 91.

⁵⁷ იქვე, გვ. 104.

სახეს არისტოტელე დინასტიურს უწოდებს.⁵⁸ როგორც მკვლევრები შენიშნავენ, არისტოტელე ცდება, როცა მდიდრების ხელისუფლებას ოლიგარქიად მიიჩნევს. მდიდართა ხელისუფლებისთვის მას პლუტოკრატია რომ ეწოდებინა, მაშინ მისი განსხვავება არისტოკრატისაგან უფრო ნათელი იქნებოდა.⁵⁹

3.10. დემოკრატია. დემოკრატიული მმართველობა, არისტოტელეს აზრით, პოლიტიკის დამახინჯებული ფორმაა. ეს მმართველობა ზრუნავს არა ყველას, არამედ მხოლოდ ღარიბთა ინტერესებისათვის. არისტოტელე ასხვავებს დემოკრატიის ხუთ სახეს, რომელიც ორ ჯგუფად შეიძლება დაგვით: ა) დემოკრატია, რომელიც კანონზეა დამყარებული და ბ) დემოკრატია, რომელშიც უმაღლესი ხელისუფლება მასის და არა კანონის ხელშია. კანონზე დამყარებული დემოკრატიისათვის ამოსავალია კანონი. აქ კანონი ქადაგებს თანასწორობას და ღარიბებსა და მდიდრებს არ აქვს რაიმე ურთიერთუპირატესობა. ამ ჯგუფში ერთიანდება დემოკრატიის ისეთი სახე, სადაც ხელმძღვანელი თანამდებობის მიღება გარკვეულ (არა დიდ) ქონებაზეა დამოკიდებული, აქვე ერთიანდება აგრეთვე დემოკრატიის ისეთი სახე, რომელშიც მმართველობაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველას. დემოკრატიის მეორე ჯგუფში ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, სახალხო კრების გადაწყვეტილებას და არა კანონს. დემოკრატიის ამ ფორმას, არისტოტელეს აზრით, დემაგოგები ახორციელებენ. „იმ სახელმწიფოში, სადაც დემოკრატია ხორციელდება კანონით, დემაგოგებს ადგილი არა აქვთ. იქ საპატიო ადგილები საუკეთესო მოქლაქეებს ეკუთვნით. დემაგოგები ჩნდებიან იქ, სადაც კანონს ძალა არა აქვს.“⁶⁰ თუ მასა ცდილობს სახელმწიფო მართოს ისე, როგორც ერთმა, როგორც მონარქმა, იგი არ მართავს კანონებით და

⁵⁸ იქვე, გვ. 109.

⁵⁹ Чаньшев А. Н, Аристотель, 1981. С. 161.

⁶⁰ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 108.

სახელმწიფო იქცევა დესპოტურ სახელმწიფოდ. ასეთი დემოკრატია ტირანიის ანალოგიურია, ასეთ დემოკრატიაში გადაწყვეტილებებს ბრძანებების ხასიათი აქვს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხი უფრო ძლიერია, ვიდრე კანონი. დემოკრატია მოითხოვს ყველა მოქალაქის მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში. ეს კი, არისტოტელეს აზრით, შესაძლებელია უშუალო და შუალობითი დემოკრატიის გზით. უშუალო დემოკრატიის დროს მოქალაქეები იკრიბებიან კანონების, სახელმწიფო საქმეების, ომისა და ზავის საკითხების განსჯისათვის. არისტოტელე გამოყოფს აგრეთვე „უკიდურესი დემოკრატიის“ სახეს, რომლის დროს მოქალაქე იკრიბება და მსჯელობს ყველა საკითხზე ისე, რომ ხელმძღვანელ პირებს წინასწარ (კენჭისყრაზე არ გამოაქვთ არავითარი გადაწყვეტილება), ისინი მხოლოდ თავიანთ დასკვნებს აცნობენ მოსახლეობას.⁶¹ შუალობითი დემოკრატიის დროს კი მოქალაქეები ირჩევენ თანამდებობის პირებს, რომლებიც წყვეტენ სახელისუფლებო საკითხებს და ანგარიშვალდებულნი არიან მოქალაქეების წინაშე. არისტოტელე მიუთითებს აგრეთვე დემოკრატიის ისეთ ფორმაზე, რომლის დროსაც მოქალაქეები თანამდებობებს იკავებენ რიგრიგობით, სანამ ყველას არ მოუწევს რიგი და ასე უზრუნველყოფენ მთელი მოსახლეობის მმართველობაში მონაწილეობას. დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელია თავისუფლებისა და სიმკაცრის გარკვეული დოზა. „დემოკრატია სუსტდება და ოლიგარქიად იქცევა არა მხოლოდ თავისუფლებით, არამედ დიდი სიმკაცრითაც“⁶² – შენიშნავს არისტოტელე.

3.11. მმართველობის საუკეთესო ფორმა. არისტოტელეს აზრით, საუკეთესოა ის ფორმა, რომელიც ცხოვრების საუკეთესო პირობებს ქმნის. საუკეთესო ცხოვრება კი ბედნიერ

⁶¹ იქვე, გვ. 124.

⁶² არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 47.

ცხოვრებაა, ბედნიერება სრულყოფილებაა. მაშასადამე, სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზეა დამოკიდებული ადამიანის სრულყოფილება. მმართველობის ზემოთ განხილულ ფორმათაგან სამს: მონარქიას, არისტოკრატიას, პოლიტიკიას, არისტოტელე მმართველობის სწორ ფორმად მიიჩნევს და მათგან მხოლოდ ერთს, კერძოდ პოლიტიკიას თვლის საუკეთესოდ. მართალია, არისტოტელეს მიზნად არ დაუსახავს იდეალური სახელმწიფოს თეორიის შექმნა, მაგრამ მისი მსჯელობიდან გამოძინარე, იდეალურია ის სახელმწიფო, რომელიც საშუალო ფენის, ზომიერი სიმდიდრის მფლობელთა მიერ იმართება, ასეთი მმართველობა კი პოლიტიკიას პირობებშია შესაძლებელი.

მმართველობის ზემოთ დახასიათებულ არასწორ ფორმებს (ტირანია, ოლიგარქია, დემოკრატია) შორის ყველაზე ასატანად არისტოტელე დემოკრატიას მიიჩნევს.⁶³

3.12. მოქალაქეობა. არისტოტელეს აზრით, სახელმწიფო მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ერთობლიობაა. მოქალაქეობა პიროვნების სახელმწიფოსთან და სახელმწიფოს პიროვნებასთან გარკვეული დამოკიდებულებაა. „სახელმწიფოს მოქალაქეებად არ უნდა ჩაითვალოს ყველა ისინი, რომელთა გარეშე სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია,⁶⁴ უცხოელები, არასრულწლოვანი ბავშვები, მოხუცები სახელმწიფოს აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ისინი არ არიან მოქალაქეები. არისტოტელესდროინდელ ათენის მოქალაქეს ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის, მაღალი თანამდებობის დაკავების, ათენელი ქალის შერთვის, უძრავი ქონების ფლობის და სხვა უფლება.

მოქალაქეობის საკითხს არისტოტელე განიხილავს როგორც წარმოშობის, ასევე საზოგადოებაში პიროვნების მდგომარეობის მიხედვით. უპირობო მოქალაქედ ითვლება ის, ვინც როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან მოქალაქეა. თუ

⁶³ Чаньшев А. Н, Аристотель, 1981. С. 162.

⁶⁴ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 72.

პიროვნება არ არის ორივე მშობლით მოქალაქე, იგი მოქალაქედ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს მართვაში სამოსამართლო და სათათბირო სახელმწიფო ორგანოების საშუალებით. მოქალაქეობა უფლებებთან ერთად გარკვეულ მოვალეობებსაც წარმოშობს სახელმწიფოს წინაშე. მოქალაქედ არ ჩაითვლება ის პირი, რომელიც არ აღასრულებს სამხედრო სამსახურს ქვეყნის წინაშე და არ მოემსახურება სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ღმერთებს. მაშასადამე, არისტოტელეს მიხედვით, პიროვნება მოქალაქედ რომ ჩაითვალოს, მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი სამი პირობა: ა) უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება, ე. ი. უნდა შეეძლოს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება; ბ) უნდა ჰქონდეს სამხედრო სამსახურის აღსრულების უფლება; გ) უნდა იყოს ოფიციალურად აღიარებული ღმერთების მსახური. მოქალაქე ახალგაზრდობაში უნდა იყოს მებრძოლი, მოწიფულობის ასაკში მას შეუძლია სახელმწიფოს მმართველობაში მიიღოს მონაწილეობა, სიბერის დროს კი სასულიერო პირი ხდება.⁶⁵ კარგ მოქალაქეს, შენიშნავს არისტოტელე, თავისუფალი ადამიანების ხელმძღვანელობასთან ერთად, ქვეშევრდომობაც უნდა შეეძლოს,⁶⁶ ე. ი. მოქალაქე ხელისუფლების სუბიექტთან ერთად, ხელისუფლების ობიექტიც უნდა იყოს.

როგორც ვხედავთ, არისტოტელესთან მოქალაქეობის საკითხი სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების საკითხს უკავშირდება და ამდენად სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების შეცვლასთან ერთად მოქალაქეობის გაგებაც იცვლება – ის, ვინც დემოკრატიულ სახელმწიფოში ითვლება მოქალაქედ, ხშირად არ წარმოადგენს მოქალაქეს, ვთქვათ, ოლიგარქიაში, რადგან არა აქვს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება. ასე რომ, მოქალაქეობის

⁶⁵ საველე წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968, გვ. 413.

⁶⁶ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 71.

საკითხი არისტოტელესთან კონკრეტულ სახელმწიფოსთან მიმართებაში უნდა იქნას განხილული. თუმცა, თუ მოქალაქე, უპირველეს ყოვლისა, უფლებრივად განისაზღვრება პოლისში, და თავისი მოღვაწეობისას ამოდის საერთო სიკეთის იდეალიდან, მაშინ შესაძლებელი ხდება დადგინდეს მისი ისეთი ცნება, რომელიც ზოგადად გამოყენებადი იქნება ყველა ტიპის პოლიტიკური რეჟიმის დროს.⁶⁷

3.13. სამართალი. სამართლის, ისევე როგორც სახელმწიფოს გაგება, არისტოტელესთან ადამიანის მისეულ გაგებას ეფუძნება. არისტოტელე თვლის, რომ ადამიანი ორგვარ მიმართებაშია ბუნებასთან. ერთი, რომ იგი ბუნების შვილია და იძულებულია დაემორჩილოს მასში მიმდინარე პროცესებს და მეორე, რომ ადამიანი თავისი გონებით, აზრით მოქმედებს ბუნებაზე. ადამიანს თავისუფალი ნება გააჩნია და მაშასადამე, შეუძლია, როგორც ბოროტების, ასევე სიკეთის შექმნა. სამართალი გარკვეული ღირებულებების შესაბამისი ქცევისკენ წარმართავს ადამიანს. არისტოტელე განასხვავებს ბუნებით და პირობით ანუ ადამიანების მიერ შექმნილი კანონით დადგენილ სამართალს. მოგვიანებით სტოელებისა და ძველი რომაული იურისტების წყალობით არისტოტელეს მიერ წოდებულ „პირობით სამართალს“ „დადებითი“ ანუ „პოზიტიური სამართალი ეწოდა.“⁶⁸ ბუნებით სამართალი ბუნების მიერაა ბოძებული და არსებითად მარადიულია, არ იცვლება ადამიანთა მოთხოვნილებების შესაბამისად. შესაძლებელია ბუნებითი სამართალი შეიცვალოს, მაგრამ ეს იქნება არა არსებითი ცვლილება, ისევე როგორც გავარჯიშებით შეიძლება მარცხენა ხელი მარჯვენასავით მუშაობდეს, მაგრამ მიუხედავად ამის, მარცხენა მანძკ მარცხენად რჩება და მარჯვენა მარჯვენად–შენიშნავს

⁶⁷ მამუკა ბიჭაშვილი, პოლიტიკური თეორია, თბ., 2006, გვ. 22.

⁶⁸ Бачинин В. А.. История философии и социологии права. Санкт-Петербург, 2001. С.137.

არისტოტელე.⁶⁹ კანონით დადგენილი სამართალი სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამართალია. ბუნებითი სამართალი კანონით დადგენილ სამართალზე მაღლა დგას. სახელმწიფო კანონების საშუალებით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ე. ი. ქმნის სამართალს. „სამართალი არის სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი საშუალება.“⁷⁰ სამართლის ცნება არისტოტელესთან სამართლიანობის ცნებას უკავშირდება. სამართალი სამართლიანობის ზომაა. სამართლიანობა სათნოებაა და გულისხმობს თითოეულისადმი ისეთ მოქმედებას, რასაც ის იმსახურებს.

3.14. კანონი და კანონმდებლობა. კანონი არისტოტელესთან წესრიგს ნიშნავს. კანონს სახელმწიფო ღებულობს, ამიტომ კანონი სახელმწიფოს უნდა შეესაბამებოდეს და არა პირიქით, სახელმწიფო, კანონებს. კანონს სახელმწიფოსთან მიმართებაში დაქვემდებარებული მდგომარეობა უჭირავს. არისტოტელეს წარმოდგენით, კანონები უნდა გამოიცეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების შესაბამისად და არა პირიქით კანონისადმი მათი დაქვემდებარების მიზნით.⁷¹ იმისდა მიხედვით, თუ როგორი წეს-წყობილების მქონე სახელმწიფო ღებულობს კანონს, განასხვავებენ როგორც კარგსა და სამართლიანს, ასევე ცუდსა და უსამართლო კანონებს. კანონი სამართლიანია, თუ იგი ემსახურება არა მხოლოდ უკეთესთა თუ უმრავლესთა ინტერესებს, არამედ ყველა მოქალაქის ინტერესებს, ეს კი გულისხმობს, რომ კანონი სამართლიანია, თუ იგი თანასწორობის პრინციპზეა აგებული.

არისტოტელე განასხვავებს კერძო და ზოგადი ხასიათის კანონებს. კერძოა ის კანონი, რომელსაც ესა თუ ის ერი

⁶⁹ არისტოტელე, დიდი ეთიკა, თბ., 1994, გვ. 40.

⁷⁰ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 13.

⁷¹ ჯამბულ ფუტკარაია, სამართლის ფილოსოფია, შესავალი ნაწილი (ძველი სამყარო), თბ., 2006, გვ. 66.

ადგენს და მართავს სახელმწიფოს. კერძო ხასიათის კანონი შეიძლება იყოს როგორც დაწერილი, ასევე დაუწერელი. ზოგადი კანონი ბუნებითი კანონია. იგი ყოველთვის დაუწერელია.⁷² კარგ ადამიანებს შეშენით უფრო დაუწერელი კანონებით სარგებლობა.⁷³ სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება მიღებულ კანონს ეკუთვნის. არისტოტელე უშვებს სახელმწიფოს მეთაურის ძალაუფლებას მხოლოდ იმ სფეროზე, რომელსაც კანონი არ განსაზღვრავს, ანუ იმ სფეროში, რომელსაც ვერ ითვალისწინებს კანონი თავისი ზოგადობისა და უნივერსალურობის გამო.

ვინაიდან კანონი ვერ ითვალისწინებს და არც ევალდება გაითვალისწინოს ყოველივე ის, რაც მომავალში შეიძლება მოხდეს, ამიტომ დაწერილი კანონების უცვლელად დატოვება არ შეიძლება. თუმცა, არისტოტელე თვლის, რომ კანონის ცვლილება იშვიათი შემთხვევა უნდა იყოს. თუ კანონის შეცვლა იწვევს მხოლოდ მცირე გაუმჯობესებას, მაშინ შეიძლება აპატიო კანონმდებლებს და კანონი არ შეცვალო, რადგან კანონის შეცვლის მიხვევა უფრო მეტ ზიანს მოიტანს, ვიდრე შეცვლილი კანონი, ხალხი მიეჩვევა ხელმძღვანელობისადმი უნდობლობას. როცა ადამიანები არსებულ კანონებს ახლით ცვლიან, ამით ასუსტებენ კანონის გაფლენას.⁷⁴ კანონმდებელი ვალდებულია ორიენტაცია საშუალო ფენაზე აიღოს. სახელმწიფოს კეთილდღეობა კანონმდებელზეა დამოკიდებული. კანონმა ყოველივე უნდა განსაზღვროს და შებოჭოს მოსამართლის დამოუკიდებლად მოქმედების სფერო. იმიტომ, რომ კანონები საღად მოაზროვნე ადამიანის ხანგრძლივი მოფიქრების შედეგია, განაჩენი კი მოსამართლეს უცებ გამოაქვს, რის გამოც მისთვის ძნელია იმის დადგენა თუ რაა სამართლიანი და რაა სასარგებლო, ესეც რომ არ იყოს, კანონმდებელი კანონით ეხება ზოგად შემთხვევებს,

⁷² არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 87.

⁷³ არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 90.

⁷⁴ არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ., 1995, გვ. 51.

მოსამართლე კი კერძოს და ხშირად მოცემულ კერძო შემთხვევას სიძულვილის, სიყვარულის, სიბრალულის ან საკუთარი სარგებლობის მიხედვით განსჯის.⁷⁵ ამიტომ კანონმა რაც შეიძლება ნაკლები განსასჯელი უნდა დაუტოვოს მოსამართლეს. მიუხედავად ამისა, რადგან კანონით განუსაზღვრელი შემთხვევების დადგენა მოსამართლეს ევალება, კანონი კი, როგორც თავის უნივერსალური ბუნების გამო ყველა შემთხვევას ვერ განსაზღვრავს, მოსამართლე კანონით განუსაზღვრელი სიტუაციის განსჯისას უნდა ხელმძღვანელობდეს სამართლიანობის და არა იურიდიული მიუკერძოებლობის პრინციპით. არისტოტელე თვლის, რომ სამართლიანობა მოუკერძოებლობაზე მაღლა დგას.⁷⁶

3.15. დანაშაული და პასუხისმგებლობა. დანაშაულსა და შესაბამის პასუხისმგებლობას არისტოტელე ადამიანის თავისუფლებით ასაბუთებს. ადამიანი თავისუფალი არსებობს, მას აქვს შემოქმედების უნარი, მის მიერ ჩადენილი ნებისმიერი მოქმედების, როგორც კარგის, ასევე ცუდის საწყისი ადამიანის წინასწარი არჩევანი და სურვილია. ეს კი აზროვნების საფუძველზე ხდება.⁷⁷ მაშასადამე, ადამიანზე, მის ნებასურვილზე ყოფილა დამოკიდებული მისივე მოქმედება. ამდენად, იგი პასუხისმგებელია საკუთარ ნამოქმედარზე. ადამიანის ნებისყოფის თავისუფლება მისივე პასუხისმგებლობის საფუძველია. ადამიანი, რომ არ იყოს თავისუფალი, ანუ არ ჰქონდეს არჩევნის შესაძლებლობა, მისი არც ერთი მოქმედება არ შეფასდება დანაშაულად და შესაბამისად, არ იქნება იგი პასუხისმგებელი თავის ნამოქმედარზე.

დანაშაული (უსამართლო მოქმედება), არისტოტელეს აზრით, ადამიანის შეგნებული, ნებაყოფლობითი⁷⁸ კანონსაწი-

⁷⁵ არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 32.

⁷⁶ Санха Сурия Пракаш, Юриспуденция—Философия права, М., 1996. С. 73.

⁷⁷ არისტოტელე, დიდი ეთიკა, თბ., 1994, გვ. 23.

⁷⁸ არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 75.

ნაადმდეგო მოქმედებაა.⁷⁹ ნებაყოფლობითია ისეთი მოქმედება, რომელსაც ადამიანი იძულების გარეშე აკეთებს.⁸⁰ არისტოტელე განასხვავებს ნებაყოფლობითი მოქმედების ორ სახეს: წინასწარ განზრახულს და გრძნობებით გამოწვეულს. წინასწარ განზრახულია მოქმედება, რომელიც ადამიანის სურვილიდან, მისი განზრახვებიდან გამომდინარეობს... „ქურდობად ჩაითვლება არა ისეთი შემთხვევა, – შენიშნავს არისტოტელე, – თუ ვინმემ რაიმე ჩუმად აიღო, არამედ მხოლოდ ისეთი შემთხვევა, თუ ის სხვისთვის ზიანის მიყენებისა და მითვისების მიზნითაა ჩადენილი.“⁸¹ ძლიერი ვნებებითა და ძლიერი იმპულსებით გამოწვეული გრძნობების საფუძველზე წარმოშობილი ქმედებები არისტოტელესთან განიხილება, როგორც არაწინასწარგანზრახული ნებაყოფლობითი ქმედებები.⁸²

არისტოტელე უცოდინარობით ჩადენილ მოქმედებების ორ სახეს განასხვავებს: ა) უცოდინარობა, რომლის მიზეზიცაა თვითონ პიროვნება, ბ) ბუნებრივი უცოდინარობა. პირველი მიზეზით ჩადენილი მოქმედება, არისტოტელეს აზრით, დანაშაულია, რადგან ამ უცოდინარობის მიზეზი თვითონ პიროვნებაა. მაგალითად, მთვრალეები, როცა რაიმე დანაშაულს სჩადიან, თვითონ არიან დამნაშავენი თავიანთ უცოდინარობაში, ამიტომ მათი ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ უცოდინარობითაა ჩადენილი, დანაშაულია. რაც შეეხება მეორე მიზეზით—ბუნებრივი უცოდინარობით ჩადენილ უსამართლობას, იგი, არისტოტელეს აზრით, არ წარმოადგენს დანაშაულს. როცა პირი უსამართლობას ჩადის ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცის, მის მიერ ჩადენილი უსამართლობა არ არის დანაშაული, იგი უბედურებაა. მაგალითად, კაცი, რომელსაც ჰგონია, რომ მოკლა მტერი, მაგრამ

⁷⁹ იქვე, გვ. 70.

⁸⁰ არისტოტელე, დიდი ეთიკა, თბ., 1994, გვ. 73.

⁸¹ არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 86.

⁸² არისტოტელე, დიდი ეთიკა, თბ., 1994, გვ. 24.

სინამდვილეში მოკლა მამა, უსამართლობას სწადის, მაგრამ იგი უსამართლობა კი არა—უბედურებაა.⁸³

3.16. სასჯელი. არისტოტელე ასხეავეებს სასჯელს და შურისძიებას. ის თვლის, რომ დასჯა ხდება დაზარალებულისათვის და არა შურისძიებისათვის. შურისძიება შურისმაძიებლის ვნებათა დაკმაყოფილებაა.⁸⁴ სასჯელი კი უფრო სხვა მიზნებს ემსახურება და მიმართულია დაზარალებულისა და დამნაშავეისადმი. სასჯელის სიდიდე დანაშაულის ხასიათით განისაზღვრება და იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული შურისმაძიებლის ვნებათა სიდიდეზე. დანაშაულის სიდიდე, არისტოტელეს აზრით, მიყენებული ზარალის სიდიდითა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზების რიგრიგობით, ანუ დამნაშავეის მიერ ჩადენილი მოქმედების მოტივაციით განისაზღვრება. არისტოტელე მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომლებსაც შეუძლიათ დაამძიმონ სასჯელი. ასეთებია: ა) რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, ბ) დანაშაული პირველმა ჩაიდინა თუ სხვებსაც ჩაუდენიათ იგი, გ) თუ სხვებსაც ჩაუდენიათ, იშვიათად თუ ხშირად, დ) დანაშაული მით უფრო მძიმეა, რაც უფრო მხეცური და წინასწარ განზრახულია, ე) დანაშაული მძიმდება იმითაც, თუ სად იქნა ჩადენილი (დამნაშავეის დასჯის ადგილზე, მაგალითად, სახრწობელასთან ჩადენილი დანაშაული არისტოტელეს დამამძიმებელ გარემოებად მიაჩნია, ვ) განსაკუთრებით მძიმეა სამარცხვინო დანაშაული, მით უფრო, თუ იგი ქველმოქმედების წინააღმდეგაა მიმართული, ხ) თუ დანაშაული მიმართულია დაუწერელი კანონების წინააღმდეგ, რადგან უკეთესია სამართლიანი იყო ნებაყოფლობით⁸⁵ (5. 89) და სხვა.

⁸³ Аристотель, Сочинения в 4-х т., т. 4, М., 1984. С. 328-329.

⁸⁴ არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 73.

⁸⁵ არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 89.

Tavi 4. samarTlis anTropuli safuZvlebi

(აქსიომატური დასაბუთების ცდა)

4.1. საკითხის დასმა. ადამიანი გარე სამყაროსთან სხვა-დასხვაგვარ მიმართებებს ამყარებს. ლოგიკურად იბადება კითხვა – „თუ ადამიანი გარე სინამდვილისადმი ეთიკური თუ ესთეტიკური დამოკიდებულების გარეშე არ არსებობს, მაშინ შესაძლებელია თუ არა იგი სამართლებრივი დამოკიდებულების გარეშე?“⁸⁶ ან კიდევ, სამართალი ადამიანისათვის ისეთივე არსისეული მოვლენაა, როგორც თავისუფლება, თუ იგი შემდეგ შექმნილი, ასე ვთქვათ, განვითარების შედეგად წარმოშობილი მოვლენაა? იქნებ სამართალი ადამიანის რომელიმე განუყოფელ ატრიბუტს ეფუძნება და მისი განვითარების კვალდაკვალ წარმოიშობა და ვითარდება? იქნებ სამართლის გააზრების ამოსავალი, როგორც ამას ეგზისტენციალისტები აღნიშნავენ,⁸⁷ უნდა იყოს ადამიანი და არა სახელმწიფო და საზოგადოება? შევეცდებით რამდენიმე აქსიომის მოშველიებით ვეძიოთ პასუხები ამ კითხვებზე.

4.2. სამართლის ანთროპული ძირების დამასაბუთებელი ძირითადი აქსიომები. ადამიანი გარკვეული სიმრავლის – კაცობრიობის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, იგი მრავალი თვისებით ხასიათდება, ჰგავს ამ სიმრავლის შემადგენელ სხვა ელემენტებს და ამავე დროს განსხვავდება მათგან. აქსიომად უნდა მივიღოთ, რომ „*ადამიანი გარკვეული სიმრავლის ელემენტია და ამ სიმრავლის სხვა ელემენტების მსგავსი და განსხვავებული თვისებები გააჩნია.*“ ბუნებრივია, რომ ადამიანებს, როგორც ერთი სიმრავლის ელემენტებს,

⁸⁶ გურამ ნაჭყებია, მართლშეგნება, როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი.// ფილოსოფიური ძიებანი, 2004, # III, გვ. 228.

⁸⁷ И. И. Кальной, Философия права, М., 2006. С. 128.

მსგავსი თვისებები აქვთ, სხვანაირად ისინი ერთ სიმრავლეში ვერ მოხვდებოდნენ, არსებითი, რითაც ადამიანები ერთმანეთს ემსგავსებიან ისაა, რომ მათ აქვთ ნების თავისუფლება, ისინი თავისუფალი არსებები არიან. აქედან შეიძლება გამოვიყვანოთ შემდეგი აქსიომა: **“ადამიანი არის თავისუფალი არსება, მას ახასიათებს შინაგანი და გარეგანი თავისუფლება.”** შინაგანი თავისუფლება გულისხმობს ნების თავისუფლებას, ანუ ადამიანის შესაძლებლობას თვითონ, დამოუკიდებლად აირჩიოს ის რაც მას სურს, ხოლო გარეგანი თავისუფლება წარმოადგენს შინაგანი თავისუფლების გაგრძელებას, სხვანაირად თუ ვიტყვით, გარეგანი თავისუფლება გულისხმობს შინაგანად მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების შესაძლებლობას. საზოგადოებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას გარეგანი თავისუფლების გამოვლენა წარმოადგენს მისთვის სასურველი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას სხვა ადამიანებთან. ე.ი. თავისუფლება სასურველის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობაა. ადამიანი თავისუფალი არსებაა, ის დაბადებით თავისუფალია, გამოდის რომ ადამიანი არის არსება, რომელსაც სურს. ყველა ადამიანს რაღაც სურს. ჩვენი მიზნისთვის – ადამიანის, როგორც სამართლებრივი არსების დასაბუთებისათვის, ადამიანებისთვის დამახასიათებელ მრავალგვარ სურვილებში უნდა მოიძებნოს ისეთი სურვილი, რომელიც არსებითი და ზოგადი იქნება თითოეული ადამიანისათვის, ასეთი ზოგადი სურვილია კარგად ცხოვრების სურვილი. ასე რომ სახეზე გვაქვს მესამე აქსიომა: **“ყველა ადამიანს სურს იცხოვროს კარგად.”**⁸⁸

ეხლა გასარკვევია საკითხი, რა არის კარგი ცხოვრება, უფრო ზუსტად, ვინ ადგენს კარგი ცხოვრების სტანდარტებს. ამას თვითონ პიროვნება აკეთებს თუ სხვის მიერ მომზა-

⁸⁸ ზოგი აქსიომა მოტანილი გვაქვს წიგნიდან: С. Н. Егоров, Аксиоматические основы теории права, СПб., 2001. С. 38-115.

დებული, მზამზარეული პროექტით სარგებლობს. თუ დაგუშვებთ რომ კარგი ცხოვრების მოდელი ადამიანისაგან დამოუკიდებლად იქმნება და იგი ამ მოდელით განსაზღვრულია, მაშინ ვეწინააღმდეგებით მე-2 აქსიომას, რომლის მიხედვითაც ადამიანი არის თავისუფალი არსება და აქვს არჩევანის შესაძლებლობა. ასე რომ, მესამე აქსიომაში გამოტანილი “კარგად ცხოვრების” განსაზღვრა ადამიანზეა დამოკიდებული – მხოლოდ თვითონ ადამიანი წყვეტს, რა არის მისთვის კარგი. არავის არ აქვს უფლება ადამიანს განუსაზღვროს მისი ცხოვრების მიზანი, რომელსაც ის აუცილებლად უნდა გაყვეს, ეს თეზისი წარმოადგენს ჩვენს მიერ დაშვებული აქსიომების შედეგს. მართლაც, ვერავინ ვერ უნდა შეეწინააღმდეგოს ადამიანს იმ ქმედების განხორციელებაში, რასაც იგი შეგნებულად, **გაცნობიერებულად** თავისთვის მიიჩნევს სიკეთედ და ბედნიერებად, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ვინმე ამა თუ იმ ადამიანის არჩეულ ქმედებას ბოროტებად და შეცდომად მიიჩნევს. ცხადია, აქ გაცნობიერებულ ქცევაში ვგულისხმობთ ადამიანის რაციონალური აზროვნების უნარს. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს მეოთხე აქსიომა, რომლის მიხედვითაც **“ყოველი ადამიანის მისწრაფება კარგი ცხოვრებისაკენ გამართლებულია.”**

აქამდე ადამიანის ნება, მისი თავისუფლება, განიხილება სხვა ადამიანებთან მიმართების გარეშე ახლა ვნახოთ ადამიანი აქამდე ჩამოყალიბებული აქსიომებით სხვა ადამიანებთან მიმართებაში, სხვანაირად შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენი პირველი აქსიომის მიხედვით ადამიანი კაცობრიობის სიმრავლის ელემენტია. ამიტომ მიზანშეწონილია ადამიანის განხილვა საზოგადოებაში, სხვა ადამიანებთან ერთად.

ის, რომ ადამიანი, საზოგადოებაში ცხოვრობს არც მისი კაპრიზია და არც მის მიერ საზოგადოების საკეთილდღეოდ გადადგმული ნაბიჯი. იგი, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, იძულებულია იცხოვროს საზოგადოებაში სხვა ადამიანებთან ერთად. ადამიანის ბუნება ისეთია, რომ მოითხოვს სხვა ადამიანებთან ერთად ყოფნას. ადამიანის უდიდესი

მოთხოვნილებაა გადალახოს საკუთარი გაუცხოება და განთავისუფლდეს მარტოობის ტყვეობისაგან, დაამყაროს ურთიერთობა სხვებთან. სხვისგან იგი ღებულობს იმას, რაც მას არ გააჩნია სხვებს აძლევს იმას, რასაც ის სხვა ვერ მიიღებდა ამ ადამიანის გარეშე. ამიტომაც, ძველად, ერთ-ერთი უმკაცრესი სასჯელი საზოგადოებისაგან (თემისაგან) გაძევება იყო. ადამიანს, როგორც სულიერ არსებას უფრო მეტად სჭირდება თავის მსგავსებთან ურთიერთობა, ვიდრე ადამიანს, როგორც ფიზიკურ არსებას. სოციალური კავშირებიდან ადამიანის “ამოღება” ნიშნავს მისთვის ადამიანობის პერსპექტივის დაკარგვას.⁸⁹ ადამიანის სული სულად სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას იქცევა. ადამიანის ამ თვისებებიდან შესაძლებელია გამოვიყვანოთ მესუთე აქსიომა: **“სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრება (თანაცხოვრება) ადამიანთა არსებობის ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა”**. ეს აქსიომა ასეც შეიძლება გამოითქვას – **“ადამიანთა ცხოვრების ერთადერთი ფორმა საზოგადოებაა.”**

ადამიანთა ერთობა არ არის ხელოვნური, იგი ბუნებრივი ფაქტია და არ არის **ნებელობითი**, ანუ არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე. ადამიანებს “აუცილებლობის შოლტი” ერეკება ერთმანეთისაკენ (ნიცშე). იმისათვის, რომ ადამიანმა შეინარჩუნოს სიცოცხლე, აუცილებლად უნდა გაერთიანდეს სხვასთან. სხვა ადამიანებთან ურთიერთობა ამ შემთხვევაში, წმინდა უტილიტარულია – ადამიანს კი არ უყვარს მეორე ადამიანი, არამედ სჭირდება იგი.⁹⁰ ადამიანები არ ერთიანდებიან, ისინი უკვე გაერთიანებულები იბადებიან, როგორც გარკვეული ოჯახის, კლანის, ჩვეულებების, ენის, ერის, ტრადიციების, მოგონებების, რელიგიის ძაფებით შეკრულნი. ე. ი. საზოგადოება არის მოცემულობა, რომელიც არ არის დამოკიდებული არავის ნებაზე. ადამიანები ამა თუ

⁸⁹ Философия: Университетский курс, М., 2003. С. 93.

⁹⁰ თამაზ ბუაჩიძე, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., 2003, გვ. 68.

იმ საზოგადოებაში უკვე გაწვევრიანებული იბადებიან. ისინი არ ღებულობენ გადაწყვეტილებას გაერთიანდნენ თუ არა საზოგადოებაში, გახდნენ თუ არა საზოგადოების წევრები. მათ შეუძლიათ აირჩიონ ესა თუ ის გაერთიანება, მაგრამ არა საზოგადოება.

ჩვენი მე-3 და მე-4 აქსიომის მიხედვით გამართლებულია ყველა ადამიანის სურვილი იცხოვროს კარგად. რადგან ადამიანი იზოლირებულად ვერ იარსებებს და “იძულებულია” იცხოვროს სხვა ადამიანებთან ერთად, საჭირო ხდება კარგად ცხოვრების მისწრაფების შეზღუდვა სხვა ადამიანების სასარგებლოდ. ცხადია, რომ საზოგადოებაში ცხოვრებისას შეუძლებელია ადამიანის კარგად ცხოვრების მისწრაფებები უსაზღვრო იყოს. ასე რომ, საჭიროა მოინახოს კარგად ცხოვრებისაკენ მისწრაფების შემზოჭავი საზღვრების დადგენა.

როგორც აღენიშნეთ (მე-2 აქსიომა), ადამიანი თავისუფალი არსებაა, მისი შინაგანი თავისუფლების წყალობით ადამიანის მისწრაფებას კარგი ცხოვრებისაკენ წინ არაფერი ეღობება, მაგრამ ამ მისწრაფების განხორციელების პროცესში უამრავი წინააღმდეგობა იჩენს თავს. ეს წინააღმდეგობები ორ კატეგორიად შეიძლება დაგვით, ერთი – ბუნებრივი წინააღმდეგობები და მეორე, წინააღმდეგობები, რომლებიც ადამიანთა შეუზღუდავ თავისუფლებასთანაა დაკავშირებული. ბუნებრივი წინააღმდეგობები არ არის დამოკიდებული ადამიანთა ქცევასთან. ვთქვათ, ადამიანის კარგად ცხოვრება უკავშირდება a-დან b წერტილში მისვლას, მაგრამ ამ წერტილებს შორის უფსკრულია, ეს ბუნებრივი წინააღმდეგობაა. ეხლა დავუშვათ, რომ ამ უფსკრულზე ხილია გადებული და **y** ადამიანთა გარკვეული კატეგორია კრძალავს ამ ხიდზე გავლას. **x** ადამიანისთვის პირველ შემთხვევაში ბუნებრივი წინააღმდეგობები აღმოჩნდა სურვილის შესრულების დაბრკოლებად, ხოლო მეორე შემთხვევაში **y** ადამიანები **x** ადამიანს ორივე რიგის წინააღმდეგობების გადასალახავად

სჭირდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, პირველ შემთხვევაში ერთობლივად ხიდის ასაგებად (შესაძლებელია ბუნებრივი წინააღმდეგობანი გადაულახავიც იყოს, ამდენად ბუნება ზღუდავს ადამიანის მისწრაფებას კარგი ცხოვრებისაკენ), ხოლო მეორე შემთხვევაში ხიდზე გასატარებლად, მაგრამ აქ თავს იჩენს შემდეგი, რიგით მე-6 აქსიომა, – **„ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება თავისუფლებაზე,”** ანუ ყველა ადამიანს აქვს უფლება, როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი თავისუფლებისა, ამიტომ **y** ადამიანთა სურვილი, რომლებიც ხიდზე არ ატარებენ **x**-ს, შეიძლება ნაკარნახევი იყოს მათი მისწრაფებით კარგი ცხოვრებისაკენ. გამოდის, რომ **x**-ის მისწრაფება კარგი ცხოვრებისაკენ და ზოგადად მისი თავისუფლება იზღუდება სხვა ადამიანის ასეთივე მისწრაფებით და ასეთივე ზოგადი თავისუფლებით. ვღებულობთ მე-7 აქსიომას – **„ადამიანის გარეგანი თავისუფლება (შინაგანი თავისუფლების – მისწრაფების განხორციელება, მისი უზრუნველყოფა) შეიძლება შეიზღუდოს სხვა ადამიანების გარეგანი თავისუფლების განხორციელების მოთხოვნით,”** ე. ი. გარეგანი თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სხვა ადამიანების ამგვარივე თავისუფლების აღიარებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ადამიანების გარეგანი თავისუფლების განხორციელების ნებისმიერი მოთხოვნა უპირობო და საკმარისი საფუძველია **x**-ის თავისუფლების შეზღუდვისა და პირიქით, არც **x**-ის, ნებისმიერი თავისუფალი ქცევის განხორციელების მოთხოვნა არ წარმოადგენს უპირობო და საკმაო საფუძველს სხვათა თავისუფლების შეზღუდვისათვის.

ადამიანს შეუძლია თავისი მიზნის მისაღწევად გამოიყენოს საგნები და ადამიანები. ჩვენ აქ არ შევეხებით საგნებს და განვიხილავთ მხოლოდ ადამიანს, რომელიც მიისწრაფვის საკუთარი მიზნის განხორციელებისაკენ და ადამიანს, რომელიც ამ მიზნის განხორციელების საშუალებაა. როგორც აღვნიშნეთ მისწრაფება კარგი ცხოვრე-

ბისაკენ, ჩვენი მეოთხე აქსიომის მიხედვით, გამართლებულია. ე.ი. x -ისა და y -ის მისწრაფება საკუთარი მიზნის შესასრულებლად ერთნაირად გამართლებულია. ამ ორ ადამიანს (ერთია ვინც თავის მიზანს ანხორციელებს, ხოლო მეორე ვინც საშუალებაა ამ მიზნის განხორციელებისათვის) შორის შეიძლება წარმოიშვას სამი პრინციპულად განსხვავებული სიტუაცია. კერძოდ, პირველი, მათი მიზნები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგრამ არ უპირისპირდებოდეს ერთმანეთს (ერთს ნადირობა უყვარდეს, მეორეს თევზაობა), მეორე, ეს მიზნები შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს (ორივეს თევზაობა უყვარს), მესამე, მიზნები შეიძლება უპირისპირდებოდეს ერთმანეთს (ორივეს ერთსა და იმავე ადგილზე სურს თევზაობა), ზოგიერთი თეორიის მიხედვით, დავა, მიზნების შეჯახება წარმოადგენს სამართლის წარმოშობის საფუძველს.⁹¹ როცა მიზნები დაპირისპირებულია, მაშინ ამოქმედდება მე-4 აქსიომა, რომლის მიხედვითაც, ყველას მისწრაფება კარგი ცხოვრებისაკენ გამართლებულია და ამდენად, არავის არ აქვს უფლება აიძულოს (გამოიყენოს) სხვა ადამიანი თავისი მიზნის მიღწევის საშუალებად. თუკი მათ მიზნებს შორის არ არის დაპირისპირება, მაშინ ადამიანის კეთილი ნებით შეიძლება გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, გამოვიდეს სხვისი მიზნის განხორციელების საშუალებად თუ არა. ამ მსჯელობიდან შეიძლება გამოვიყვანოთ მე-8 აქსიომა: **“არავინ თავისი ნების საწინააღმდეგოდ, არ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვისი მიზნის შესრულების საშუალებად.”** ყველა ადამიანმა იცის, რომ მისი გარეგანი უფლებები არ არის უსაზღვრო. “იმისათვის, რომ ამ წინააღმდეგობის დაძლევა შესაძლებელი იყოს, – აღნიშნავს ჰეგელი, – საჭიროა, რომ ორივე ერთმანეთის პირისპირ მდგომი თვითობა თავის აქარსობაში, თავის სხვისთვის-ყოფნაში თავისთავს იმად ადგენდეს და იმად აღიარებდეს,

⁹¹Е. Б. Пашуканис, Избранные произведения по общей теории права и государства, М.,1980. С. 85.

რაც ისინი თავისთავად ანუ თავიანთი ცნების მიხედვით არიან, სახელდობრ, არა ოდენ ბუნებითს, არამედ თავისუფალ არსებად. [...] მე ჭკმმართველ თავისუფალი მხოლოდ მაშინ ვარ, თუ სხვაც თავისუფალია და ჩემ მიერ ასეთადაა აღიარებული,⁹² ანუ, როგორც ვრ. რობაქიძე შენიშნავს, დგინდება სოციალობა, რომლითაც ინდივიდთა განსხვავებული ინდივიდუალური გამოცდილებანი ერთიანდება, რაც მათ თანაცხოვრებას განაპირობებს.⁹³ მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანები ხშირად გამოდიან თავიანთი გარეგანი თავისუფლების საზღვრებიდან. აქედან შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მე-9 აქსიომა: **„ადამიანები მიდრეკილნი არიან დაარღვიონ როგორც თავისი, ასევე სხვისი გარეგანი თავისუფლების საზღვრები.“** ჩვენ ამ აქსიომით ვამბობთ, რომ ადამიანში არის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი საწყისები და ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ერთი, ისე მეორე საწყისი. მაშასადამე, როცა მივუთითებთ, რომ ადამიანი მიდრეკილია დარღვევისაკენ არ ვგულისხმობთ, რომ იგი აუცილებლად დაარღვევს, მაგრამ არც ამ უკანასკნელის გამორიცხვა შეიძლება. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთსა და იმავე სიტუაციაში ადამიანები თავიანთი შინაგანი იძულების დონის შესაბამისად სხვადასხვანაირად იქცევიან, ამიტომ შეიძლება ერთმა დაარღვიოს გარეგანი თავისუფლების საზღვრები, მეორემ არა. ადამიანს ცნებითი აზროვნების წყალობით შეუძლია გაიგოს და განიცადოს სიტუაცია, რომელშიც სხვა იმყოფება, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს სხვისადმი თანაგრძნობის ავტომატური რეაქცია. იმავე ცნებითი აზროვნების საშუალებით ადამიანს შეუძლია დათრგუნოს ემოცია, გამიჯნოს ერთმანეთისაგან სიტუაციის ანალიზი და

⁹² ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თბ., 1984, გვ. 208.

⁹³ თენგიზ ირემამე, გრიგოლ რობაქიძე და ნიცშეს ფილოსოფია // ნიცშე საქართველოში (ემღვნება თამაზ ბუაჩიძის ნათელ ხსოვნას), თბ., 2007, გვ. 53.

შესატყვისი მოქმედება, მეტადრე მაშინ, როცა პრაგმატული სურვილები სხვა ადამიანის საკუთარი მიზნის განხორციელების საშუალებად გამოყენებას მოითხოვს.⁹⁴ ეს სიტუაცია პასუხობს ჩვენს პირველ აქსიომას, რომლის მიხედვითაც ადამიანი კაცობრიობის სიმრავლის ელემენტია და განსხვავებულია ამ სიმრავლის სხვა ელემენტებისაგან. ადამიანთა ერთად ცხოვრების აუცილებლობიდან გამომდინარე ნებისმიერი საზოგადოების ამოცანაა შეუძლებელი გახადოს ან მინიმუმამდე შეზღუდოს მე-9 აქსიომით გათვალისწინებული მიდრეკილებები, რადგან, “თუ ერთაგან, რომელნიც აღიარებისთვის იბრძვიან, ერთი მაინც დაიღუპება, მაშინ აღიარება აღარ მოხდება და გადარჩენილი, ისევე როგორც მკვდარი, არ არსებობს როგორც აღიარებული,”⁹⁵ მაღიარებლის არარსებობის (სიკვდილის) გამო. ამასთან, ადამიანები შინაგანად გრძნობენ თანასწორობას, რაც ურთიერთგანადგურების საფრთხეს ათანაბრებს, ამიტომ ადამიანი ცდილობს ცხოვრებაში შემოიტანოს და დაიცვას გარკვეული წესრიგი, რომელიც “კერძო და საერთო ინტერესების მშვიდობიანად და გვერდიგვერდ არსებობის განცდაა.”⁹⁶ ამ საქმეს ემსახურება სამართალი, როგორც ბუნებითი, ასევე პოზიტიური. პოზიტიური სამართალი წარმოადგენს იმის გაცნობიერებას, რომ ადამიანებს უნდა შეექმნათ დადებითი აქტიობის გამოვლენის პირობები, ხოლო იმათ, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ უნდათ გამოავლინონ დადებითი აქტიობა და მიმართული არიან დესტრუქციული აქტიობისაკენ, საჭიროა ჩამოვუყალიბოთ მოთხოვნათა ის მინიმუმი, რომლის დაცვა შესაძლებელი იქნება ორგანიზებული იძულებით. ამ საქმეს ემსახურება პოზიტიური ნორმატიული სისტემის შემოქმედი და უზრუნველყოფი პოლიტიკური სუბიექტი – სახელმწიფო. რაც უფ-

⁹⁴ А. В. Разин, Нравственный мир человека, М., 2003. С. 17-18.

⁹⁵ ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თბ., 1984, გვ. 209.

⁹⁶ ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, გვ. 143.

რო დაბალია ადამიანთა შინაგანი პასუხისმგებლობის გრძნობა, მით უფრო ფართოა შეზღუდვების არეალი. იყო ადამიანი, ნიშნავს გქონდეს პასუხისმგებლობა.⁹⁷

მაშასადამე, საზოგადოება შედგება გონიერი და თავისუფალი ადამიანებისაგან. გონიერებაში ვგულისხმობთ, რომ ყველა ადამიანს, როგორც მინიმუმ, შეუძლია გაიგოს მასზე მიმართული მოთხოვნები. სამართალია იქ, სადაც გაგებაა შესაძლებელი, ხოლო თავისუფლებაში კი ვგულისხმობთ მისი ნების თავისუფლებას, ანუ არჩევანის შესაძლებლობას – დაარღვიოს ან არ დაარღვიოს სხვისი უფლება და თავისუფლება. ცნობილია, სამართალი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობაა, სამართლით მოცემული უფლება ზღუდავს ადამიანის გარეგან თავისუფლებას, ანუ ზღუდავს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას და ამ შეზღუდვას აზრი აქვს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანი თავისუფალია, ანუ შეუძლია მოიქცეს სხვაგვარადაც. ასევე, მოვალეობა შეიძლება დაგუწესოთ მხოლოდ ისეთ არსებას, რომელსაც შეუძლია მოიქცეს ასეც და ისეც. არსებისთვის, რომლის ქცევაც წინასწარაა განსაზღვრული და არ შეუძლია ამ წინასწარ განსაზღვრული ქცევიდან გადახვევა, ანუ არ არის თავისუფალი, უაზრობა იქნებოდა დაგვეწესებინა რაიმე სახის მოვალეობა. მოვალეობა შეიძლება დაუწესდეს იმას, ვისაც შეუძლია მოიქცეს ნებისმიერად. ”ადამიანის საკუთრივი ადამიანობა, მისი გონითობა და ზნეობა სწორედ აკრძალვითა და ტაბუირების სისტემით იწყება და გარკვეული მორალური და სამართლებრივი ნორმების აღმოცენებამდე მიდის... აკრძალვამ გამოიყვანა ადამიანი ცხოველური ყოფიერებიდან და სულიერ გონით არსებად აქცია.”⁹⁸ ეს მომენტი – თავისუფლების თვითშეზღუდვა, წარმოადგენს ადამიანის ისეთივე

⁹⁷ В. Франкл, Человек в поисках смысла, М., 1990. С. 204.

⁹⁸ ნაპო კვარაცხელია, სიცოცხლე და ზნეობა // ფილოსოფია და თანამედროვეობა, მიხეილ მახარაძის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2007, გვ. 118; 119.

არსებით ნიშანს, როგორცაა თავისუფლება და ეს შეზღუდვა ადამიანის ყოფიერებაში სამართლის ონტოლოგიურ საფუძვლებზე მიგვანიშნებს. სამართლის ძირები ადამიანის სულის სიღრმეშია განფენილი და განსაზღვრულია ამა თუ იმ ხალხის სულიერების დომინანტებით. სამართლიანობა ადამიანის სოციალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა. სამართლიანობის თანდაყოლილი გრძნობა ადამიანს აძლევს საშუალებას გამოვიდეს საკუთარი “მე”-დან და “შევიდეს” სხვის ცხოვრებისეულ სამყაროში, აღიაროს იგი თანასწორ სუბიექტად, ისე რომ არ დაკარგოს საკუთარი სუბიექტურ-პიროვნული განსაზღვრულობა. ადამიანთა მიერ ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერება იწვევს სოლიდარობის გრძნობას, რასაც, თავის მხრივ, სოციალური წესრიგი ეფუძნება.⁹⁹ აქედან შეიძლება გამოვიყვანოთ მომდევნო მე-10 აქსიომა, რომლის მიხედვითაც **„ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და საკუთარი არსების განსახორციელებლად აუცილებლობით ესაჭიროება სხვა ადამიანი (საზოგადოება), ამიტომ მისთვის არსებითია სხვის (საზოგადოების) სასარგებლოდ საკუთარი ქცევის გარკვეული შეზღუდვა.“** სხვანაირად თავისუფალი ქცევაც შეუძლებელი იქნებოდა, არავინ არაა მეფე იქ, სადაც ყველა მეფეა. ასევე, არავინ არაა თავისუფალი იქ, სადაც ყველა თავისუფალია და არავინ არაფრით არაა შეზღუდული. ასეთ შემთხვევაში არავის არ აქვს არაფრის უფლება, იმდენად რამდენადაც ყველას აქვს უფლება ხელყოს სხვისი ნებისმიერი, მათ შორის, სიცოცხლის, უფლება. „კანონი და სამართალი თავისუფლების ციხე-სიმაგრეა“ (ილია).

4.3. თავისუფლება – სამართლის საფუძველი. სამართალი ფუძნდება თავისუფლებით, ხოლო თავისუფლების დაცვა და განხორციელება ხდება სამართლის საშუალებით. იქ სადაც ცალკეული ადამიანის თავისუფლება არაა შეზღუდული

⁹⁹ О. Э. Лейст, Сущность права. Проблемы теории и философии права, М., 2002. С. 15.

რამენაირი ქცევის წესით, შეუძლებელია პიროვნების თვით-რეალიზაცია, მისი შესაძლებლობების გამოვლენა. სამართალი ქმნის ერთის თავისუფლების შეთავსების პირობებს მეორის თავისუფლებასთან, ანუ არა მხოლოდ ზღუდავს თავისუფლებას, არამედ ქმნის პირობებს მისი განხორციელებისათვის. ამაშია მართლწესრიგის არსი, რომლის „დისციპლინური მატრიცა“ გულისხმობს თითოეულის თავისუფლების დაშვებას იმ პირობით, რომ დაცული და დაფასებული იქნება სხვისი თავისუფლებაც. ამ გაგებით „სამართალი არის თავისუფლების შეზღუდვა.“¹⁰⁰ სამართალი როგორც თავისუფლების შეზღუდვა, წარმოშობს მოვალეობებს, ხოლო სამართალი როგორც თავისუფლების დაშვება, წარმოშობს უფლებებს.

თავისუფლება, რაიმე დანაწესის გარეშე, ვერ იძლევა სოციალური მთელის დაცვის გარანტიას,¹⁰¹ სოციალური მთელის დაცვის გარეშე კი, როგორც ჩვენი აქსიომატური მსჯელობებიდანაც გამომჩნდა, ადამიანი ვერ ახორციელებს თავის არსს. თავისუფლება, თავისი თავის გადარჩენისათვის, წარმოშობს მოვალეობის გრძნობას. თავისუფლებაზე დაყრდნობილი რეგულიატორები ივსება მოვალეობისა და იძულების ელემენტებით, რომელსაც სახელმწიფო ინსტიტუტები ამტკიცებენ. ე.ი. როგორც უფლება, ისე მოვალეობაც თავისუფლებით ფუძნდება, გარკვეული სახის უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა კი სამართალია, თავისუფლება ადამიანის არსებითი, თანდაყოლილი, სუბსტანციური, განუსხვისებელი თვისებაა, ადამიანი იძულებულია იყოს თავისუფალი, „ადამიანი – ეს თავისუფლებაა,“¹⁰² მაშასადამე, სამართალი ადამიანის არსებითი თვისებაცაა, იგი ეფუძნება თავისუფლებას და მისი (თავისუფლების) გამოვლენის შესაბამისად იხვეწება

¹⁰⁰ И. Кант, Соч. Т.4. ч.2. С. 88.

¹⁰¹ Б.С. Шалютин, Закон и закон (юр.) // Государство и право, 2007, №4. С. 81.

¹⁰² Ж.П. Сартр, Экзистенциализм—это гуманизм // Сумерки богов, М., 1989. С. 327.

და სრულყოფილი ხდება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რადგან ადამიანი თავისუფალი არსებაა, ამიტომ მისი ყოფიერების ძირებში მოიძებნება სამართლის დაფუძნების საფუძველი და ამდენად, გარკვეული აზრით იგი „Homo Juridicus-ია.” მას სინამდვილისადმი სამართლებრივი დამოკიდებულება ახასიათებს, იმ აზრით, რომ სამართალი არის ადამიანის გარესინამდვილისადმი პრაქტიკულ-ღირებულებითი დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა.¹⁰³

¹⁰³ გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ ანბანი, თბ., 2006, გვ. 65.

Tavi 5. samarTlis nihilizmi - socialuri nihilizmis nairsaxeoba

5.1. „სამართლებრივი ნიჰილიზმი“ თუ „სამართლის ნიჰილიზმი“? სამეცნიერო ლიტერატურა სამართლებრივი მოვლენებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „სამართლებრივი ნიჰილიზმი“. ტერმინი ცნების სახელია და იგი კონტექსტუალური განხილვის გარეშე უნდა იძლეოდეს ცნებაში მოაზრებულ შინაარსს. ტერმინი „სამართლებრივი ნიჰილიზმი“, ვფიქრობთ, ზუსტად ვერ გამოხატავს მასში ნაგულისხმევ შინაარსს. საქმე ისაა, რომ „სამართლებრივი ნიჰილიზმის“ ცნებაში ნიჰილიზმი სამართლის ობიექტად მოიაზრება და შეუძლებელია სამართლისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება იყოს სამართლებრივი.

ტერმინი „სამართლებრივი ნიჰილიზმი“, განსხვავდება მისი მსგავსი ისეთი ტერმინებისაგან, როგორცაა „სამართლებრივი ურთიერთობა“, „სამართლებრივი რეგულირება“, „სამართლებრივი სახელმწიფო“ და სხვა. ტერმინი „სამართლებრივი ურთიერთობა“ აღნიშნავს სამართლის ნორმების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს, ტერმინი „სამართლებრივი რეგულირება“ მიუთითებს ურთიერთობების რეგულირებას სამართლის ნორმების საშუალებით, ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო კი – სამართლის ნორმებით მოქმედ სახელმწიფოზე. აღნიშნულ შემთხვევებში სიტყვა “სამართლებრივი” განსაზღვრავს „ურთიერთობის“, „რეგულირების“, „სახელმწიფოს“ სამართლებრივ საფუძველსა და ხასიათს. ამ ლოგიკით ტერმინ „სამართლებრივ ნიჰილიზმში“ სიტყვით „სამართლებრივი“ განისაზღვრება სიტყვა „ნიჰილიზმი“ და მიეთითება მის სამართლებრივ საფუძველზე ანუ ტერმინი „სამართლებრივი ნიჰილიზმი“, მასში მოაზრებული ცნების საპირისპიროდ, გულისხმობს ნიჰილიზმის სამართლებრიობას, მის სამართლის ნორმებზე დაფუძნებას. გამო-

სავალს არ წარმოადგენს ტერმინ „იურიდიული ნიჰილიზმის“ შემოტანა,¹⁰⁴ ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაშიც იგივე პრობლემასთან გვაქვს საქმე, უბრალოდ, სიტყვა „სამართლებრივი“, იცვლება სიტყვით „იურიდიული“, რაც არსებითად ერთი და იგივეა. ტერმინი „სამართლის ნიჰილიზმი“ პასუხობს კითხვაზე „რის ნიჰილიზმი?“, ხოლო ტერმინი „სამართლებრივი ნიჰილიზმი“ პასუხობს კითხვაზე „როგორი ნიჰილიზმი?“. ჩვენ კი ტერმინ „სამართლებრივი ნიჰილიზმით“ აღვნიშნავთ სამართლის (ანუ რის) ნიჰილიზმს და არა როგორ ნიჰილიზმს. ამიტომ უმჯობესად მიგვაჩნია „სამართლებრივი ნიჰილიზმის“ ნაცვლად გამოვიყენოთ ტერმინი „სამართლის ნიჰილიზმი“ (ისევე როგორც „კულტურის ნიჰილიზმი“ და არა „კულტურული ნიჰილიზმი“, „ზნეობის ნიჰილიზმი“ და არა „ზნეობრივი ნიჰილიზმი“ და სხვა), რომელიც ზუსტად გამოხატავს მასში ჩადებულ შინაარსს და მიუთითებს სამართლისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებაზე.

5.2. ნიჰილიზმის ცნება. „ნიჰილიზმი“ ფართოდ გავრცელებული ტერმინია. მის პირველ გამოქყნებლად ნეტარ აგვუსტინეს მიიჩნევენ,¹⁰⁵ ხოლო ფილოსოფიაში მის შემომტანად – ნიცშეს.¹⁰⁶ ნიჰილიზმი, სიტყვასიტყვით, არაფრის რწმენას, ყველა მორალური და პოლიტიკური პრინციპების უარყოფას ნიშნავს. ნიჰილიზმი ზოგჯერ, მაგრამ არა აუცილებლად, დესტრუქციასთან და ძალადობასთან ასოცირდება.¹⁰⁷ ზოგადად ნიჰილიზმი უიმედობაა, მარადისობისადმი ზიარების, ამალღების პერსპექტივის უგულვებლყოფაა, ნეგატივიზმის პათოსით გაქვენთილი გონება-განწყობილებაა.

¹⁰⁴ В.А. Туманов, Правовой нигилизм в историко-идеологическом ракурсе // Государство и право, 1993, №8. С. 52.

¹⁰⁵ О.Р. Гулина, Истоки правового нигилизма, <http://www.uic.bfshedu.ru/str n col/vestnik/2/gulina.html>.

¹⁰⁶ ზურაბ ხასაია, ორგვარი ნიჰილიზმისათვის // „მაცნე“ ფილოსოფია, 2007, # 1, გვ. 63.

¹⁰⁷ ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი, თბ., 2004, გვ. 385.

იგი მსოფლშეგრძნებისა და სოციალური ქცევის ისეთი სახეა, როცა სუბიექტი უარყოფითად აფასებს (ეკიდება) ღირებულებებს, იდეალებს, ხშირ შემთხვევაში ადამიანური ცხოვრების ყველა მხარეს. „ნიჰილისტი არის ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს აზროვნებისა და მოქმედების უნარი.“¹⁰⁸ მიუხედავად იმისა, რომ უარყოფა ნიჰილიზმის არსებითი ნიშანია, ნებისმიერი უარყოფა არ შეიძლება ჩაითვალოს ნიჰილიზმად. უარყოფა უფრო ფართო ცნებაა და ადამიანის აზროვნებისთვის ორგანულადაა დამახასიათებელი. ნიჰილიზმი უარყოფის ერთ-ერთი სახეა. ამიტომ ყველა ის, ვინც რაიმეს უარყოფს, ნიჰილისტად არ ჩაითვლება. ნიჰილიზმი ლოგიკური უარყოფაა, ლოგიკური დასტურის საპირისპირო ოპერაციით – უარყოფითი მსჯელობის ფორმით გამოხატული უარყოფაა. ნიჰილიზმი ამა თუ იმ ღირებულების არარსებულად გამოცხადებაა, მაგრამ არა მისი განადგურება. იგი, როგორც უარყოფა თვისობრივი გარკვეულობის მომენტი, გარკვეული რეალობაა იმდენად, რამდენადაც სხვა რეალობის უარყოფაა. „თვისებრივ გარკვეულობას ქმნის არა მარტო ის, რომ ის არის, არამედ ისიც, რომ საგანი სხვა რამ არ არის.“¹⁰⁹ ამდენად, ნიჰილიზმი გარკვეულობაა, მაგრამ გაურკვეველობით გამოწვეული გარკვეულობა. ეს გარკვეულობა ღირებულებების უარყოფი კაცის უიმედობით გამოწვეული გაურკვეველობაა. ნიჰილიზმი სრულად გამოვლინდა ფრ. ნიცშესთან (1844–1900), რომელმაც „ფრანკფურტელი პესიმისტის“ – შოპენჰაუერის მიერ უაზრობად გამოცხადებულ სამყაროში „უარყო ცხოვრების, როგორც ტრანსცედენტური, ისე იმანენტური საზრისის შესაძლებლობა.“¹¹⁰ მასთან ნიჰილიზმი

¹⁰⁸ მერაბ მამარდაშვილი, ნიჰილიზმი და ეროვნული ხასიათი // კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები, შემდგენელი, შესავალი წერილის ავტორი და რედაქტორი პროფესორი მიხეილ მახარაძე, ბათუმი, 2009, გვ. 90.

¹⁰⁹ დიალექტიკური მატერიალიზმი, თბ., 1970, გვ. 289.

¹¹⁰ გურამ თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2002, გვ. 23.

უმაღლესი ღირებულებების გაუფასურებას, მიზანდაკარგულობას, კითხვაზე „რატომ?“ პასუხის ვერ მონახვას ნიშნავს. ფრ. ნიცშეს ნიჰილიზმის ფსიქოლოგიურ საფუძველს მარტოობის, უპერსპექტიობის, უიმედობის გრძნობა წარმოადგენს, რომლითაც შეპყრობილია ტრადიციული მეტაფიზიკის მიერ იდეალურად, ჭეშმარიტად თუ აბსოლუტურად მიჩნეული ღირებულებების დამკარგავი ადამიანი. ადამიანი, რომლისთვისაც, როგორც ნიცშე იტყოდა, „მკვდარი არიან ყველა ღმერთები“¹¹¹ და მაშასადამე, აღარ არსებობს მისი აზროვნებისა და მოქმედების სანდო საზომი, უმაღლესი მიზანი.

„ნიჰილიზმის ერთმნიშვნელოვანი დადგენა შეუძლებელია, თუ არ იქნება დადგენილი მისი მიმართება შესაბამის ობიექტთან, ანუ არ იქნება იგი განხილული, როგორც გარკვეული კონტექსტის ელემენტი.“¹¹² იმის მიხედვით, თუ რა სახის ღირებულებებისა და სოციალური ცხოვრების რომელი სფეროს უარყოფასა და გადაფასებაზეა ლაპარაკი, განასხვავებენ ნიჰილიზმის სხვადასხვა სახეს – სამართლის, კულტურის, პოლიტიკის, იდეოლოგიის, ეროვნულის და სხვა.

5.3. ნიჰილიზმი, როგორც ღირებულება. ნიჰილიზმი, თავისთავად აღებული, ღირებულებას წარმოადგენს, იმდენად რამდენადაც მისი შეფასება შეიძლება. ღირებულების ცნების შემომტანი ლოტცე აღნიშნავდა „ღირებულება არის ის, რაც მნიშვნელობს“ და აქედან გამომდინარე, ნიჰილიზმი ღირებულებაა, იგი მნიშვნელობს, დამოუკიდებლად იმისა თუ როგორია მისი მნიშვნელობა – დადებითი თუ უარყოფითი. უარყოფითი მნიშვნელობის მქონე მოვლენაც ღირებულებაა, მაგრამ არა ღირებული ღირებულება, არამედ უარყოფითი ღირებულება. შესაძლებელია „ერთი და იგივე ღირებულება სხვადასხვა პირობებში შეიძლება გახდეს სხვადასხვა, ხანდახან კი ურთი-

¹¹¹ ფრ. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ., 1993, გვ. 65.

¹¹² А. И. Новиков, Нигилизм и нигилисты, М., 1972. С. 9.

ერთდაპირისპირებულ მოვლენათა წყარო¹¹³ და მაშასადამე, ნიჰილიზმის მნიშვნელობაც შეიძლება სხვადასხვა იყოს. ჩვენს შემთხვევაშიც, ნიჰილიზმი, რომელსაც ნიცშე და ჰაიდეგერი ევროპის ისტორიის განვითარების შინაგან ლოგიკად მიიჩნევენ და მას ამდენად დადებით ღირებულებად აცხადებდნენ, დღევანდელი საქართველოსთვის უარყოფითი მოვლენაა, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს სინამდვილეში ეს-ესაა საზოგადოებრივ ცნობიერებაში ადგილს იმკვიდრებს ზოგად სახელმწიფოებრივი ღირებულებები და პრინციპები. ამ ღირებულებებსა და პრინციპებში ჰიპერტროფირებულ დაექვებას, მის უარყოფას, მით უფრო ისეთ დაექვებას და უარყოფას როცა დაექვებულს ხელთ არანაირი პოზოტიური პროგრამა არ აქვს, (განსხვავებით იმ ნიჰილიზმისაგან ნიცშე და ჰაიდეგერი რომ გულისხმობს, ნიცშესთან ნიჰილიზმი კულტურის რადიკალური თვითკრიტიკის საშუალებაა და კულტურის ზოგადი ტენდენციის გამომხატველია¹¹⁴), ან თუ აქვს ძალზე აბსტრაქტული და ამორფული ხასიათისაა, მაქსიმალიზმამდე და რადიკალიზმამდე მიყვავართ, რომელიც თანდათ პოლიტიკურ ექსტრემიზმში გადაიზრდება და იქმნება იმის საშიშროება, რომ აღიგაოს პირისაგან მიწისა ის, პოზიტიური საწყისები, რაც ქართული სახელმწიფოებრიობისა და ღირებულებების დამკვიდრებისათვის გაკეთებულა. ამდენად, თანამედროვე საქართველოსთვის სოციალური ნიჰილიზმი დესტრუქციულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რაც აქტუალურს ხდის ზოგადად სოციალური ნიჰილიზმისა და კერძოდ, სამართლის ნიჰილიზმის კვლევას.

¹¹³ თ. ბოჭორიშვილი, ღირებულებების ობიექტურობა და პიროვნების პრობლემა // ადამიანი, გონი, ღირებულება, თბ., 1991, გვ. 33.

¹¹⁴ Л.Н. Лабунская, Социальное наследование в зеркале нигилизма // Философия права, 2009, №1(32). С. 95.

5.4. სამართლის ნიჰილიზმის ცნება და ნიშნები. სამართლის ნიჰილიზმი სოციალური ნიჰილიზმის ერთ-ერთი სახეა. იგი კანონისა და სამართლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველი მოვლენაა. სამართლის ნიჰილიზმი, სამართლის სრულ იგნორირებას, ან მის მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებას გულისხმობს და აგდებულად ეკიდება სამართლის როლს საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში.

სამართლის ნიჰილიზმი ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით:

ა. სამართლის ნიჰილიზმი, როგორც აღენიშნეთ, ნეგატიური დამოკიდებულებაა სამართლისადმი, კანონისადმი, ნორმატიული წესრიგისადმი. უარყოფა კი პიროვნული მოღვაწეობის, მისი ცნობიერების აქტიობის ერთ-ერთი ძირითადი შედეგია და დამოკიდებულია პიროვნების ინტელექტზე, მის ნებაზე, ნიჭზე, ხასიათზე, ემოციაზე, განწყობაზე და სხვა. ამდენად, სამართლის ნიჰილიზმში მნიშვნელოვანია პიროვნული მომენტები. აქედან გამომდინარე, სამართლის ნიჰილიზმი, სამართლის ისეთი უარყოფაა, სადაც მნიშვნელოვანია უარყოფელი პიროვნება, ვიდრე უარსაყოფი ობიექტი. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ნიჰილიზმის საგანი სამართალი და სამართლებრივი რეალობაა, მასში სუბიექტის ინდივიდუალურ ცნობიერებას უპირატესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სამოქალაქო (სიმაძაცე, ტოლერანტობა, ავტონომიურობა, თავდადება და სხვა) და პოლიტიკურ (ზომიერება, სიმტკიცე, პრინციპულობა, სიფრთხილე და სხვა) სათნოებებზე დაფუძნებული “პირადი რწმენა, პირადი გადაწყვეტილება კანონის შესრულების უპირველეს საფუძველს, მის გარანტს წარმოადგენს.”¹¹⁵ პიროვნებაზეა დამოკიდებული აგრეთვე, სამართლებრივი სინამდვილის უარყოფის ინტენსიობაც და კატეგორიულობაც. სამართლის ნიჰილიზმი ეროვნული ფსიქოლოგიის,

¹¹⁵ А.И. Ильин, Наши задачи, М., 1993. С. 86.

კულტურის, ტრადიციების, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, პიროვნების გონების, გრძნობის, განწყობილებისა და მოქმედების გარკვეული მდგომარეობაა, მაშასადამე, სამართლებრივი მოვლენების ინდივიდუალური შეფასებაა ატომიზირებული ინდივიდის პოზიციიდან. ამიტომ სამართლის ნიჰილიზმი შეიძლება იყოს აქტიური და პასიური, მტკიცე და სპონტანური, მუდმივი და სიტუაციური და სხვა;

ბ. სამართლის ნიჰილიზმისათვის დამახასიათებელია ჰიპერტროფული ეჭვი და სამართლებრივი მოვლენების უარყოფა სამართლებრივი ცნობიერების ფსიქოლოგიის, იდეოლოგიის თუ თეორიის დონეზე. სამართლის ნიჰილისტის ცნობიერებაში გაჩენილი ეჭვი და უარყოფა წარმართავს მის მთელ ცნობიერებას, იმორჩილებს ცნობიერების სხვა ელემენტებსაც და მოიცავს მას, რაც როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სახით შეიძლება გამოვლინდეს. სამართლის ნიჰილიზმის თეორიულ გამოვლენაში იგულისხმება იმის გულწრფელი დასაბუთება, რომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ღირებულება ვიდრე სამართალია და რომ სხვა ღირებულებებთან შედარებით სამართლის როლი არარაობაა საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაში, ხოლო სამართლის ნიჰილიზმის პრაქტიკული გამოვლენა კი გულისხმობს აღნიშნული იდეების ხორცშესხმას პრაქტიკულ ცხოვრებაში, როგორც მოქალაქეების, ისე სახელმწიფოს მხრიდან.

გ. სამართლის ნიჰილიზმისათვის დამახასიათებელია უარყოფილი სამართლებრივი მოვლენების სანაცვლო პოზიტიური პროგრამის არარსებობა ან მისი უკიდურესი სისუსტე და ამორფულობა, ამიტომ სამართლის ნიჰილიზმი, ფაქტობრივად, სამართლის ნეგატივიზმამდე დადის;

დ. სამართლის ნიჰილიზმი არ წარმოადგენს სამართლებრივი ცნობიერებისათვის მუდმივად დამახასიათებელ მდგომარეობას, მას ტრანზიტული ხასიათი აქვს და წარმოშობი მიზეზების აღმოფხვრის შედეგად შეიძლება მისი დაძლევაც.

სამართლის ნიჰილიზმის აღნიშნული ნიშნების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგნაირად განვსაზღვროთ იგი: სამართლის ნიჰილიზმი გარკვეულ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და იდეურ საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ცნობიერების ისეთი გარდამავალი მდგომარეობაა, რომელიც ჰიპერტროფირებული ეჭვის საფუძველზე უარყოფს სამართლის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სანაცვლოს შეთავაზების გარეშე.

ვფიქრობთ, აღნიშნული განსაზღვრება მოიცავს სამართლის ნიჰილიზმისათვის დამახასიათებელ ყველა არსებით მომენტს და არ აკეთებს აქცენტს მის მხოლოდ ერთ-ერთ რომელიმე ნიშანზე, რითაც თავიდან იცილებს სამართლის ნიჰილიზმის ისეთი ცალმხრივი განსაზღვრებისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებას როგორცაა: “სამართლის ნიჰილიზმი წარმოადგენს სამართლისადმი უარყოფით და გულგრილ დამოკიდებულებას, დაფუძნებულს მოსახლეობის იურიდიულ უეცილობაზე ან სამართლებრივი აღზრდის დეფიციტზე.”¹¹⁶ ასეთი განსაზღვრებები, სამართლის ნიჰილიზმის მხოლოდ ერთ-ერთ ნიშანზე დაყვანით, აიოლებს მისი როგორც წარმოშობის, ასევე აღმოფხვრის საკითხის კვლევას. მოცემული განსაზღვრების მიხედვით სამართლის ნიჰილიზმი გაგებულია, როგორც მხოლოდ იურიდიული უეცილობის შედეგი და შესაბამისად მისი აღმოფხვრა, მხოლოდ სამართლებრივი აღზრდის სათანადო დონეზე დაყენებითაა შესაძლებელი, მაშინ, როცა სამართლის ნიჰილიზმი, როგორც ცნობილია, შემოქმედებით თუ სამეცნიერო ინტელიგენციაში უფრო ფართოდაა ფეხმოკიდებული, ვიდრე საზოგადოების სხვა სოციალურ ფენაში, რაც მისი წარმოშობის მიზეზთა მრავალგვარობაზე მიუთითებს. სამართლის ნიჰილიზმი სამართლებრივი ცნობიერების ნეგატიური მდგომარეობაა, გამოწვეული მიზეზთა მთელი წყებით, რის გამოც რთულდება მისი დაძლევა.

¹¹⁶ А.В. Якушев, Теория государства и права(конспект лекций), М.,2000. С. 164.

სამართლებრივი ცნობიერების ნეგატიური მდგომარეობა სოციალური სინამდვილის არასაკმარისი ორგანიზაციის, მისი განუვითარებლობის მანქვებელია და სამართლებრივი სინამდვილის აუცილებელ შეცვლაზე მიუთითებს.

5.5. სამართლის ნიჰილიზმის წარმოშობის მიზეზები.

სამართლის ნიჰილიზმი ადამიანისა და სოციალური გარემოს ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი მოვლენაა. იგი არც ექსტრავაკანტური აზროვნებაა და არც ცნობიერების პათოლოგიური გადახრის შედეგი, მას მრავალი მიზეზი განაპირობებს, მათ შორის არსებითია ისტორიულ-ეთნიკური, პიროვნულ-ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, თეორიული, იურიდიული და სხვა. დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

ისტორიულ-ეთნიკურ მიზეზთა წყებას განეკუთნება ამა თუ იმ ერის ისტორიული დამოკიდებულება სამართალთან და შესაბამისი სოციალური გამოცდილების ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით, საქართველოში სამართლის ნიჰილიზმის წარმოშობას საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი აღმოაჩნდა. “სამართალმა პური ჭამას” გვერდით არსებობს უამრავი ქართული ანდაზა, რომლებიც სამართლისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავს (“სამართალი არც ქმნილა და არც იქნებაო,”¹¹⁷ “სასამართლოში ქათამზე რომ ჩიოდე, ინდოური ხელში უნდა გეჭიროსო”¹¹⁸ და სხვა). ერთ-ერთი მოგზაურის თქმით, ვახტანგისეულ სამართლის წიგნთა კრებულის ორიგინალზე საქართველოს მეფეს, ვახტანგ VI-ს, საკუთარი ხელით ასეთი ფრაზა წაუწერია: “ბოლოს და ბოლოს ჩემს ხალხს მე მივეცი დაწერილი კანონთა წიგნი, მაგრამ ამ კანონებს იშვიათად დაიცავენ საქართველოში, სადაც არასოდეს სცნობდნენ სამართალს.”¹¹⁹ ზოგი მკვლევარი

¹¹⁷ ქართული ანდაზები და გამოცანები, თბ., 1991, გვ. 61.

¹¹⁸ თ. სახოკია, ქართული ანდაზები, თბ., 1967, გვ. 170.

¹¹⁹ ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, გვ. 210.

ამ ცნობის ნამდვილობას უარყოფს.¹²⁰ მაგრამ ვახტანგ VI-ის ნამდვილად აღიარებული შემდეგი სიტყვებიც უარყოფითად ახასიათებს იმდროინდელი ქართველების დამოკიდებულებას სამართალზე: „იყო ქვეყანა ესე ქართლისა ყოვლითურთ კეთილითა შემკულ და შეზავებულ, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდნენ და განაგებდნენ, ვიეთნიმე მოყვრობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღვთის ურიდველობითა, ვიეთნიმე მიღებითა ქრთამითა ვითარცა ენებათ, სჯიდნენ,“¹²¹ როგორც ვხედავთ, მეფე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ საქართველოში „განსჯა და განგება“ ხდებოდა მოყვრობით, მეგობრობით, რდიით, მოურიდებლობით, ქრთამით, ერთი სიტყვით, საკუთარი ნების საფუძველზე და არა გარკვეული კანონის მიხედვით. „უქრთამო სამართალს“ ნატრობს სულხან-საბა ორბელიანიც, როცა ამბობს: „მეფეთაგან სამს დაიმაღლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.“¹²² კონსტანტინე კაპანელის აზრით კი „ქართველი ხალხი თუმცა არ არის ბუნებრივად ბუნტარული ტიპისა, მაგრამ არც სახელმწიფოებრივი სისტემის ხალხია. ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრება ქართველმა ხალხმა ისე გაატარა, სისტემურად თითქმის ორი საუკუნე არ ცხოვრობდა წესიერ სახელმწიფოებრივ პირობებში და ამიტომ, ცხადია, ქართველის სულში რატომ არ არის არავითარი მოთხოვნილება სისტემისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“¹²³

ქართველი ხალხის ამდაგვარ დამოკიდებულებას კანონისა და კანონიერებისადმი, საინტარესოდ ხსნის თ. სილა-

¹²⁰ იქვე, გვ. 342.

¹²¹ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, თბ., 1955, გვ. 45.

¹²² ქართული პროზა, ოცდაათ ტომეული, ტ. VII, თბ., 1989, გვ. 45.

¹²³ კ. კაპანელი, სოციალური ესთეტიკის საფუძველები. ორგანოტროპიზმი, თბ., 1925, გვ. 232.

გაბე,¹²⁴ მისი აზრით, ქართველების მიერ, თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, საკუთარი დამოკიდებულების გამომუშავებას პოზიტიური სამართლისადმი, დაჩაგრული ხალხის კომპლექსი განაპირობებდა. მართლაც, საქართველო და ქართველი ხალხი ხანგრძლივი დროის მანძილზე სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ექსპანსიას განიცდიდა, რაც მათ, სხვა ქვეყნების კანონების შესრულებას აიძულებდა. დამპყრობთა კანონები კი ძირითადად მიმართული იყო საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებისაკენ და ფაქტობრივად, უგულვებელყოფდა ქართველი ხალხის ინტერესებს, მათი ეთნოკულტურისა და ეთნოფსიქიკის თავისებურებებს. რის გამოც ეს კანონები მიუღებელი იყო ქართველი ხალხისათვის. ამიტომ, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ფაქტობრივად, კანონის, უფრო ზუსტად კი დამპყრობლის კანონის, მაგრამ მაინც კანონის, წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა იყო და შესაბამისად მეფე იქნებოდა, თავადი თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა წარმომადგენელი, ამ კანონების წინააღმდეგ იბრძოდნენ და ამ ბოლოით აღიქმებოდნენ ხალხის ცნობიერებაში ეროვნულ გამიჯნებად, რაც კანონის დარღვევას მისაბამს ხდიდა და კანონის დარღვევის კულტს ამკვიდრებდა. ეს ტენდენცია ნაწილობრივ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდშიც გაგრძელდა, ამ ტენდენციას, სავსებით სამართლიანად, ხოტბას ასხამდა და ამართლებდა ქართული კულტურა. ყოველივე ეს ხალხის ფსიქიკაში ცნობიერ თუ ქვეცნობიერ დონეზე უარყოფით დამოკიდებულებას ამკვიდრებდა კანონის მიმართ. ასე რომ, დაჩაგრული ხალხის კომპლექსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართველი ხალხის ცნობიერებაში სამართლისადმი ნიჰილისტური დამოკიდებუ-

¹²⁴ თ. სილაგაძე, პიროვნების კანონთან დამოკიდებულების ზოგიერთი ფსიქოლოგიური ასპექტი // სამართალი, №2, 2000, გვ. 77-80.

ლების გაჩენისათვის. მით უფრო მაშინ, როცა უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ისეთი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ ყოფნა ერგო წილად, რომლებიც თავის მხრივაც დიდად არ გამოირჩეოდნენ კანონისა და სამართლისადმი პატივისცემით. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ რუსეთი. გერცენის თქმით, “რუსი რა რანგისაც არ უნდა იყოს, გვერდს უვლის ან არღვევს კანონს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია დასჯის გარეშე, ასევე იქცევა მთავრობაც.”¹²⁵ ნ. ბერდიაევი სახელმწიფოს განიხილავდა, როგორც ეშმაკისეულ ცდუნებას და ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მსხვერპლად ეწირება ადამიანი, პიროვნება,¹²⁶ ხოლო ლ. ტოლსტოის მიხედვით, სამართალი ხელისუფლების საძაგელი სიცრუეა და მის შეცვლას ითხოვს ზნეობრივი ნორმებით. ვლ. სოლოვიოვიც ზნეობრივ ნორმებს უპირატესობას ანიჭებდა სამართალთან შედარებით და სამართალი ზნეობის მინიმუმად მიაჩნდა.

მაშასადამე, ქართველი ერის მაგალითზე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ისტორიულ-ეთნიკურ მომენტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამართლის ნიჰილიზმის წარმოშობის საქმეში და საზოგადოებრივ ცნობიერებაში მისი არსებობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სამართლის ნიჰილიზმის წარმოშობისა და არსებობის ერთ-ერთი მიზეზი პიროვნულ-ფსიქოლოგიურია. ცნობილია, რომ ყველა ადამიანს საკუთარი ინტერესები და იდეალები გააჩნია. იგი ამ ინტერესებისა და იდეალების მიღწევა-დამკვიდრებას ცდილობს, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა საკუთარი მოქმედების გარდა იმ გარემოებებზეცაა დამოკიდებული, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება. ეს გარემოებები კი სხვადასხვა პირობებითაა განპირობებული, შეზღუდული თუ

¹²⁵ А.С. Герцен, Собр. соч. Т. VII, 1950. С. 251.

¹²⁶ Н.А. Бердяев, Государство// Власть и право: Из истории русской правовой мысли, Л., 1990. С. 282.

შეპოჭილი. ის ურთიერთობები, რომლებშიც ადამიანს უხდება მოღვაწეობა, ძირითადად ტრადიციებით, ზნე-ჩვეულებებით, მცნებებითა თუ კანონ-წესებით განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობებია. ამდენად, პიროვნების თავისუფალი მისწრაფება გარკვეული ინტერესებისა და მიზნებისაკენ იზღუდება და იფარგლება სხვადასხვა იმპერატივით. საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი კი სამართალია და შესაბამისად პიროვნების ინტერესებისა და იდეალების განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამართალზე. ამიტომ, ადამიანი თავის პიროვნულ წარმატება-წარუმატებლობას თავისთავად უკავშირებს სამართალსაც და საკუთარი წარმატება-წარუმატებლობის შესაბამისად უყალიბდება დამოკიდებულება სამართალსა და კანონზე. ხანგრძლივი წარუმატებლობით მობეზრებული ადამიანი, ერთგვარ ფრონდალურ დამოკიდებულებას იჩენს ყველაფრისა და მათ შორის სამართლის მიმართაც. პიროვნებას, საკუთარი სამართლებრივი უვიცობის გამოც, შეიძლება ჩამოუყალიბდეს ნეგატიური დამოკიდებულება სამართლისადმი. სამართლის ნიჰილიზმი შეიძლება წარმოიშვას პიროვნების საკუთარი სოციალურ-სამართლებრივი სტატუსით გამოწვეული უკმაყოფილების შედეგადაც, ან სამართლოს მიერ მიღებული სავსებით სამართლიანი, მაგრამ პიროვნების ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებით. ასეთი უსიამოვნო ურთიერთობები სამართლებრივ სინამდვილესთან სამართლის ნიჰილიზმის წარმოშობა-არსებობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამწუხაროდ, სამართლებრივი სინამდვილე ხშირად განსხვავდება სამართლის ნორმებში მოცემული ჯერარსული სინამდვილისაგან, პიროვნება სამართალს ძირითადად სახელმწიფო ორგანოების, მისი ჩინოვნიკების საშუალებით ხვდება, რომლებიც ხშირად ართულებენ სამართლის “ნორმალურ ცხოვრებას”, რაც შესაბამისად, პიროვნების სამართლებრივი ცხოვრების დეფორმაციას, მასში იურიდიული ნეგატივიზმის ჩამოყალიბებას, სამართლისადმი

სკეპტიკურ, გნებავთ, ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იწვევს.

სამართლის ნიჰილიზმის წარმომშობ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი როლი სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება. სოციალური დაბაბულობა, ეკონომიკური სიძნედეები და სხვა, არათუ ხელს უწყობს სამართლებრივი ნიჰილიზმის არსებობას, არამედ კვლავაწარმოებს მას. ცხოვრების დონის გაუარესება, სოციალური დაუცველობა, იდეალურ პირობებს ქმნის იმათთვის, ვისაც კანონები არასოდეს ეხატებოდა გულზე, ვისთვისაც უპირველესი ეგოისტური ინტერესები იყო და არის. ასეთ პირობებში სხვადასხვა ფასეულობების გადარჩენის ლოზუნგით ნებადართულად ცხადდება სამართლისა და სხვა სოციალური ნორმების იგნორირება.

სამართლის ნიჰილიზმის წარმოშობა-არსებობის ერთ-ერთ ფაქტორს თეორიული ფაქტორი წარმოადგენს. თეორიულ ანუ მსოფლმხედველობით ფაქტორში ვგულისხმობთ სამართლის როლისა და მნიშვნელობის დამახინჯებულად წარმომჩენ თეორიებს, მარქსისტული მსოფლმხედველობის “წყალობით” აღნიშნული ფაქტორი დღესაც მნიშვნელოვანია. მარქსიზმი-სათვის სახელმწიფო და სამართალი კლასობრივი დაპირისპირების შედეგი და ჩაგვრის იარაღია ერთი კლასის ხელში მეორის მიმართ და საბოლოოდ, მარქსიზმის მიხედვით, ერთიცა და მეორეც უნდა მოკვდეს, რაც სამართლის ნიჰილიზმის აშკარა, შეუფარავ ქადაგებას წარმოადგენს.¹²⁷ სამართლის ნიჰილიზმის იდეურ-მსოფლმხედველობით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე დანაშაულის ესტეტიზაციის პროცესი როგორც საზღვარგარეთულ, ასევე სამამულო ფილმებში, პრესაში, მხატვრულ ლიტერატურაში, ტელევიზიაში. დანაშაულის მაქებარი ან შემწყნარებელი იდეის მატარებელი ნაწარმოებებისა თუ გადაცემების მომრავლება საზოგადოე-

¹²⁷ ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998, გვ. 41.

ბის დიდ ნაწილში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში, ხელს უწყობს ანტისამართლებრივი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას.

სამართლებრივი ნიჰილიზმის ერთერთი მიზეზი საკუთრივ იურიდიულია და თავს იჩენს თვით კანონმდებლობაში. „კანონთა წამდაუწუმ ცვლა,“¹²⁸ მათი არასრულყოფილება და ურთიერთდაპირისპირებულობა, კანონთა გადატვირთვა ე.წ. “შეკვდარი ნორმებით”, ანუ ისეთი ნორმებით, რომელთა განხორციელებისთვის არ არსებობს არავითარი რეალური მექანიზმი, პრაგმატული, ასე ვთქვათ, მომხმარებლური, იდეოლოგიური თუ ვიწრო პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე კანონმდებლობა, ხელისუფლების შტოებს შორის დაპირისპირება, პოლიტიკოსთა პოლიტიკანობა და ცინიკური პოპულიზმი, სამართლებრივი ორგანოების დაბალი ავტორიტეტი, რაც თავის მხრივ სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული, სამართლის ნიჰილიზმის აღმოცენების უმთავრესი პირობებია.

5.6. სამართლის ნიჰილიზმის გამოვლენის ფორმები.

სამართლის ნიჰილიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა იმ სფეროში შეიძლება გამოვლინდეს, რომელსაც არეგულირებს სამართალი. შესაძლებელია სამართლის ნიჰილიზმის გამოვლენის შემდეგი ძირითადი ფორმების გამოყოფა:

1. კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების წინასწარგანზრახული დარღვევა, რაც სამართლის ნიჰილიზმის გამოვლენის ყველაზე საშიში და უხეში ფორმაა.

2. იურიდიული დანაწესის შეუსრულებლობა. სამართლის ნიჰილიზმის გამოვლენის აღნიშნული ფორმა გულისხმობს მოქალაქეების, თანამდებობის პირების, სახელმწიფო ორგანოებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ზოგადად თუ ვიტყვით, სამართლის სუბიექტების მხრიდან თავიანთი ქცევის შეუსაბამობას სამართლის ნორმების მოთხოვნებთან;

¹²⁸ ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, გვ. 145.

3. ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი თუ პარალელური სამართლებრივი აქტების გამოცემა ანუ “კანონთა ომი”. სამართლის ნიჰილიზმის გამოვლენის აღნიშნული ფორმა დამანგრეველი ძალით მოქმედებს ნებისმიერი სახელმწიფოს სამართლის სისტემაზე. აბსურდამდე დაჰყავს სამართლებრივი ურთიერთობები.

სამართლის ნიჰილიზმის აღმოფხვრა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან რთული და ხანგრძლივი პროცესია, საამისოდ საჭიროა სამართლის ავტორიტეტის, მისი, როგორც ღირებულებების აღსადგენად შესაბამისი პირობების მომზადება, ეს კი, უპირველესად, მიიღწევა კანონთა ხარისხის გაუმჯობესებით; კანონიერების განმტკიცებით; სამართლის როლის ზრდით; მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდით; საზოგადოების სამართლებრივი კულტურის სისტემატური ამაღლებით; კონსტიტუციის უმაღლესობის რეალური განხორციელებით და სხვა.

როგორც ვნახეთ, სამართლის ნიჰილიზმის წარმოშობას ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების, ეროვნული ფსიქოლოგიის, ტრადიციის, ცხოვრების წესის, სოციალური გარემოს ხასიათი და სხვა. იგი ვლინდება საზოგადოების, ადამიანთა ჯგუფის, ფენის თუ ცალკეული ინდივიდის დონეზე, ამიტომ მისი გადალახვისათვის მიმართული საქმიანობა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის, ფენის, ასაკის, სქესის, ერის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს.

Tavi 6. iuriduli pozitivizmis filosofiur-samarTlebrivi aspeqtebi

6.1. ტერმინი „პოზიტივიზმი.“ სიტყვა პოზიტივიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან პოზიტიური (positivus), რაც ქართულად ფაქტებზე, ცდაზე დამყარებულს, დადებითს, ნეგატიურის საპირისპიროს ნიშნავს. აღნიშნული ტერმინი სამეცნიერო სიტყვა-ხმარებაში შემოიტანა ფრანგმა ფილოსოფოსმა ოგიუსტ კონტმა (1798-1857) მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

6.2. ტერმინი „იურიდიული პოზიტივიზმი.“ ამ ტერმინით აღნიშნავენ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში წარმოშობილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფილოსოფიურ-სამართლებრივ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც სამართალი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონებია და იურისპრუდენციის ამოცანები პოზიტიური სამართლის შესწავლით ამოიწურება. იურიდიულ ლიტერატურაში, არცთუ იშვიათად, იურიდიული პოზიტივიზმის ტერმინის ქვეშ მოაზრებულ მიმდინარეობას აღნიშნავენ აგრეთვე „სამართლის პოზიტივისტური თეორიის“, „სამართლებრივი ეტატიზმის“, „ფორმალურ-დოგმატური იურისპრუდენციის“, „ანალიტიკური იურისპრუდენციის“, „სამართლის წმინდა თეორიის“, „პოზიტიურ-ნორმატიული“ ან, უბრალოდ, „ნორმატიული“ თეორიის და სხვა სახელით. თუმცა, შევნიშნავთ, რომ ნორმატიულობას, როგორც სამართლის არსებით თვისებას, სამართლის უკლებლივ ყველა მიმდინარეობა აღიარებს, შეიძლება გამონაკლისს წარმოადგენდეს სამართლის რეალისტური გაგება, ამიტომ მხოლოდ იურიდიული პოზიტივიზმის ნორმატიულ თეორიად მოხსენიება, ისევე როგორც ამ თეორიების სინონიმებად გამოცხადება, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. საქმე ის გახლავთ, რომ იურიდიული პოზიტივიზმი, რომელიც სამართალსა და კა-

ნონს მთლიანად აიგივებს ერთმანეთთან, გარკვეულად განსხვავდება იმ იურიდიული პოზიტივიზმისაგან, რომელიც სამართლის ნორმას იურიდიული პრაქტიკისათვის იმპულსის მიმცემ დამოუკიდებელ შემოქმედ ძალად აცხადებს და იმ იურიდიული პოზიტივიზმისაგან, რომელიც ყოველგვარი სოციალურისაგან სამართლის „გაწმენდას“ თავის უმთავრეს მისიად მიიჩნევს.¹²⁹

6.3. პოზიტიური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები.

პოზიტიური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები მოცემულია მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის ფრანგი სოციოლოგის ოგიუსტ კონტის შეხედულებებში. თავის ექვსტომიან „პოზიტიური ფილოსოფიის კურსში“ (1830–1842 წწ.) და ტრაქტატში „პოზიტიური პოლიტიკის სისტემა, როგორც ტრაქტატი კაცობრიობის რელიგიის დამდგენი სოციოლოგიის შესახებ“ (1854წ.) მან პირველად შემოიტანა „პოზიტიური ფილოსოფიის“ ტერმინი და მიუთითა იმ ძირითად პრინციპებზე, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა საზოგადოების შესახებ ცოდნის გადაქცევა მეცნიერულ ცოდნად. კონტის პოზიტივიზმი გულისხმობს პოზიტიურ ანუ მისტიკურ-მეტაფიზიკური კომპონენტებისაგან თავისუფალ ცოდნას,¹³⁰ ეს ის პერიოდია (მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი), როცა მეცნიერებამ პოპულარობის პიკს მიაღწია, ღირებულად გამოცხადდა ყველაფერი ის, რაც მეცნიერებასთან თუ მეცნიერულობასთან იყო წილნაყარი, იმდენად მოდურ გატაცებად და ავტორიტეტულ საქმიანობად იქცა მეცნიერება, რომ ინტელექტუალური საქმიანობის სხვა სახეობები ჩრდილში მოექცა. ამ პერიოდის ხელოვნების ზოგი წარმომადგენელი მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით ცდილობდა ხელოვნების ნიმუშე-

¹²⁹ Г.В. Мальцев, Понимание права. Подходы и проблемы, М., 1999. С.148-149.

¹³⁰ В. А. Бачинин, История философии и социологии права, Спб., 2001. С. 212.

ბის შექმნას. აღნიშნული ტენდენციის მკაფიო გამოხატულებაა მხატვრულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმისა და ნატურალიზმის, როგორც სინამდვილის „სარკისებურად“ ამსახველი მიმდინარეობების გაჩენა. ამ პერიოდის ფერწერაში, განსაკუთრებით პეიზაჟურ ქანრში, იმპრესიონისტები ბუნების ზუსტი მეცნიერული ასახვის მიზნით ხელმძღვანელობდნენ ხედვითი აღქმისა და სინათლის სტრუქტურის თეორიის მონაცემებით.

მეცნიერების ამ არნახული გაქანების, არნახული წარმატების გამო, გაკეთდა დასკვნა, რომ ცოდნის ნებისმიერ სფეროს მეცნიერული საფუძველი უნდა ჰქონდეს და დღის წესრიგში დადგა საზოგადოების შესახებ ცოდნის, ასეთად კი უპირველესად სოციოლოგია მოიაზრებოდა, ისეთ პრინციპებზე აგება, რომელიც უზრუნველყოფდა მის მეცნიერულობას. კონტმა სწორედ ეს დაისახა მიზნად, იგი დარწმუნებული იყო, რომ ჭკმშარიტი ცოდნის მიღწევა დაკვირვების შედეგად მიღებული თეორიული ცოდნის შემოწმების გზით შეიძლებოდა. მისი აზრით, სპეკულატიური ე.წ. გონებაჭვრეტითი ფილოსოფია არ წარმოადგენდა ცოდნის მიღების საშუალებას. კონტი ეყრდნობა კანტს და მიიჩნევს, რომ ადამიანისათვის მიუწვდომელია საგნის არსის წვდომა, რომ შემეცნება შეზღუდულია ცდით და შემეცნების შინაარსი მოვლენების აღწერასა და მათ შორის კავშირების დადგენით შემოიფარგლება. აქედან გამომდინარე, ცოდნის მიღება, პოზიტივიზმის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული სპეციალური მეცნიერებების მიერ, რომლებიც ახდენენ ფაქტების აღწერასა და მათ სისტემატიზაციას.

ამდენად, დებულებები, რომლებიც მეტისმეტი აბსტრაქტულობის გამო შეუძლებელია შემოწმდეს ცდით, პოზიტივიზმის მიხედვით, მცდარია ან აზრს მოკლებულია. ამიტომ, კონტის აზრით, უნდა შეიქმნას ახალი, თეორიული სპეკულაციისაგან პრინციპულად განსხვავებული, არამეტაფიზიკური, ასე ვთქვათ, პოზიტიური ფილოსოფია, რომელიც აიგებოდა

ემპირიული მეცნიერების მსგავსად და ექნებოდა მათი მეთოდოლოგია, მოახდენდა ფაქტებზე დაკვირვებასა და ანალიზს. ოგიუსტ კონტის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოზიტიური ფილოსოფია აღნიშნავს “ფილოსოფიური აზროვნების სპეციალურ წესს, რომელიც აღიარებს, რომ თეორიებს, იდეათა რომელ სფეროსაც არ უნდა ეკუთვნოდენ ისინი, მიზნად აქვთ დაკვირვებადი ფაქტების ურთიერთშეთანხმება.”¹³¹

6.4. იურიდიული პოზიტივიზმის წარმოშობის მიზეზები. იმ პირობებში, როცა მეცნიერებამ და კვლევის მეცნიერულმა მეთოდებმა, ტექნიკურმა იმპერატივებმა ესოდენ დიდი ყურადღება მიიქციეს სოციოლოგიის, სოციოლოგიური ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის მხრიდან, იურისტებიც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სამართლის მეცნიერებაც უნდა განვითარებულიყო აღნიშნული ტენდენციით. სამართლის მეცნიერება გამოცხადდა ემპირიული ეპისტემოლოგიის საგნად. იურიდიული პოზიტივიზმი იყო ერთგვარი ამბოხი სამართლის ბუნებითი თეორიის დოქტრინის მიერ განვითარებული იურიდიული მეტაფიზიკის წინააღმდეგ. პოზიტივისტების აზრით, მეტაფიზიკური აზროვნება ფაქტის ახსნის ანუ ფაქტის რეალური მიზეზების დადგენის ნაცვლად, მხოლოდ სახელს არქმევს ასახსნელ ფაქტს,¹³² აქედან გამომდინარე, კითხვაზე „რა არის სამართალი?“ თეორიულმა მეტაფიზიკამ შეიძლება უპასუხო: სამართალი არის ან ღვთის ნება ან ადამიანის გონი. ამ პასუხით არ აიხსნა, თუ რა არის სამართალი, პირიქით, მეტაფიზიკოსმა, ნამდვილი ცოდნის მაგივრად, მოგვაწოდა ცარიელი სიტყვები, რომლებმაც კიდევ უფრო გაართულა სამართლის, როგორც ფაქტის, ახსნა. გართულება

¹³¹ И. Ю. Козлихин, Позитивизм и естественное права // Государство и право, 2000, № 3. С.2.

¹³² სერგი დანელია, ოგიუსტ კონტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა // სერგი დანელია, ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1978, გვ. 443.

გამოიწვია იმან, რომ არც ღვთის ნება და არც ადამიანის გონი არ ეძლევა ადამიანს ემპირიულად. აზროვნებას კი, როგორც პოზიტივისტები ფიქრობენ, მხოლოდ გრძნობითი ორგანოებით მიღებულ ინფორმაციაში შეუძლია კანონზომიერებებისა და წესების აღმოჩენა. იგი ვერ სწავდება იმას, რაც ადამიანს არ ეძლევა, როგორც აღქმადი რამ, ასეთი არააღქმადია ღვთის ნებაც და ადამიანის გონიც. ამიტომ იგი ვერ იქცევა მეცნიერული კვლევის ობიექტად. ამდენად, მათი აზრით, იურიდიული მეტაფიზიკური აზროვნება არ არის მეცნიერული აზროვნება, იგი არ ეყრდნობა ფაქტებს, რის გამოც საჭიროა მისი შეცვლა იურიდიული პოზიტივიზმით, რომელიც სამართალს მეცნიერული კვლევის საგნად აქცევს. იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვნულადაა გადაჭრილი იურიდიული პოზიტივიზმისა და პოზიტიური ფილოსოფიის კავშირის საკითხი. ზოგი ამ კავშირს ეჭვქვეშ აყენებს, ზოგიც მიიჩნევს, რომ ერთიც და მეორეც წარმოადგენს იმ ზოგადი სოციალურ-ისტორიული პირობების შედეგს, რომლის საფუძველზეც ისინი აღმოცენდნენ და განვითარდნენ.¹³³ ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ იურიდიული პოზიტივიზმი ფილოსოფიურ პოზიტივიზმს, სხვას თუ არაფერს, მეცნიერების დაფუძნებისა და შემეცნების თეორიას მაინც დაესესხა და ამდენად, მათ შორის კავშირიც უდავოა. შეძლო თუ არა პოზიტიურმა ფილოსოფიამ მეტაფიზიკის გადალახვა – ეს სხვა საკითხია.¹³⁴

იურიდიული პოზიტივიზმის თეორიის ცალკეულ ელემენტებს ოგიუსტ კონტისა და ჰერბერტ სპენსერის (1820-1903) შეხედულებებამდეც ვხვდებით, მაგრამ კონტისდროინდელი და მისი მომდევნო პერიოდის იურიდიული პოზიტივიზმი აშ-

¹³³ Т.Н.Радько, Н.Т.Медведева, Позитивизм как научное наследие и перспектива развития права России // Государство и право, 2005, №5. С. 6.

¹³⁴ ალექსანდრე კახიძე, მეტაფიზიკის გადალახვის შეუძლებლობა პოზიტივისტურსა და პოსტპოზიტივისტურ ფილოსოფიაში // ფილოსოფიური ძიებანი, 2006, №X, გვ. 62.

კარად ფილოსოფიური პოზიტივიზმის პოზიციებიდან ასაბუთებს თავის შეხედულებებს. პოზიტიური ფილოსოფიის იდეების გამოყენებით, იურიდიულმა პოზიტივიზმმა დაკვირვებად, ასე ვთქვათ, ცდაში მოცემულ მოვლენად აღიქვა სამართლებრივი აქტები და იურიდიული მეცნიერება სამართლის დოგმით, კერძოდ კანონმდებელთა ნორმატიული განაწესებით შემოსაზღვრა.¹³⁵

6.5. იურიდიული პოზიტივიზმის კონტამდელი წარმომადგენლები. სამართლის პოზიტიური თეორიის წარმომადგენლები პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დავეყოთ. კერძოდ, ოგიუსტ კონტამდელი იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენლები, კონტის დროინდელი იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენლები და კონტის შემდგომი პერიოდის იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენლები. ცხადია, კონტამდელ მოაზროვნეებს ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებად ვთვლით იმდენად, რამდენადაც იურიდიული პოზიტივიზმის თანამედროვე ტერმინით მოაზრებული თეორიის იდეებს არსებითად პასუხობენ მათი შეხედულებები. იურიდიული პოზიტივიზმის ასეთი ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი არის, ჩვ. წ.-თ აღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში, ინდოეთში მოღვაწე კაუტილია. მას მინისტრისა და მრჩევლის პოსტი ეკავა იმპერატორის კარზე. იგი თავის ტრაქტატში „ართჰა-შასტრა“ (ქართულად „მეცნიერება სარგებლიანობის შესახებ“) კანონს განიხილავს სარგებლიანობის პოზიციიდან და სარგებლიანობას თვლის კანონის დამოუკიდებელ საწყისად და საფუძვლად, რითაც ათავისუფლებს მას მორალურ-რელიგიური დაფუძნების აუცილებლობისაგან.¹³⁶ სახელმწიფო, კაუტილიას აზრით, სამ მიზანს ემსახურება – კანონს, სარგებლიანობას, სიყვარულს, რომელთაგან უპირატესი სარგებლიანობაა, რადგან კანონი და სიყვარული მას ეფუძ-

¹³⁵ В. Д. Зорькин, Позитивитская теория права в России, М., 1978, С. 15.

¹³⁶ История политических и правовых учений, М., 2001. С. 25.

ნება.¹³⁷ კაუტილიას ნააზრევის ეს მომენტი, პრაგმატული კანონის გათავისუფლება მორალურ-რელიგიური იდეებისაგან, გახდა მისი იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენლად ჩათვლის საფუძველი.

კონტამდელი იურიდიული პოზიტივიზმის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენელს ძველ ჩინეთში ლეგისტური ფილოსოფიური სკოლა წარმოადგენს შან იანისა (ჩვ. წ-თა აღმდე 390-339) და ხან ფეი-ძის (ჩვ. წ-თა აღმდე 280-230) სახით. ლეგისტები იურიდიული პოზიტივიზმის შორეულ წინაპრებს წარმოადგენენ იმ აზრით, რომ სამართალს ათავისუფლებენ ყოველგვარი მისტიკურ-მეტაფიზიკური იდეებისაგან და მიიჩნევენ, რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა მმართველის მიერ გამოცემული ბრძანება. „კანონი არის ის რასაც ადგენს სახელმწიფო,“¹³⁸ უფრო მეტიც, მათი აზრით, სამართალი თვითმარეგულურებელი სისტემაა და მისი შეფარდება მოსამართლეთა შეხედულებებით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ მმართველმა უნდა დაადგინოს ფიქსირებული სასჯელი ყველა უკანონო ქმედებაზე, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ასე, რომ შან იანის აზრით, სამართალი წარმოადგენს მმართველის ნებას, რომელსაც კანონი აფიქსირებს და ასე აქცევს სტანდარტად.

6.6. იურიდიული პოზიტივიზმის კონტისდროინდელი წარმომადგენლები. პოზიტივისტური ფილოსოფიის წარმოშობის პერიოდში მოღვაწე ინგლისური ლიბერალიზმის წარმომადგენელი იერემია ბენტამი (1748-1832) იურიდიული პოზიტივიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია ახალ ეპოქაში. მისი აზრით, სამართალი სუვერენის ნებაა. იდეალური სახით სამართალი კანონის იგივეობრივი უნდა იყოს. სამართლის

¹³⁷ Н. М. Азаркин, Всеобщая история юриспруденции, М., 2003. С. 45.

¹³⁸ ჯამბულ ფუტკარაია, სამართლის ფილოსოფია, შესავალი ნაწილი (ძველი სამყარო), თბ., 2006, გვ. 48

მაკვალიფიცირებელი ნიშანი, ბენტამის აზრით, სანქციაა. იგი ფიქრობს, რომ სამართალი არის ნებადართული ქცევების კანონით დადგენილი შესაძლებლობა და გარანტია. ყველა სხვა მნიშვნელობით ტერმინი „სამართალი“ და „კანონი“ იქცევიან „გონების უდიდეს მტრებად,“ „სახელმწიფოს ყველაზე საშიშ დამანგრეველებად.“ წარმოდგენა იმისა, რომ პოზიტიურ კანონზე მაღლა დგას ბუნებითი კანონი და ბუნებითი სამართალი, ნიშნავს იარაღი მისცე ყველა ფანატიკოსსა და რევოლუციონერს¹³⁹ – აღნიშნავს ბენტამი. კაუტილიას მსგავსად ბენტამთანაც სარგებლიანობა წარმოდგენს კანონის საფუძველს. საზოგადოების წევრთა უმრავლესობისათვის სიამოვნება და სარგებლიანობა არის სამართლის კრიტერიუმი. სარგებლიანობა კი თავის მხრივ ცდიდან გამომდინარეობს. ე. ი. ბენტამისათვის მნიშვნელოვანია რაოდენობრივი მახასიათებელი და არა თვისებრივი, ანუ მთავარია საზოგადოების რამდენი წევრისთვისაა სასიამოვნო და სასარგებლო კანონით განსაზღვრული ქცევა და არა ის, თუ როგორია ეს ქცევა (ამ უკანასკნელ მახასიათებელს მილი მიაქცევს ყურადღებას). ბენტამი კაუტალიასგან განსხვავებით, უფრო თანმიმდევრულია აღნიშნული მოსაზრების დასაბუთებისას, რის გამოც მის შეხედულებებს სამართლის შესახებ **უტილიტარისტული თეორია** უწოდეს. ბენტამის უტილიტარისტულმა თეორიამ მილის შეხედულებებთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იურიდიული პოზიტივიზმის, როგორც დამოუკიდებელი მიმდინარეობის, ჩამოყალიბებას.

ინგლისური ლიბერალიზმის მეორე დიდი წარმომადგენელი ჯორჯ სტიუარტ მილი (1806-1873), ამავე პერიოდის იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენელია. იგი ახალგაზრდობაში ბენტამის მიმდევარი იყო, ხოლო მოგვიანებით მისი კრიტიკოსი. ბენტამისაგან განსხვავებით, იგი ფიქრობს, რომ არის განსხვავება პირად და საზოგადო სარგებლიანობას

¹³⁹ ვალერიან მეტრეველი, გიორგი დავითაშვილი, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ისტორია, თბ., 2002, გვ. 200-201.

შორის. მილი ცდილობს შეუფარდოს ერთმანეთს სარგებლიანობისა და სამართლიანობის ცნებები, ანუ მილის აზრით სამართლიანობა და სარგებლიანობა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი მაჩვენებლებითაც.

მილის აზრით, სამართლიანობის ცნების მნიშვნელობა უკიდურესად ცვალებადი და წინააღმდეგობრივია. უფრო მეტიც, მარადიულ სამართლიანობაზე წარმოდგენა არ შეესაბამება მუდმივად ცვალებად სარგებლიანობასა და ინტერესების ცნებებს, ამიტომ მას შემოაქვს “სამართლიანობის გრძნობის ცნება,” როგორც სამართლიანობისა და სარგებლიანობის შეთანხმების საშუალება. სამართლიანობის გრძნობა წარმოადგენს “სისწორის” შეგრძნებას ინდივიდის სულში.¹⁴⁰ სამართლიანობის გრძნობა აერთიანებს საზოგადოებრივი სიკეთის პიროვნულ თვითდამკვიდრებას. მილი თვლის, რომ სიამოვნების დასათვლელად არ კმარა რაოდენობრივი პრინციპი, იგი თვისებრივად უნდა განისაზღვროს. ელემენტარული ინტერესების დაკმაყოფილება კი არაა საყოველთაო ბედნიერებისა და სარგებლიანობის საფუძველი, არამედ მაღალი მოთხოვნის, ისეთების, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, პიროვნული ღირსების გრძნობასთან.

ინგლისელი სამართლისმცოდნე ჯონ ოსტინი (1790-1859) ამავე პერიოდის იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენელია. იგი იურიდიული პოზიტივიზმის (ნორმატივიზმის) ფუძემდებლად და მიჩნეული. მისი აზრით კანონი არის ერთ-ერთი მოაზროვნე არსების მიერ, მეორე მოაზროვნე არსებისათვის სახელმძღვანელოდ დადგენილი წესი, თანაც ისე, რომ სახელმძღვანელო წესის დამდგენ მოაზროვნე არსებას გააჩნია ხელისუფლება იმაზე, ვისაც წესს უდგენს.

¹⁴⁰ Синха Сурия Пракаш, Юриспруденция. Философия права, М., 1996. С.145-146.

ასე, რომ კანონი ოსტინის მიხედვით გარკვეული ბრძანებაა, იგი გამოხატავს ხელისუფლების სურვილს. იგი სხვა სურვილებისაგან იმით განსხვავდება, რომ მხარე, რომელზეც მიმართულია ეს სურვილი, ვალდებულია აუცილებლად შეასრულოს იგი. არ შესრულების შემთხვევაში მას ემუქრება სასჯელი კანონის გამოძცემის მხრიდან. კანონი სურვილია, რომლის შესრულებაც სავალდებულოა ყველასთვის. ოსტინი ფიქრობს, რომ უმრავლესობას მორჩილება ჩვეულებად უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია სამართლისა და სუვერენული ხელისუფლების ნორმალური ფუნქციობა.

კანონს ადგენს სუვერენი. სუვერენი შეიძლება იყოს, როგორც გარკვეული პირი, ასევე პირთა ჯგუფი. სუვერენი არის პირი, რომელსაც არ ჰყავს უფრო მაღლა მდგომი.

ოსტინის მიხედვით სუვერენი კანონის მიღმა მდგომია, იგი არ ექვემდებარება კანონს, იმიტომ, რომ მას ნებისმიერ დროს შეიძლება კანონის შეცვლა მოუწიოს და დაქვემდებარებული ვერ შეცვლის იმას რისი ქვემდებარეცაა იგი.

როგორც ვხედავთ, ოსტინთანაც კანონისთვის მთავარია ხელისუფლების ნება და არა მისი წილნაყარობა სამართლიანობასთან. ოსტინიც სამართალს აიგივებს კანონთან და მას “ათავისუფლებს” ყოველგვარი მეტაფიზიკურისაგან, ღვთიურისაგან, მორალისაგან და დაჰყავს იგი დაკვირვებად, ცდაში მოცემულ მოვლენამდე.

მართალია, ოსტინი აღიარებს ადამიანურ, ასე ვთქვათ, პოზიტიურ კანონებთან ერთად ღვთაებრივ კანონებსაც, მაგრამ მიიჩნევს, რომ ღვთაებრივ კანონებს არ აქვთ იურიდიული მნიშვნელობა და მოკლებულები არიან სარგებლიანობის პრინციპებს.

იურიდიული პოზიტივიზმის წარმოშობის ჯონ ოსტინის სახელთან დაკავშირება განაპირობა იმან, რომ ოსტინმა თავის შემოქმედებაში შეუთავსა ერთმანეთს უტილიტარიზმისა და პოზიტივიზმის კვლევის მეთოდები, რითაც სამართალი განიხილა, როგორც ფაქტი, როგორც ემპირიული სინამდვილე.

ოსტინმა სამართალი გამოაცხადა რეალურად არსებულ ფაქტად, მისი აზრით, სამართალი ისევე არსებობს ფაქტის სახით, როგორც ბუნების მოვლენები, სამართალს რეალურ არსებობას ანიჭებს სახელმწიფო, რომელიც კონკრეტულ ნორმებს აქცევს წერილობით წყაროებში „გონებრივი არსებების მართვის მიზნით.”

6.7. იურიდიული პოზიტივიზმის კონტის შემდგომი წარმომადგენლები. ავსტრიელი ფილოსოფოსი ჰანს კელზენი (1881-1973), კონტის შემდგომი პერიოდის იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენელია. მის სახელს უკავშირდება სამართლის ნორმატივისტული ანუ სამართლის „წმინდა თეორიის” დაფუძნება. ნორმატივიზმმა დასრულებული სახე კელზენის სამართლის წმინდა თეორიაში მიიღო.¹⁴¹ აღნიშნული თეორია ჰერბერტ ჰარტის (დაბ.1907წ.) ანალიტიკურ იურისპრუდენციასთან ერთად იურიდიული პოზიტივიზმის მოდიფიკაციას წარმოადგენს. კელზენი თავისი „სამართლის წმინდა თეორიით” მთლიანად წყვეტს კავშირს სამართლიანობის ნებისმიერ თეორიასთან, მისი აზრით, სამართლიანობის იდეალები ცვალებადია და ამდენად შემთხვევითი, ცვალებადი და შემთხვევითი კი შეუძლებელია წარმოდგენდეს სამართლის არსებით ნიშანს, არსებითი უცვლელობითა და აუცილებლობით უნდა ხასიათდებოდეს.

კელზენის სამართლის „წმინდა თეორიის” ამოსავალ დებულებას წარმოადგენს პოზიტივიზმისაგან აღებული დოგმატური მეთოდი და კანტის მიერ გაკეთებული განსხვავება შემეცნების სფეროსა და ნების გამოვლენის სფეროს შორის, ანუ განსხვავება არსსა და ჯერარსს (ჯერარსს ალ. ვაჩიშვილი ვალდებულებას უწოდებს და აღნიშნავს, რომ კელზენის მოძღვრება დამყარებულია ვალდებულებისა და არსის

¹⁴¹ ბიძინა სავანელი, თანამედროვე სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 227.

განსხვავებაზე)¹⁴² შორის. მეცნიერება არის ცოდნა და არა ნების გამოვლენა. იგი არსის სფეროა და არა ჯერარსის. სამართლის თეორია კელზენისათვის, მეცნიერებაა და არა ნების გამოვლენა, ამიტომ იგი უნდა მიუთითებდეს იმაზე, თუ რა არის სამართალი და არა იმაზე, თუ რა უნდა იყოს იგი. კელზენი ამ გზით ცდილობს მიანიჭოს იურისპრუდენციას პოზიტივისტური გაგებით მეცნიერულობის სტატუსი, ანუ გაწმინდოს იგი ნებელობითი მომენტებისაგან, აქედან თეორიის სახელწოდება – „სამართლის წმინდა თეორია“. მისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, ეს ნებელობითი მომენტი იდეოლოგიური ხასიათის იქნება თუ აქსიოლოგიური, მთავარია სამართლის განთავისუფლება მათგან. კელზენი თვლის, რომ ღირებულების, სამართლიანობის და სხვა მსგავსი ცნებების გამოყენებით სამართლის მეცნიერება კარგავს ობიექტურობას და სამართლებრივ სინამდვილეს ასახავს სუბიექტურად, ნებაზე დამოკიდებულად. ამიტომ, ფიქრობს კელზენი, სამართალს, როგორც მეცნიერებას, არ ძალუძს უპასუხოს კითხვას – რა არის სამართლიანობა. იურისტს არ უნდა აინტერესებდეს სამართლის გარეგანი კავშირი ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკა, ზნეობა. სამართლის აღწერა უნდა მოხდეს ისეთად, როგორიცაა იგი, ყოველგვარი გამართლებისა თუ კრიტიკის გარეშე. კელზენის მიხედვით, იმ სოციალური ფაქტორების შემეცნება, რომლებიც გავლენას ახდენენ კანონების შექმნაზე, მართლმსაჯულების განხორციელებასა თუ სამართლის მოქმედებაზე გამოდის სამართლისმცოდნეობის ჩარჩოებიდან, ისინი მეტაიურიდიული საკითხებია და რაც ყველაზე მთავარია, მათი ცოდნა არანაირად არ უწყობს ხელს სამართლის გაგებას. სამართლის არსი ფუძნდება მისი არსებობით და სხვა სახის დაფუძნება მას არ სჭირდება.

¹⁴² ალექსანდრე ვაჩეიშვილი, Kelsenის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე, იხ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1929 წ. № IX, გვ. 3.

ამიტომ სამართლის გაგებისათვის მათ შესწავლას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ისევე როგორც კითხვაზე, “რა არის მაგიდა?” პასუხის გასაცემად არ გვჭირდება იმის ცოდნა, თუ როდის და როგორ შეიქმნა იგი, ასევე სამართლის შესწავლისას არ გვჭირდება იმის ცოდნა, თუ რა უწყობს ან უშლის ხელს მის წარმოშობას. იურიდიული მეცნიერებები არ უნდა იკვლევდნენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ეს კავშირები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვლევის საგანია, სამართლისმცოდნეობა ნორმატიული მეცნიერებაა, ანუ იგი ეფუძნება “უნდას” კატეგორიას, რაც იმას ნიშნავს, რომ იურიდიულ მეცნიერებას მოვლენების შესაძლო და არა აუცილებელ გამომდინარეობასთან აქვს საქმე. მეცნიერ-იურისტის მსჯელობა უნდა შემოიფარგლებოდეს ფორმულით „თუ არის A, მაშინ უნდა იყოს B-ც” და არა ფორმულით „თუ არის A, აუცილებლად იქნება B-ც.” არსის შემსწავლელი მეცნიერებების ძირითად პოსტულატებს წარმოადგენს ობიექტური მიზეზობრიობის პრინციპი, ჯერარსის სფეროს მეცნიერებების ძირითად პოსტულატებს კი დაკისრება, დავალება. კელზენის აზრით, ჯერარსში მოცემული ვალდებულება წმინდა ვალდებულებაა, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი პირველადი კატეგორიაა, არ ეკუთვნის ფაქტობრივ სინამდვილეს და მისი გამოყვანა სხვა რაიმედან შეუძლებელია. იურიდიული კანონები, განსხვავებით ბუნებაში მოქმედი კანონებისაგან, კი არ ხსნიან სინამდვილეს, არამედ მოითხოვენ გარკვეულ პროცესს.¹⁴³ ჯერარსი კელზენტან არანაირად არ უკავშირდება ყოფიერებას. სამართალი ის კი არ არის, რაც არსებობს, არამედ ის, რაც უნდა არსებობდეს.

კელზენის მიხედვით, რადგან სამართალს საკანონმდებლო ნორმები წარმოადგენს, და თუ სამართლის მეცნიერებას მეცნიერულობის პრეტენზია აქვს, მისი შესწავლის საგანი საკანონმდებლო ნორმები და მისი სტრუქტურა უნდა გახდეს. მაშასადამე, სამართლის მეცნიერება თავის თეორიას უნდა

¹⁴³ იქვე, გვ. 13-14.

ქმნიდეს მხოლოდ პოზიტიური საკანონმდებლო ნორმების შინაარსზე დაყრდნობით და მისგან გამომდინარე.

სოციოლოგიური სამართლისმცოდნეობისა და ნეოკანტიანური ფილოსოფიის მიერ წამოყენებული თეორიული კონსტრუქციების ჩართვით იურიდიული პოზიტივიზმში, კელზენმა გარკვეული მოდიფიკაცია გაუკეთა ამ უკანასკნელს,¹⁴⁴ რაც აშკარად გამოჩნდება კიდევ ჩვენს მომდევნო მსჯელობებში.

ამდენად, ჰანს კელზენი, თავისი „სამართლის წმინდა თეორიით“ გვეკვლინება კონტისშემდგომი პერიოდის იურიდიული პოზიტივიზმის მნიშვნელოვან წარმომადგენლად, ისევე როგორც გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნე ჰერბერტ ჰარტი. ჰერბერტ ჰარტი, კელზენის მსგავსად, სამართალს განიხილავს, როგორც მაიძულებელ წესრიგს. თუმცა კელზენისაგან განსხვავებით ჰარტთან სამართალს არ შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი შინაარსი, იგი, როგორც მინიმუმი, უნდა შედგებოდეს გონებრივი და აუცილებელი ნორმებისაგან. როგორც ვხედავთ, ჰარტთან სამართალი მხოლოდ ფორმალური განსაზღვრულობა როდია, იგი, გარდა იმისა, რომ ხელისუფალის ნებაა და ამით ფორმალურად აკმაყოფილებს სამართლისადმი წაყენებულ მოთხოვნას, ასევე შინაარსობრივადაც უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნა, კერძოდ, ჯანსაღი გონისა და აუცილებელი მოთხოვნილებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მიუხედავად ამგვარი შეხედულებისა ჰერბერტ ჰარტი საბოლოოდ მაინც პოზიტივისტური სამართალგაგების მიმდევარია და მიიჩნევს, რომ სამართალი და კანონი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება და მაშასადამე, შეუძლებელია არსებობდეს არასამართლიანი კანონი.¹⁴⁵ სხვანაირად თუ ვიტყვით, ჰარტის მიხედვით, ხელისუფლის მიერ გამოცემული კანონი სამართალია, მიუხედავად იმისა, მისი შინაარსი იქნება თუ არა ჯანსაღი გონებიდან და აუცილებ-

¹⁴⁴ Теория государства и права, под ред. М.Н. Марченко М., 1997. С. 248.

¹⁴⁵ В.С. Нересесиянц, Философия прва, М., 1998. С. 637.

ლობიდან გამომდინარე. ნებისმიერი კანონი, შინაარსის მიუხედავად, სამართალია.

აღნიშნული დებულებებით ჰარტი იურიდიული ნეოპოზიტივიზმის ერთ-ერთი თანამედროვე წარმომადგენელია.

იურიდიული პოზიტივიზმის ამ ძირითადი წარმომადგენლების შეხედულებების მიხედვით ჩამოყალიბდა იურიდიული პოზიტივიზმის ძირითადი დებულებები.

6.8. იურიდიული პოზიტივიზმის არსი. ევროპული სამართლებრივი კულტურა სამართალს ძირითადად განიხილავდა, როგორც ცხოვრების ტრადიციულ წესს, როგორც რაღაც „ბუნებრივს,” მაგრამ ამასთანავე, იგი მუდამ გრძნობდა „შექმნილი” სამართლის, როგორც სუვერენის ნების ემანაციის აუცილებლობას. ამ გაგებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ევროპულ ცნობიერებაში იღო იურიდიული პოზიტივიზმის წარმოშობის ერთგვარი შესაძლებლობა.

იურიდიული პოზიტივიზმის მიხედვით სამართლის ნორმით დადგენილი ქცევის წესების ნამდვილობა არანაირად არ დგება ეჭვქვეშ მისი რელიგიური, მორალური თუ სხვა სახის არაიურიდიული ხასითის ღირებულებებთან კონფლიქტის შემთხვევაში. ენა ადამიანთა ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა, ამიტომ მხოლოდ სიტყვებით გადმოცემული ცნებებით უნდა განისაზღვროს, რაა მართალი და რა არა. ასე რომ, იურიდიული პოზიტივიზმის თეორია, ამოდის სამართლის ფორმალური გაგებიდან და მის შინაარსობრივ (სუბსტანციურ) მხარეს არ ანიჭებს არსებით მნიშვნელობას.

იურიდიული პოზიტივიზმის, კერძოდ კი კელზენის თეორიის თანახმად, საყოველთაო და ზოგადი მნიშვნელობის შეიძლება იყოს მხოლოდ მსჯელობა სამართლის ფორმალური სტრუქტურის შესახებ. მას სურს სამართლის მეცნიერება გაწმინდოს ყოველგვარი შინაარსობრივი, მათ შორის, ეთიკური და პოლიტიკური ელემენტებისაგან. იურიდიული პოზიტივიზმის მიხედვით ნორმის შინაარსს მთლიანად და სუბიექტურად განსაზღვრავს კანონმდებელი. კანონის შინაარ-

სი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, მისი შინაარსი შეიძლება იყოს ყველაფერი, რისი მოთავსებაც შეიძლება ამ ფორმაში. მაშასადამე, ნორმას არ გააჩნია საყოველთაო შინაარსი. ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს მეცნიერული კვლევის ობიექტი.¹⁴⁶

სამართლის შინაარსობრივ გაგებას ეყრდნობა სამართლის ბუნებითი თეორია, რომელიც სამართლის შინაარსს მოიაზრებს, როგორც სიკეთესა და სამართლიანობას, და სამართლის არსებით აუცილებლობას სწორედ მისი შინაარსიდან გამომდინარე ასაბუთებს. კანონი, რომელიც არ შეესაბამება, ანუ არ გამომდინარეობს სიკეთიდან და სამართლიანობიდან, ე.ი. ბუნებითი სამართლიდან, არ არის კანონი – ამბობს ბუნებითი სამართალი. სამართალი არსებობს იმდენად, რამდენადაც მისი შინაარსია ღირებული – ესაა ბუნებითი სამართლის ამოსავალი დებულება. იურიდიულ პოზიტივიზმს, განსხვავებით სამართლის ბუნებითი თეორიისაგან, არ მიაჩნია, რომ სამართალი არის მეცნიერება სიკეთისა და სამართლიანობის შესახებ. მისი აზრით ბუნებითი სამართალი სხვა არაფერია, თუ არა პოზიტიური სამართლის მორალური შეფასება. იურიდიული პოზიტივიზმის მიხედვით სამართალი იმიტომ კი არ არსებობს, რომ მისი შინაარსი სიკეთისა და სამართლიანობის შემცველია, არამედ იმიტომ, რომ მას აქვს სპეციფიკური ფორმა, ანუ მიღებულია სპეციალური წესით, ფორმალური პროცედურების საფუძველზე. უზრუნველყოფილია ავტორიტეტით, აქვს მაიძულებელი საშუალებები. ე.ი. მისი იმპერატიულობა მის ფორმაზე, ფორმალურ მხარეზეა დამოკიდებული და არა შინაგან, სუბსტანციურ, შინაარსობრივ მხარეზე. სამართალი არის ის, რაც მოქმედებს, როგორც სამართალი და სხვა არაფერი.¹⁴⁷ იურიდიული პოზიტივიზმის მიხედვით კანონის სამართლიანობა დაიყვანება პროცესუალური ხასიათის სამართალზე ანუ

¹⁴⁶ გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 35.

¹⁴⁷ Ю. Я. Баскин, Очерки философии права, Сыктывкар, 1996. С. 25.

იმაზე, იქმნება თუ არა იგი დაწესებული პროცედურების დაცვით. გუსტავ რადბრუხის სამართლიანი შენიშვნით, ამგვარი გაგებით სამართალი და ძალაუფლება ერთ სიბრტყეზე, თანაბრად არის წარმოდგენილი. სადაც ძალაუფლებაა, მხოლოდ იქ არის სამართალი.¹⁴⁸

როგორც ფილოსოფიური, ასევე იურიდიული პოზიტივიზმი ეყრდნობა სინამდვილის შესახებ იმ ცოდნას, რომელიც საგნებისა და მოვლენების ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარეობს ანუ ემპირიულ, ცდისეულ მონაცემებს. ერთი და მეორეც უარყოფს არაემპირულ, მითიურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ, ერთი სიტყვით, ყოველგვარ აბსტრაქტულ-თეორიულ ცოდნას, რომელსაც აერთიანებენ ერთ ტერმინში – „მეტაფიზიკურ ცოდნაში“. ფილოსოფოს პოზიტივისტს საქმე აქვს მოცემულობასთან, ფაქტობრივ სინამდვილესთან, იურისტ პოზიტივისტს ასევე ფაქტობრივ მოცემულობასთან – ფაქტობრივად მოქმედ სამართალთან, იგი უარს ამბობს მეტაიურიდიულ სინამდვილეზე.

პოზიტიური სამართლის თეორია დაუპირისპირდა ბუნებით სამართლებრივ მოძღვრებას და უარყო მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები, დაწყებული რელიგიურ-ზნეობრივიდან, დამთავრებული პოლიტიკურ-იდეოლოგიურით. იურიდიული პოზიტივიზმის ზოგი წარმომადგენელი ისე შორს წავიდა, რომ მოახდინა სამართლის იზოლირება ფილოსოფიის, იდეოლოგიის, სოციალური მეცნიერების, კულტურისა და მსოფლმხედველობისაგან.

იურიდიული პოზიტივიზმის სამართალგაგება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი დებულებებით:

- სამართალი არის ნორმატიულ აქტებში ჩამოყალიბებული ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი სისტემა;
- სამართლის ნორმებს გამოსცემს სახელმწიფო. კანონში განმტკიცებულია სახელმწიფოს ნება;

¹⁴⁸ Густав Радбрух, Философия права, М., 2004. С.225.

- თვით სამართალს და მის რეალიზაციას, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სახელმწიფოს იძულებითი ძალა;

- სართლის ნორმებზეა დამოკიდებული სამართალურთიერთობების წარმოშობა, მართლშეგნების ჩამოყალიბება, სამართლებრივი ქცევა.¹⁴⁹

6.9. სამართლის ინსტრუმენტული ხასიათი. სამართალს, იურიდიული პოზიტივიზმის მიხედვით, პრაგმატული, ასე ვთქვათ, ინსტრუმენტული ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რას აკეთებს, როგორ მუშაობს იგი საზოგადოებაში და არა ის, თუ რას წარმოადგენს შინაარსობრივად სამართლის ნორმა, შეიცავს თუ არა იგი სამართლიანობის იდეას.

6.10. სამართალი, როგორც ვერიფიცირებას დაქვემდებარებული მოვლენა. პოზიტიური ფილოსოფიის მსგავსად, იურიდიული პოზიტივიზმი სცნობს მხოლოდ ისეთ ცოდნას, რომლის ვერიფიცირებაც, ანუ მეცნიერული მეთოდებით მისი ჭეშმარიტების შემოწმება შეიძლება. იურიდიული მეცნიერებისადმი ამდაგვარი მიდგომით საფრთხე შეექმნა სამართალს, რადგანაც იგი ძნელად ექცევა ლოგიკური პოზიტივიზმის „წმინდა ცდაში.“

იურიდიული პოზიტივიზმის მოთხოვნებს დაქვემდებარებულ იურიდიულ მეცნიერებებს, სამართლის წმინდა მეცნიერებებად ჩამოყალიბების ნაცვლად, იურიდიულ ტექნოლოგიებად და იურიდიულ ხელობებად გადაქცევის საფრთხე შეიძლება დაემუქროს.

6.11. სამართალი, როგორც რაციონალიზმის განსახიერება. იურიდიულ პოზიტივიზმს კეთილშობილური მიზანი ამოძრავებს – მიადწიოს იმას, რომ იურიდიული სტრუქტურები და მეთოდები რაციონალიზმის განსახიერება იყოს და სამართ-

¹⁴⁹ გვიო ლობუჯანიძე, ავთანდილ ტუკვაძე, გიორგი ჯაოშვილი, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ., 2006, გვ. 88.

ლის სისტემა იქცეს ლოგიკურ სისტემად, ანუ ისეთ სისტემად, რომელიც ადამიანებს მიაწვდის მატემატიკური სიზუსტით გამოტანილ ცალსახად ჭეშმარიტ გადაწყვეტილებებს.

იურიდიული პოზიტივიზმის თეორიის მიმდევრები ფიქრობენ, რომ მათი თეორიის პრინციპების მიხედვით შესწავლილი და აგებული სამართალი მკაცრ ლოგიკაზე დაფუძნებული კონსტრუქციებია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება ერთ იურიდიულ საკითხზე მხოლოდ ერთი შესაძლებელი პასუხი. ყველა შემთხვევაში პოზიტიურ, ანუ მეცნიერულ პრინციპებზე აგებულმა სამართალმა უნდა მოგვცეს ერთ კონკრეტულ საკითხზე ერთადერთი იურიდიულად სწორი პასუხი. სხვა ალტერნატივა გამორიცხული უნდა იყოს, იმიტომ, რომ იგი მეცნიერების მეთოდებით აიგება და გამორიცხავს შეფასებით მომენტებს, ისევე როგორც მეცნიერულ სისტემებში, სამართლის სისტემაშიც – სამართლის ნორმაშიც თავიდანვე ლოგიკურად ჩადებული უნდა იყოს ის ერთადერთი შედეგი, რომელიც ამ ნორმის განხორციელებას მოჰყვება. ასე ყალიბდება კაუზალური ლოგიკური კავშირი ნორმასა (მიზეზს) და მოქმედებას (შედეგს) შორის. ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, როგორც კანონზომიერება აუცილებელი და უაღტერნატიფო ხასიათისაა.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ცნობიერია, სუბიექტური ხასიათისაა და დგინდება კანონმდებლების მიერ ფაქტების განზოგადების, ტიპიზაციის გზით და ამდენად იგი არ არის სამყაროში ობიექტურად არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ფორმალიზება, იურიდიული პოზიტივიზმი მიიჩნევს, რომ სამართლის „გამეცნიერულობის“ ერთ-ერთი დადებითი შედეგი მისი მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში მოქცევა და შესაბამისად სამართლის ეფექტურობის ამაღლებაა.

6.12. სამართალი, როგორც დოგმა. იურიდიულ-პოზიტივისტური აზროვნება სამართლის ნორმას განიხილავს, როგორც დოგმას, ვინაიდან მას მიაჩნია, რომ სამართლის ნორმა,

მიუხედავად მისი შინაარსისა, თუ ის ძალაშია, ჭეშმარიტია და აუცილებელია შესასრულებლად. სამართლის ნორმის შეუსრულებლობა „არასწორის მოტივით“ არ შეიძლება, ე.ი. ნებისმიერი სამართლის ნორმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, თუ იგი ძალაშია, მაშასადამე, სწორია. ამ შედეგამდე პოზიტივიზმის მისვლა განაპირობა სამართლის ნორმის შინაარსისაგან დამოუკიდებელმა ფორმალურმა განხილვამ. სამართლის ნორმის დოგმატიზაციის დონე გაცილებით დაბალია კანონშემოქმედებით საქმიანობაში, ხოლო ძალიან მაღალი სამართლის რეალიზაციის პროცესში.

6.13. კანონზე დამორჩილების საკითხი. კანონზე დამორჩილების საკითხი არაერთგვაროვნადაა გადაჭრილი იურიდიულ პოზიტივიზმში. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ნებისმიერი კანონი, თუ მას აქვს იურიდიული ძალა, ანუ შეესაბამება კანონიერების ტექნიკურ კრიტერიუმებს, ავტომატურად, მის ლეგალურობასთან ერთად, წარმოშობს აუცილებელი დამორჩილების მოვალეობასაც, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონიერების ფორმალური კრიტერიუმი კანონის დაცვის მოვალეობის აუცილებლობას კი არა, ძალის (მაიძულებელი საშუალების) გამოყენების აუცილებლობას წარმოშობს სახელმწიფოს მხრიდან, კანონის შეუსრულებლობის შემთხვევაში. იძულება არ წარმოადგენს კანონის თავისუფალი შესრულების საფუძველს. კანონის თავისუფალი შესრულება გულისხმობს მის ადამიანური განცდის აქტში მოქცევას, იძულებას არ შეუძლია გვიკარნახოს სამართლად განვიცადოთ ის, რაც ფსიქიკაში ასეთად არ განიცდება. იძულებას არ შეუძლია უზრუნველყოს სამართლის ნორმის შესრულება, რადგანაც იძულების საშუალებით შესრულებულს ვერავინ განიცდის ისე, თითქოს ეს სამართლის შესრულება იყოს.¹⁵⁰ ამიტომ აქ ლაპარაკია სამართლის თავისუფალი მიღების აუცილებლო-

¹⁵⁰ გიორგი ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ. 1992, გვ. 89.

ბაზე, მის შინაგან შესრულებაზე და არა მისი, როგორც სას-
ჯელის აღსრულებაზე.

იურიდიული პოზიტივიზმის ზოგი წარმომადგენლის
აზრით, კანონის მოთხოვნებისადმი უპირობო დამორჩილების
აუცილებლობა უნდა ეფუძნებოდეს იმის გაცნობიერებას, რომ
კანონის შეუსრულებლობა უარყოფით შედეგს გამოიწვევს,
როგორც პიროვნულ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე.

აღადმიანი არ უნდა იყოს თავისუფალი კანონის დანა-
წესთან მიმართებაში. მას არ უნდა ჰქონდეს უფლება არ
შეასრულოს ის კანონი, რომელიც მას არ მოსწონს, მაგრამ
კანონმა შეიძლება მიაღწიოს უსამართლობისა და არაადამი-
ანურობის იმ დონეს, რომ ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად
ჩაითვალოს მისი შეუსრულებლობა,¹⁵¹ მიიხნევს იურიდიული
პოზიტივიზმის ზოგიერთი კლასიკოსი (ბენტამი, ოსტინი) და
ამით გარკვეულად წინ აღუდგება სახელმწიფოს აბსოლუტურ
თვითნებობას კანონშემოქმედებით პროცესში.

6.14. იურიდიული პოზიტივიზმის ნაკლოვანებები და წინააღმდეგობები:

– იურიდიული პოზიტივიზმი გნოსეოლოგიური თვალსაზ-
რისით უარყოფს სამართლის თეორიას და აღიარებს კანონის
თეორიას, ხოლო აქსიოლოგიური თვალსაზრისით აღიარებს
კანონის ღირებულებას და უარყოფს სამართლის ღირებუ-
ლებას;

– იურიდიული პოზიტივიზმი თავის მსჯელობაში სამართ-
ლის შესახებ მისი „გამეცნიერულობის“ მიზნით განსაკუთრე-
ბულ ყურადღებას აქცევს ცნებით აპარატს, და შესაბამისად
ლოგიკას, რის გამოც უყურადღებოდ რჩება სამართლის
რეალური შინაარსი;

– იურიდიულ პოზიტივიზმს სამართლის ნორმა მიაჩნია
ჯერარსის სფეროდ, დოგმად, სამართლის შესახებ მეცნიერე-
ბის საგნად, მაგრამ სამართლის ნორმებში არსებულის სფე-
როც მოიაზრება, ისინი, ასე ვთქვათ, „მეორეული რიგის“

¹⁵¹ С. В. Моисеев, Философия права, Новосибирск, 2003. С. 93.

მოვლენებია და განხილულ უნდა იქნან „პირველი რიგის“ ფაქტებთან მიმართებაში, ფაქტებთან, რომლებიც ანიჭებს აზრსა და მიზანს ნორმებისა და პრინციპების სისტემას. საუბრით სამართლიანად შენიშნავს პროფესორი გიორგი ნანეიშვილი, რომ თუ სამართალი არის რაღაც მომწესრიგებელი რამ, იგი გულისხმობს მოსაწესრიგებელსაც.¹⁵² ამიტომ ამ ორი რიგის მოვლენების რთული და დელიკატური ურთიერთმიმართების ანალიზი წარმოადგენს საზოგადოებაში სამართლის როლის დადგენის მნიშვნელოვან გასაღებს.¹⁵³ ეს ანალიზი აუცილებელია, მით უფრო დღეს, როცა ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს სოციალურზე ორიენტირებული იურისპრუდენციის შექმნას. აღსანიშნავია, რომ კელზენის „სამართლის წმინდა თეორია“ არ უარყოფს იმას, რომ ნებისმიერი პოზიტიური იურიდიული წესრიგი განპირობებულია ისტორიული, ეკონომიკური, მორალური და სხვა სახის პოლიტიკური ფაქტორებით, მაგრამ მას ეს განმაპირობებელი ფაქტორები მიაჩნია გარეგან ფაქტორებად. მისი მიზანია სამართალი დაინახოს შიგნიდან, მისი სპეციფიკური ნორმატიული მნიშვნელობით;

– იურიდიულ პოზიტივიზმს ასევე, ნაკლად უთვლიან სამართალშემოქმედებით საქმიანობაში სასამართლოს ფუნქციის შეუფასებლობას;

– როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იურიდიული პოზიტივიზმი აიგივებს კანონსა და სამართალს ერთმანეთთან, ფიქრობს, რომ კანონი და სამართალი იგივეობრივია, ანუ კანონის გარეშე, კანონის მიღმა სამართალი არ არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართლის პოზიტივისტური თეორიის მიხედვით, სამართლიანობის ერთადერთი წყაროა კანონი, კანონს სახელმწიფო ღებულობს თავისი (სუვერენის) ნება-სურვილის მიხედვით. მაშასადამე, სამართლიანობის ერთადერთი წყარო

¹⁵² გიორგი ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ. 1992, გვ. 96.

¹⁵³ Денис Ллойд, Идея права, М., 2002. С. 126.

ყოფილა სახელმწიფო და რასაც სახელმწიფო ამბობს თავისი კანონების საშუალებით, ისაა სამართლიანობა. თუ ეს ასეა, მაშინ რა არის კანონის, ანუ სახელმწიფოს ნება-სურვილის სამართლიანობა-უსამართლობის კრიტერიუმი? თუ სამართლიანობა (სამართალი) არ დგას კანონზე უფრო მაღლა და თუ ზნეობა არ შეიძლება გამოდგეს კანონის შემფასებლად, მაშინ რა საშუალებებით, რასთან მიმართებაში უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სამართლებრივი და უსამართლო სახელმწიფო, სამართლებრივი და უსამართლო კანონები? იურიდიული პოზიტივიზმის მიხედვით ნებისმიერი კანონი, თუ იგი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ფორმალურად მართებულადაა მიღებული, სამართლიანია. სწორედ ეს შეხედულება იქცა მკაცრი კრიტიკის ობიექტად. კერძოდ, მიუთითებენ, რომ იურიდიული პოზიტივიზმის პოზიციის (რომელიც უარყოფს მოქმედ სამართალზე კონტროლის შესაძლებლობას, როგორც სამართლიანობის, ასევე მორალური ღირებულებების მხრიდან), წყალობით გახდა შესაძლებელი ხელისუფლებაში ტოტალიტარული დიქტატურების მოსვლა, რომლებიც მანიპულირებენ ლეგიტიმური ხელისუფლების სახელით და მათ მიერვე მიღებულ კანონის ფორმაში მოქცეულ საკუთარ ნება-სურვილებს განიხილავენ როგორც სამართლიანობას, ე.ი. სამართლის, სახელმწიფოს მიერ გამოცემულ კანონთან და სხვა სახის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებთან გათანაბრებამ, შეუძლებელი გახადა სამართლის ნორმების განსხვავება სახელმწიფოს თვითნებობის შედეგად მიღებული ნორმებისაგან. ასე რომ, იურიდიულმა პოზიტივიზმმა ჰეგელიანობასთან ერთად, რომელიც სახელმწიფოს განიხილავდა, როგორც უმაღლეს ღირებულებას, უნებლიეთ, მაგრამ მაინც შექმნეს გარკვეული საფუძველი ტოტალური რეჟიმის შესაქმნელად. ეს თვალნათლივ სჩანს იურიდიული პოზიტივიზმის იმ პრინციპიდანაც, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ახორციელებს სრულ და აბსოლუტურ მონოპოლიას სამართალშემოქმედებაზე;

– იურიდიულ პოზიტივიზმში სამართლის ემპირიული მხარე ავიწროვებს მის სულიერ აბსტრაქტულ-რაციონალურ მხარეს ან მას მეორეხარისხოვან, დაქვემდებარებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამგვარად გაგებული სამართალი შორდება ყოველგვარ ბუნებრივს, ემოციონალურს;

– იურიდიული პოზიტივიზმი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების მხრიდან სამართლის აღიარების ფაქტს;¹⁵⁴

– პოზიტიური სამართლის (სამართლის ნორმების) გარეთ არსებული საყოველთაო მნიშვნელობის მქონე სამართლის პრინციპები, რომლებსაც იურიდიული პოზიტივიზმი არ მოიაზრებს სამართლის ცნების შინაარსში, წარმოადგენს მართლწესრიგის შინაარსის ელემენტებს და გამოიყენება ისეთი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, რომლებსაც მხოლოდ პოზიტიური სამართალი არ აწესრიგებს;

– იურიდიული პოზიტივიზმის ზოგიერთი დებულების ლოგიკურ განვითარებას ერთგვარ ჩიხში შეჰყავს აღნიშნული მოძღვრება, მაგალითად, თუ იურიდიული პოზიტივიზმი (მერკლისა და კელზენის მიხედვით) აღიარებს პოზიტიურ სამართალს, როგორც ნორმათა მრავალსახეობას, მაშინ, პოზიტიური სამართალი წარმოადგენს შესაძლო სამართლის ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევას.¹⁵⁵ თუ ამის დაშვება მოხდება, ამას კი ნამდვილად უშვებს სამართლის პოზიტივისტური თეორია, გამოდის, რომ ისინი აღიარებენ პოზიტიური სამართლისაგან განყენებული სამართლის იდეას, რომელთან მიმართებაშიც ეძლევა აზრი სამართლის ნორმათა მრავალსახეობის დაშვებას. სამართლის იდეის აღიარება კი იურიდიული პოზიტივიზმისათვის მიუღებელია;

– კელზენი სამართლის სისტემას წარმოადგენს პირამიდის სახით, რომლის წვეროსაც შეესაბამება კონსტიტუციური

¹⁵⁴ გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია თბ., 2004, გვ. 36.

¹⁵⁵ გიორგი ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ. 1992, გვ. 84.

ნორმები, მას მოსდევს ზოგადი კონსტიტუციური ნორმების დამაკონკრეტებელი კანონები და სხვა სახის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, პირამიდის ფუძეს შეადგენს სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ნორმები, აგრეთვე მოქალაქეებისა და სხვა იურიდიული პირების მიერ დადებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები. კელზენის ნორმათა პირამიდაში ყოველი ქვემდგომი ნორმა მოქმედებს (ძალა აქვს) იმდენად, რამდენადაც შექმნილია უფრო მაღლა მდგომი ნორმით გათვალისწინებული პროცედურით. ნებისმიერი ნორმის ძალა ეყრდნობა და გამომდინარეობს მასზე უფრო მაღლა მდგომი ნორმის ძალისაგან. მთელი სამართლის სისტემის ძალა კი – ე.წ. „ძირითადი ნორმიდან“. მაშასადამე, იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენლები პოზიტიურ სამართალს წარმოგვიდგენენ, როგორც გარკვეულ საფეხუროვან, იერარქიულ სისტემას და სამართლის სისტემის საფეხურებად დაყოფის საფუძვლად სახელმწიფოს ნება მიანიჩიათ, ე.ი. სახელმწიფოს ნება არის ის ცენტრი, რომელთან მიმართებაშიც დგინდება სამართლის სისტემის იერარქია (კონსტიტუცია, კანონი, განკარგულება), მაშასადამე, სამართლის წყარო ყოფილა არა სამართლის ნორმა, არამედ სახელმწიფოს ნება, რომელიც გარკვეული შინაარსის შემცველია, სამართლის ნორმა კი ამ ნების გამოხატულებაა. სამართალი სრულდება არა მისი ფორმალურობის, არამედ შინაარსის გამო, იმის გამო, რომ იგი სახელმწიფოს ნების ანუ გარკვეული შინაარსის შემცველი მოთხოვნაა, ე.ი. ფაქტობრივად ჩვენ დავედით სამართლის სახელმწიფოებრივ თეორიამდე, რომლის ყველაზე მძლავრი წარმომადგენელი ჰეგელია და რომელიც იურიდიული პოზიტივიზმისაგან განსხვავებული იდეების მატარებელია;

– იურიდიული პოზიტივიზმი თვლის, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ადამიანის თანდაყოლილი თვისებები კი არაა, არამედ უფლებასა და თავისუფლებას ადამიანს ანიჭებს სახელმწიფო, ე.ი. ისეთი ღირებულებები,

როგორცაა უფლებები და თავისუფლებები, სახელმწიფოსთან მიმართებაში პირველადი კი არა, მეორეული მოვლენებია და სახელმწიფო თავისი შეხედულებებისამებრ ადგენს მათ;

– სახელმწიფო არის სამართლის შედეგი, ამდენად, სამართლის ცნება სახელმწიფოს ცნებასაც მოიცავს, სახელმწიფოს საქმიანობა სამართლებრივ სახელმწიფოში ხორციელდება სამართლის ჩარჩოში, აქედან გამომდინარე, როცა იურიდიული პოზიტივიზმი სამართალს განსაზღვრავს სახელმწიფოს საშუალებით და ამბობს, რომ სამართალი არის სამართლის ნორმით გამოხატული სახელმწიფოს ნება, ამით ფაქტობრივად ამბობს – „სამართალი არის სამართალი,” რაც ლოგიკური ტავტალოგიაა;

– იურიდიული პოზიტივიზმის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ მეცნიერებამ არ უნდა დაუშვას შეფასებითი მსჯელობები, მაგრამ მიზანმიმართული უარის თქმა შეფასებით მსჯელობებზე, თავისთავად წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას. ამდენად, ამ დებულებით იურიდიული პოზიტივიზმი გამოუვალ წრეში იგდებს თავს;

– მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პოზიტივიზმი უარყოფს სამართლის არსებობას კანონის გარეშე, იგი ზოგიერთ კერძო შემთხვევაში იძულებულია აღიაროს საწინააღმდეგო. მაგალითად, როცა იურიდიული პოზიტივიზმი უშვებს ისეთი ურთიერთობების არსებობას, რომლებიც კანონის ან სამართლის ანალოგიითა მოსაწესრიგებელი, ამით, ფაქტობრივად, აღიარებს კანონისაგან დამოუკიდებელი სამართლის არსებობას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იმის გარკვევა თუ რატომ გახდა მაინცდამაინც მოცემული ურთიერთობა ანალოგიის წესით დასარეგულირებელი? რასთან მიმართებაში იქნა ამორჩეული მოცემული ურთიერთობა სხვა ურთიერთობებისაგან, თუ სახელმწიფოს, როგორც კანონმდებელს პირდაპირ არ ჰქონდა მითითებული ამის შესახებ და არ ჰქონდა მიღებული შესაბამისი სამართლის ნორმა? რა საფუძველზე, რა მიზეზით უნდა წარმოიშვას სამართლებრივი ურთიერთობები ისეთ ფაქტებზე, რომლებიც

უშუალოდ არ არის კანონით გათვალისწინებული?¹⁵⁶ რასაკვირველია, იმ ზოგად სამართალთან მიმართებაში და იმ ზოგადი სამართლის საფუძველზე, რომელსაც არ აღიარებს იურიდიული პოზიტივიზმი.

6.15. იურიდიული პოზიტივიზმის დადებითი მხარეები.

იურიდიული პოზიტივიზმის მიხედვით სამართალი მოცემულია კანონებსა და კანონქვემდებარე აქტების ტექსტებში, იგი წარმოდგენილია, როგორც სამართლის ნორმების სისტემა, ამიტომ იურიდიული პოზიტივიზმის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სამართლის ნორმის აღრიცხვის, მისი სისტემატიზაციის, საინფორმაციო-საძიებელ საქმიანობასთან დაკავშირებული მიმართულებების განვითარება, კანონმდებლობის სისტემის შექმნისა და მისი სრულყოფის საფუძვლების კვლევა;

– სამართლის პოზიტივისტური თეორია ორგანულადაა დაკავშირებული წარმომადგენლობით დემოკრატიასთან. საქმის გახლავთ, რომ არჩევითი საკანონმდებლო ორგანოების ძირითად მიზანს წარმოადგენს სამართლის განვითარება, მისი სრულყოფა კანონშემოქმედებითი საქმიანობით, რაც კანონის, როგორც სამართლის ერთადერთი წყაროს აღიარებას გულისხმობს. თვით სამართლებრივი სახელმწიფოც კანონის უზენაესობას აღიარებს. ამიტომ, სავსებით ლოგიკურია იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენელთა ზრუნვა კანონმდებლობისა და საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფისათვის, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების წესებისა და მეთოდების დახვეწისათვის სამართლის ეფექტური რეალიზაციისათვის. მათ განავითარეს სამართლის შემეცნების ლინგვისტური, ტექსტოლოგიური, სტრუქტურული მეთოდები;

¹⁵⁶ В. М. Сырых, Теория государства и права, М., 2004. С. 567.

– მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული პოზიტივიზმის მიმდევრებმა დაამუშავეს იურიდიული კონსტრუქციების ლოგიკა და ცნებითი იურისპრუდენცია;¹⁵⁷

– იურიდიულმა პოზიტივიზმმა უარყო სახელმწიფო ხელისუფლებასა და კანონებზე მეტაფიზიკური შეხედულებანი, მათ შორის შეხედულება ხელისუფლებისა და კანონების დვთაებრივი წარმოშობის შესახებ, რითაც შესაძლებელი გახდა ხელისუფლებისა და კანონების განხილვა ყოველგვარი ტრანსცენდენტური და აპრიორული მინარევების გარეშე;

– იურიდიული პოზიტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით შესაძლებელია სტაბილური მართლწესრიგის დამყარება, სამართლებრივი ნორმის სტრუქტურის, იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლების, ნორმებისა და ნორმატიული აქტების, ინტერპრეტაციის სახეების დეტალური შესწავლა;¹⁵⁸

– იურიდიული პოზიტივიზმი იძლევა სამართლის ფორმალურ განსაზღვრებას, რითაც ზუსტად აფიქსირებს მასში როგორც სამართლის სუბიექტის უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე სახელმწიფო იძულების ზომებსა და საშუალებებს;

– კელზენის მიერ აგებულმა საკანონმდებლო პირამიდამ, რომელშიც მოცემულ ყველა სამართლებრივ ნორმას, საბოლოო ანგარიშში, განაპირობებს ე.წ. ძირითადი, ანუ უმაღლესი ნორმა, რომელიც რაიმე აქტის სახით კი არ გამოიხატება, არამედ მხოლოდ იგულისხმება, აპრიორულად არსებობს და მისი შეცვლა არაფერს და არავის არ შეუძლია¹⁵⁹ (ამ ტრანსცედენტალურ-ლოგიკური ცნების შინაარსია „უნდა მოიქცე ისე, როგორც ამას კონსტიტუცია მოითხოვს“) ხელი შეუწყო საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის ჩამოყა-

¹⁵⁷ О. Э. Лейст, Сущность права, проблемы теории и философии права, М. 2002. С. 226.

¹⁵⁸ გივი ღობუანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003, გვ. 314.

¹⁵⁹ გივი ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000, გვ. 58.

ლიბებას. სხვათა შორის, საკონსტიტუციო იუსტიცია პირველად ავსტრიის 1920 წლის კონსტიტუციამ დაადგინა. ამ კონსტიტუციის პროექტის მომზადებას, ავსტრიის პირველი რესპუბლიკური მთავრობის დავალებით, ხელმძღვანელობდა ჰანს კელზენი. ფაქტობრივად, კელზენი ამ „ძირითადი ნორმის“ აღიარებით ჯერარსული ნორმების ნამდვილობის საფუძველად სახელმწიფოს კი არა, ამ ძირითად, ჰიპოტეტურ ნორმას აღიარებს;

– იურიდიული პოზიტივიზმის წიაღში დამუშავდა თანამედროვე სამართლის (კანონის) თეორიის ცნებებისა და პრინციპების მნიშვნელოვანი ნაწილი. იურიდიული პოზიტივიზმის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სამართლის თეორიის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების დასაბუთება, როგორებიცაა: 1. კანონის უზენაესობისა და იერარქიული კავშირის პრინციპი; 2. მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და სამართლის ნორმის გაუგებრობის მოტივით მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობის პრინციპი; 3. კანონიერების პრინციპი; 4. სამართლის კანონზე დაქვემდებარების პრინციპი.¹⁶⁰ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე სამართლის ნორმის, როგორც ჰიპოთეზის, დისპოზიციისა და სანქციის ერთობლიობის გაგებაში, იურიდიული პასუხისმგებლობის ფუძემდებლური პრინციპებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსის დადგენაში. მოქმედი სამართლის ნორმების ანალიზისა და განზოგადების, ასევე სამართლებრივი ცნებების გამოყვანის ფორმალურ-იურიდიული (დოგმატური) მეთოდების შემუშავებაში;

– იურიდიული პოზიტივიზმის, განსაკუთრებით კი ნორმატივიზმის გავლენით სამართლისმცოდნეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სამართალში წინააღმდეგობების აღმოფხვრას და თანმიმდევრული, მწყობრი სამართლებრივი სისტემის შექმნას;

¹⁶⁰ В. М. Сырых, Теория государства и права, М., 2004. С. 567.

– ნორმატივიზმის კონცეფციას უკავშირდება საერთაშორისო სამართლის, როგორც შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე მაღლა მდგომი სამართლის, იდეის ფართო გავრცელება;

– იურიდიულმა პოზიტივიზმმა, ერთ-ერთმა პირველმა, დასვა საკითხი სამართლისმცოდნეობის დეიდეოლოგიზაციის შესახებ.

6.16. იურიდიული პოზიტივიზმის იდეების გავრცელება და ევოლუცია. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იურიდიული პოზიტივიზმის იდეები გავრცელდა საფრანგეთში, სადაც განხორციელდა სამართლის კოდიფიკაცია. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში საგრძნობლად გაფართოვდა იურიდიული პოზიტივიზმის დოქტრინის გავრცელების არე ევროპის ქვეყნებში. იურიდიული პოზიტივიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ კარლ ბერგბომი (გერმანია), არემარ ესმენი (საფრანგეთი), გაბრიელ შერშენევიჩი (რუსეთი) და სხვები.

ამ პერიოდის იურიდიულმა პოზიტივიზმმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, გაფართოვდა იურიდიული პოზიტივიზმის კონცეფციის ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური დაფუძნება პოზიტიური ფილოსოფიისა და პოზიტიური სოციოლოგიის დებულებების გამოყენებით.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იურიდიული პოზიტივიზმის მიმდევრებმა უარი თქვეს სამართლის იმპერატიული თეორიის რიგ დებულებებზე და შეიმუშავეს სახელმწიფოს სამართლებრივი თვითშეზღუდვის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც პოზიტიური სამართლის ნორმები მიმართულია თვით სახელმწიფოზე. ამ პერიოდში იურიდიული პოზიტივიზმის პრინციპები გავრცელდა საერთაშორისო სამართალშიც, ჩამოყალიბდა სამართლისადმი მონისტური მიდგომა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სამართალი და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემა ერთიანი მართლწესრიგის სტრუქტურულ ელემენტად გამოცხადდა.

დასკვნები. იურიდიული პოზიტივიზმი არის ერთ-ერთ ძირითადი მიმდინარეობა და თეორია თანამედროვე იურისპრუდენციაში. იურიდიული პოზიტივიზმის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სამართლის მეცნიერებისა და ეთიკის შესასწავლ საგანთა განცალკავება. საგულისხმოა, რომ XIX საუკუნემდე სამართალი შეისწავლებოდა მორალური ფილოსოფიის ფარგლებში. იურიდიული პოზიტივიზმის კლასიკოსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სამართლის მეცნიერების განვითარებაში თუნდაც იმით, რომ გამიჯნეს სამართალი მორალისაგან. ისევე როგორც მაკიაველიმ XVI საუკუნეებში გამიჯნა პოლიტიკა მორალისაგან, ასევე XIX საუკუნის იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენლებმა განსაზღვრეს იურიდიული მეცნიერების საგანი და შემოსაზღვრეს იგი იურიდიული ნორმების ანალიზით. ისინი ფიქრობდნენ, რომ იურიდიული მეცნიერება, თუ სურს მას მეცნიერებად იწოდებოდეს, უნდა სწავლობდეს სამართალს ისეთს, როგორც ის არის და არა ისეთს, როგორც ის უნდა იყოს.

იერემია ბენტამიც და ჯონ ოსტინიც სამართალსა და მორალს ანსხვავებდა, მხოლოდ, ასე ვთქვათ, თეორიულ დონეზე, რაც გამართლებული იყო სამართლის უფრო კონკრეტულად შესწავლის მიზნიდან გამომდინარე, მაგრამ ისინი არ მიჯნავდნენ მორალსა და სამართალს პრაქტიკულ დონეზე. მათ კარგად ესმოდათ, რომ პოზიტიური სამართლის მოქმედება მაშინაა ეფექტური, როცა სამართლის ნორმა საზოგადოებრივ ცნობიერებაში ღებულობს ერთგვარ ლეგიტიმაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლის ნორმა ვერ ასრულებს საზოგადოების მართვის ინსტრუმენტის როლს. მათი არსებითი განსხვავება სამართლის ბუნებითი თეორიის წარმომადგენლებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ იურიდიული პოზიტივიზმის მიხედვით, სამართლის მეცნიერული დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ პოზიტიური სამართლის ანალიზის საფუძველზე. მართლაც, ყოველად წარმოუდგენელია, რომ ვთქვათ, აპარტიდის ამორალურ კანონებს

მორალური პოზიციებიდან გამომდინარე მხარი დაუჭირონ იურიდიული პოზიტივიზმის წარმომადგენლებმა. ისინი მას განსჯიან საკუთარი ეთიკური პრინციპების მიხედვით, მაგრამ იტყვიან, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვაგვარი ეთიკური ღირებულებების მატარებლები არიან და მათთვის რასობრივი უთანასწორობა ბუნებრივი და მორალურად გამართლებულია. სამართლის დაფუძნებისათვის კი მოსაძებნია ყველასათვის ერთნაირი საფუძველია, მორალური კრიტერიუმები ასეთ ზოგადსა და საყოველთაოს ვერ იძლევიან, ამიტომ მორალური კრიტერიუმებით შეუძლებელია სამართლიანისა და უსამართლოს განსხვავება, რის გამოც მორალი არ გამოდგება სამართლის დაფუძნების საშუალებად – ფიქრობენ ისინი.

თანამედროვე იურისპრუდენციაში თვალნათლივ შეინიშნება იურიდიული პოზიტივიზმის იდეების ერთგვარი კონვერგენცია ბუნებითი სამართლის იდეებთან, რასაც მოწმობს იურიდიული პოზიტივიზმის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლის ჰერბერტ ჰარტის შეხედულებების ევოლუცია. იგი თავის “სამართლის კონცეფციის” „პოსტსკრიპტუმში” აცხადებს, რომ სამართლიანისა და უსამართლოს გარჩევა შესაძლებელია. მისი აზრით, სამართალი არის რაღაც ობიექტური, განსაზღვრული, ყველასათვის საერთო, ამიტომ, – განაგრძობს ჰარტი, – ინდივიდუალური მორალიდან გამომდინარე, სამართალი კარგავს თავის აზრს, ვინაიდან იგი თითოეულისათვის სპეციფიკური იქნება, ხოლო თუ სამართალს განვიხილავთ, როგორც ზოგადაუცილებელი ნორმების სისტემას, ეს სწორი იქნება, მაშასადამე, სამართლიანი და მორალური.¹⁶¹ გამოდის, რომ ჰარტის მიხედვით ყველა სამართლებრივი სისტემა, მინიმალური ოდენობით მაინც, შეიცავს ბუნებითი სამართლის შინაარსს.

¹⁶¹ И. Ю. Козлихин, Позитивизм и эстетическое право // Государство и право, 2000, № 3. С. 11.

Tavi 7. samarTlebrivi cnobierebis Sinaarsis ZiriTadi elementebi

7.1. სამართლებრივი ცნობიერების შინაარსის შემეცნებითი ელემენტები. ადამიანი თავისი ბუნებით თუ დანიშნულებით „განწირულია“ იცხოვროს გარკვეულ გარემოში სხვა ადამიანებთან ერთად. სხვებთან ერთად ადამიანის თანაცხოვრება არ წარმოადგენს არც მის კაპრიზს და არც საზოგადოების სასარგებლოდ გადადგმულ ნაბიჯს. უბრალოდ, სხვანაირად მას არ შეუძლია. მის გაჩენასაც, ფიზიკური და სულიერი არსებობის შენარჩუნებასაც, მემკვიდრის დატოვებასაც სხვა ადამიანი და გარკვეული გარემო სჭირდება. ამიტომ, ფაქტობრივად, ადამიანის ცხოვრება ადამიანებით და გარკვეული გარემო პირობებით განსაზღვრული ცხოვრებაა. სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრება ადამიანის არსებობის ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა. „ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია: მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, ვერასგზით ვერ მიაღწევს ბედნიერებას.“¹⁶² იგი მუდამ გარკვეულ მიმართებაში იმყოფება მის გარემომცველ ადამიანებთან და ბუნებასთან. ყველა ადამიანს საკუთარი ინტერესები ამოძრავებს, ამ მიზნებისა და ინტერესების განხორციელება სხვა ადამიანებთან ერთადაა შესაძლებელი, ამიტომ ადამიანი ნებისთ თუ უნებლიედ უნდა დაფიქრდეს იმაზე თუ როგორ მიაღწიოს დასახულ მიზანს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მისმა მისწრაფებებმა კრახი განიცადოს. ამიტომ „ადამიანები ცხოვრების წესზე უნდა შეთანხმდნენ, ისევე როგორც

¹⁶² ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ.5, გვ. 165.

თანხმდებიან თამაშის წესებზე.¹⁶³ ცხოვრების წესის დადგენა მის შეზღუდვას, მის გარკვეულ ფარგლებში მოქცევას გულისხმობს. ცხოვრების გარკვეულ ფარგლებში მოქცევის, მისი რეგულირების ერთ-ერთი საშუალება სამართალია. ამდენად, სამართალი ადამიანური ყოფისა თუ ყოფნის აუცილებელი ატრიბუტი და მისი ცხოვრების განმაპირობებელი მოვლენაა. ამაში მდგომარეობს სამართლის უმთავრესი ღირებულება და მისდამი ინტერესიც ბუნებრივია. ადამიანი ისწრაფვის დაადგინოს მის შესახებ ჭეშმარიტება, შეაფასოს და გამოიყენოს იგი. საკუთარი ცხოვრების წესის განსაზღვრისათვის ადამიანი სამართალთან შემეცნებით, შეფასებით და ღირებულებით მიმართებას ადგენს. ეს მიმართება ინტენციონალური ანუ ისეთი მიმართებაა, როცა ცნობიერება საგანზე მიმართულია ობიექტურად, თავისთავად. არისტოტელე ასეთი მიმართების შესახებ აღნიშნავდა: „ყველაფერი, რასაც მიმართებაში მყოფი ჰქვია რიცხვის მიხედვით ან უნარის აზრით, მიმართებაში მყოფია იმიტომ, რომ თავად მისი არსება შეიცავს თავისში მიმართებას და არა იმიტომ, რომ რაღაც სხვა იმყოფება მასთან მიმართებაში.“¹⁶⁴

სამართლებრივი ცნობიერების შემეცნებით მხარეს წარმოადგენს ადამიანის დაუინტერესებელი მიმართება სამართლისა და საზოგადოების სამართლებრივ ცხოვრებაზე. სამართლის შემეცნების მიზანია გამოიკვლიოს სამართალი, დაადგინოს მისი არსი და ნიშან-თვისებები. სამართლისადმი შემეცნებითი მიმართებით ყალიბდება სამართლებრივი რეალობის, როგორც გარკვეული საგნობრივი ვითარების შესაბამისი ცოდნა. ეს

¹⁶³ ოთარ ჯიოევი, სოციალური ღირებულებანი თანამედროვე ეპოქაში. იხ. XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ანთოლოგია. ტ. II. ნაკვეთი II. თბ.2002, გვ. 202.

¹⁶⁴ Аристотель . Соч. в IVт-х. т.I М.1976.С. 168.

ცოდნა არაფერს გვეუბნება ადამიანის რეალობაზე დამოკიდებულების შესახებ, პირიქით, იგი აბსტრაგირებულია მისდამი ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან, სამართალზე შემეცნებითი მიმართება შემეცნების სუბიექტისა და ობიექტის ერთმანეთისაგან გაუცხოებას მოითხოვს, შემეცნების სუბიექტს სამართალი უნდა აინტერესებდეს როგორც მხოლოდ შემეცნების ობიექტი და არა გარკვეული მნიშვნელობის მქონე მოვლენა. როცა შემეცნების სუბიექტის მიერ წინა პლანზე წამოიწევს შეფასებითი მომენტები ჭეშმარიტების კვლევა რთულდება. სამართალზე შემეცნებითი მიმართების მიზანი კი სამართლებრივი სინამდვილის შესახებ ჭეშმარიტების დადგენაა. სამართლებრივი სინამდვილის შესახებ ჭეშმარიტების დადგენის აუცილებლობა იმითაც ფუძნდება, რომ სამართლებრივი ურთიერთობები შეიცავს სხვაგვარი, არსებულისაგან განსხვავებული ურთიერთობის შესაძლებლობებსაც. ამდენად, შესაძლებელია მისი შეცვლა ახალი ურთიერთობებით, რაც თავის მხრივ, სამართალზე ჭეშმარიტი ცოდნის დადგენას მოითხოვს. „სამართლებრივი სინამდვილის შემეცნების ერთერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში მჭიდროდაა დაკავშირებული შემეცნებითი და შეფასებითი, გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური მომენტები.“¹⁶⁵ ეს თავისებურება სამართლის როგორც არსისა და ჯერარსის ურთიერთმიმართების შედეგიდან გამომდინარეობს. სამართლებრივი სინამდვილის, როგორც განხორციელებული ჯერარსის შემეცნება განსხვავდება სამართლის, როგორც განუხორციელებელი არსის ანუ ჯერარსის შემეცნებისაგან. სამართლის ჯერარსული ხასიათი ართულებს მის აშკარა გაუცხოებას შემეცნებელი სუბიექტისაგან, განსხვავებით არაჯერარსული მოვლენებისაგან, რომელთა შემეცნება თვით საგნის ბუნებითაა

¹⁶⁵ Иконникова Г.И. Лященко В.П. Основы Философии права. М. 2001. С. 198.

განსაზღვრული და სრულადაა გამიჯნული შემეცნებელი შესამეცნებლისაგან. ამასთანავე, სამართლებრივი რეალობა თავისუფლებით, სამართლიანობით, თანასწორობით გამოხატული რეალობაა და ფაქტობრივად შეუძლებელიცაა მისი შეფასებითი მომენტების გარეშე წარმოდგენა. „შეუძლებელია ნორმატიული წინადადების ვერიფიცირება ან ფალსიფიცირება, მისი იმავე თამაშის წესებით შემოწმება, რითაც მოწმდება დესკრიფციული წინადადება.“¹⁶⁶ ნორმატიული მსჯელობა მნიშვნელობის მიხედვით ფასდება და არა ჭეშმარიტების. ამიტომაც, პოსტმოდერნისტული პერიოდის ზოგი ფილოსოფოსი თვლის, რომ „ჯემსის დროიდან მოყოლებული, ჭეშმარიტება არის ის რისიც ყველაზე მეტად გვჯერა და არა სინამდვილის ზუსტი რეპრეზენტაცია.“¹⁶⁷ რის გამოც სამართლებრივ ცნობიერებაში სამართლის შეფასებითი ელემენტები მის ორივე დონეზე – ყოველდღიურ-პრაქტიკულ და თეორიულ დონეზე შეიძლება შეგვხვდეს. სამართლებრივი ცნობიერების პირველ დონეზე შეფასებითი სჭარბობს შემეცნებითს, ხოლო მეორე დონეზე შემეცნებითია უპირატესად წარმოდგენილი. სამართალთან შემეცნებითი დამოკიდებულება უფრო იურისტის პროფესიული სამართლებრივი ცნობიერებისთვისაა დამახასიათებელი. ამ დონეზე სამართლის შემეცნება არ არის თავისუფალი აქტიობა. „იგი ისევე როგორც ზოგადად შემეცნება დეტერმინირებული და განპირობებულია იმ სტრუქტურებით, რომლებითაც შესამეცნებელი ობიექტი ხასიათდება.“¹⁶⁸ ისევე, როგორც ყოველგვარი შემეცნება, სამართლებრივი სინამდვილის შემეცნებაც კონკრეტულ-ისტორიული და განვითარებადია.

¹⁶⁶ Хабермас Ю. Моральное сознание и коммуникативное действие СПб. 2000. С. 84.

¹⁶⁷ Рорти Р. Философия и зеркало природы. Новосибирск .1997. С. 8.

¹⁶⁸ შოთა ნადირაშვილი, შალვა ნუცუბიძე და განწყობის თეორია, იხ. ასე იგონებენ შალვა ნუცუბიძეს, თბ. 1999, გვ. 8.

7.2. სამართლებრივი ცნობიერების შინაარსის შეფასებითი ელემენტები. ადამიანი მიზანმიმართული არსებაა, იგი ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების დინებაში საკუთარი ინტერესები და მისწრაფებები ჩააქსოვოს. ამ მიზნის განხორციელება კი სინამდვილის და კერძოდ სამართლებრივი სინამდვილის მხოლოდ შემეცნებით შეუძლებელია. შემეცნებული სინამდვილე, ანუ თეორიული ცოდნა სამართლის, მისი თვისებების, არსის და ა.შ. შესახებ, მიზნობრივად რომ განხორციელდეს, იგი უნდა შეფასდეს. მართალია, „შემეცნება პრაქტიკული მოღვაწეობის სერიოზული წანამძღვარია, მაგრამ ადამიანის საქმიანობა შემეცნების გარდა გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას, ამორჩევას სხვადასხვა ალტერნატივას შორის.“¹⁶⁹ ამორჩევა კი შედარება-შეფასებით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ „შემეცნებას საზოგადოებაში მყოფი ადამიანები ახორციელებენ, შემეცნება არ არის სოციალური კანონებით განპირობებული.“¹⁷⁰ შემეცნება არ აფასებს შესამეცნებელს. მაგრამ შეფასება შემეცნებიდან ამოდის. სამართლებრივი რეალობის შეფასება მისდამი ემოციონალური დამოკიდებულების შედეგია. ადამიანი მის გარემომცველ სამართლებრივ სინამდვილეში მოქმედებს არა მხოლოდ გონებით, არამედ განიცდის მას გრძნობებით, ემოციებით, მოთხოვნილებებით, ინტერესებით, წარმოდგენებით და ა.შ. სწორედ მათზე დაყრდნობით აფასებს იგი ამ სინამდვილეს და თავის დამოკიდებულებას სიყვარულით, სიძულვილით, იმედით, უიმედობით თუ სხვა სახის ემოციური განწყობით გამოხატავს. სამართლებრივი ცნობიერების შეფასებითი მხარე სამართალსა და სამართლებრივ სინამდვილეს განიხილავს სუბიექტის ინტერესებთან, მიზნებთან, მისწრაფებებ-

¹⁶⁹ გიორგი შუშანაშვილი, ღირებულება და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები, თბ. 1990, გვ.63;.

¹⁷⁰ გიორგი შუშანაშვილი, შემეცნების თეორია, თბ. 1977, გვ. 34.

თან მიმართების მიხედვით. „ადამიანის მიერ სამყაროს მოვლენათა შეფასება ხორციელდება ორ – ემოციურ და თეორიულ დონეზე.¹⁷¹ შეფასების ორივე დონე ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველია, მაგრამ განსხვავებით ემოციურისაგან თეორიული შეფასება ხორციელდება არა გრძნობების, არამედ რაციონალური გააზრების საფუძველზე. ამიტომ თუ ემოციური შეფასება წმინდა სუბიექტურ-ინდივიდუალურია, თეორიული – სუბიექტურ-ობიექტურია, მას ობიექტურობის პრეტენზია აქვს რაციონალური, აზრისეული საფუძვლის გამო. სამართლებრივი სინამდვილის ემოციურ დონეზე შეფასება გამოხატავს იმას თუ რას განიცდის ადამიანი ამ სინამდვილესთან მიმართებისას, ხოლო თეორიული შეფასების დროს როგორია ეს სინამდვილე (განსხვავებით შემეცნებითი მიმართებისაგან, რომელიც გამოიხატება ფორმულით „რა არის ეს სინამდვილე“). ემოციური შეფასება განცდისეულია და მასში ადამიანის პირადი, ინდივიდუალური შეფასებაა გადმოცემული, ხოლო თეორიული შეფასების დროს ადამიანის ინტერსუბიექტური დამოკიდებულებაა გადმოცემული. თეორიული შეფასება არ არის მხოლოდ პიროვნული და ინდივიდუალური, იგი ობიექტურია, სხვებისთვისაც სავალდებულოა და მის ამ ობიექტურობასა და სხვებისთვისაც სავალდებულობას მისი გარკვეულ ღირებულებაზე დაფუძნება განაპირობებს. „ღირებულება განისაზღვრება, როგორც ადამიანთა ჯგუფის წარმოდგენა იმის შესახებ თუ რა არის სასურველი, მისაღები, კარგი ან ცუდი.“¹⁷² მაშასადამე, სამართლებრივი სინამდვილის, როგორც სინამდვილის გარკვეული სახის თეორიული შეფასება გარკვეულ ღირებულებებზე დაფუძნებული შეფასებაა და ამდენად ობიექტურის პრეტენზიის მქონეა. ღირებულება უმაღლესი

¹⁷¹ ვახტანგ ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ. 2001, გვ. 182.

¹⁷² Гидденс Э. Социология. М.1999. С. 674.

მიზნით – იდეალით განისაზღვრება და ადამიანს აძლევს ორიენტირს, რომლის მიხედვითაც იგი აფასებს სინამდვილეს. სამართლებრივი ცნობიერების ღირებულებითი ელემენტები სამართალს განიხილავს როგორც გარკვეულ მიზანს, გარკვეულ ღირებულებას და ამ ღირებულებასთან მიმართებაში აფასებს სამართლებრივ სინამდვილეს.

მაშასადამე, სამართლებრივი ცნობიერების შინაარსი – სამართალზე, როგორც ჯერარსულ მოვლენაზე და სამართლებრივ სინამდვილეზე, როგორც განხორციელებულ ჯერარსზე შემეცნებითი, შეფასებითი და ღირებულებითი მიმართებით დადგენილი ცოდნისა და შეხედულებების ერთობლიობას წარმოადგენს.

Tavi 8. samarTali da xelisufleba

8.1. ხელისუფლების ცნება. ადამიანი თავისუფალი და ამავე დროს საზოგადოებრივი არსებაა. მისი არსებობა შესაძლებელია მხოლოდ სხვასთან კავშირში. თითოეული ადამიანის „მეს“ გაცნობიერება სხვასთან მიმართების გარეშე შეუძლებელია, იგი არ არსებობს სხვასთან (შენთან, ჩვენთან) შეხვედრის გარეშე.

„მესა“ და „შენის“ მჭიდრო კავშირი წარმოშობს „ჩვენის“ პრობლემას. „ჩვენ“ არ წარმოადგენს „მეს“ მრავლობით რიცხვს, „მეს“ საერთოდ არ აქვს მრავლობითი, იგი უნიკალური და განუმეორებელია. „ჩვენ“ არის „მე“ და „შენი“ ერთიერთობა. „ჩვენ“ არის ერთიანობა, რომელიც უპირისპირდება მრავალს და განცალკევებულს. ადამიანი, როგორც „მე“ ვითარდება „ჩვენის“ წიაღში. „მედ“, „შენად“, „იმად“ დაყოფა შესაძლებელია მხოლოდ „ჩვენის“ ყოვლისმომცველი ერთობის საფუძველზე.¹⁷³

„ჩვენ“ ადამიანის საზოგადოებრივი ყოფაა, სხვა ადამიანებთან თანაარსებობაა, რაც მისი (ადამიანის) არსებობის არსებითი ნიშანია. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი წყობა, როგორც რუსო აღნიშნავს, არაა ბუნებრივი (ერთადერთი ბუნებრივი საზოგადოება ოჯახია – რუსო), არაა ბუნების მიერ ბოძებული და ეფუძნება გარკვეულ შეთანხმებას. ამავე დროს, ადამიანთა ნებისმიერ კავშირში (ოჯახი, სასწავლებელი, პარტია, სახელმწიფო და ა. შ.) შეინიშნება ამ კავშირის წევრის – „მეს“ მისწრაფება თავისუფლებისაკენ, პიროვნული საწყისების რეალიზაციისაკენ, ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ადამიანის ბუნება თავისუფლებაა, რის გამოც ჩნდება „მესა“ და „ჩვენის“ დაპი-

¹⁷³ Франк С.Л. Духовные основы общества. Введение в социальную философию, М., 1992, Стр. 53.

რისპირების შესაძლებლობა, „ჩვენ“ – ანუ ადამიანთა თანაარსებობის, მათი კავშირის შენარჩუნების აუცილებლობა პიროვნებისგან („მესგან“) საკუთარი თავისუფლების შეზღუდვას, მის გასხვისებას მოითხოვს საზოგადოების („ჩვენის“) სასარგებლოდ. „მესა“ და „ჩვენის“ მშვიდობიანი თანაარსებობა წესრიგის არსებობას გულისხმობს. წესრიგი კი, რომელიც აუცილებელია ადამიანთა კავშირის შენარჩუნებისათვის, გარკვეულად ზღუდავს კავშირის წევრის – პიროვნების („მეს“) მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. მაშასადამე, ადამიანთა ნებისმიერ კავშირში, ერთმანეთს უპირისპირდება, პიროვნების („მეს“) მისწრაფება პიროვნული საწყისების რეალიზაციისაკენ და იმ საგაღებულო მოქმედებების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებელია ადამიანთა კავშირის შენარჩუნებისათვის, რომელსაც წესრიგი ეწოდება. წესრიგი ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას და მიისწრაფვის ადამიანთა კავშირის, როგორც მთელის („ჩვენის“) შენარჩუნებისათვის. წესრიგისათვის საზოგადოებრივი საწყისია („ჩვენია“) მთავარი, თავისუფლებისათვის კი პიროვნული. ადამიანთა ნებისმიერ კავშირში წესრიგს იცავს და ახორციელებს ხელისუფლება, ე.ი. ხელისუფლება ზღუდავს პიროვნულს, რითაც უზრუნველყოფს ადამიანთა თანაცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შექმნას და ამ ფარგლებში უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას. მაშასადამე, ხელისუფლების მიერ პიროვნულის შეზღუდვა, პრინციპში, პიროვნების სასარგებლოდაა მიმართული, რადგან, როგორც ჰეგელი აღნიშნავდა, პიროვნების თავისუფლება სხვა პიროვნების გარეშე შეუძლებელია: „სხვაში უნდა იგრძნოს ნებამ თავი თავისთან“.

როგორც ვხედავთ, ხელისუფლების აუცილებლობა განპირობებულია ადამიანთა თანაცხოვრების („ჩვენის“) შენარჩუნების გარდაუვალობით. მაშასადამე, „ჩვენს“ აქვს ტენდენცია

იქცეს ადამიანზე („მეზე“) ზემოთ და მისი ცხოვრების განმსაზღვრელ ობიექტურ ძალად – ხელისუფლებად. თანამედროვე იურიდიულ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხელისუფლების სხვადასხვა ნიშნებზე მიუთითებენ: ერთნი მას განსაზღვრავენ, როგორც სხვისი დამორჩილების უნარსა და საშუალებას; მეორენი, როგორც გარკვეული მიზნების განხორციელების საშუალებას; მესამენი კი, როგორც ადამიანთა შორის ისეთი ურთიერთობების არსებობას, როცა ერთნი იძლევიან ბრძანებებს, მეორენი ემორჩილებიან. ზოგადად თუ ვიტყვით, ხელისუფლება მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების შესაძლებლობაა. იგი ნებისმიერი საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის არსებითი ელემენტია და წარმოადგენს გარკვეული წესრიგის შენარჩუნებისა და რეგულირების ინსტრუმენტს. რაც უფრო რთულია საზოგადოება (ადამიანთა კავშირი – „ჩვენ“), მით უფრო რთულია ხელისუფლების ორგანიზაცია.

ხელისუფლებას საზოგადოებაში, რაიმე უპირატესობის ნიშნის საფუძველზე, ფლობს პიროვნება, პიროვნებათა გარკვეული ჯგუფი. ეს უპირატესობა, შეიძლება იყოს ავტორიტეტის, შეიძლება ძალის ან სხვა სახის პრივილეგიის (ვთქვათ, კანონის გამოცემის შესაძლებლობა) საფუძველზე წარმოშობილი უპირატესობა. ავტორიტეტის, იძულების თუ სამართლის საფუძველზე გარკვეული ნების თავსმობხვევის შესაძლებლობას სხვის ნებაზე ხელისუფლებას უწოდებენ. როგორადაც არ უნდა მოვიხსენიოთ ხელისუფლება – „ღმერთის სვლად დედამიწაზე“ (ჰეგელი); „ყველაზე ცივ საოცრებად ცივ საოცრებათა შორის“ (ნიცშე) და სხვა, იგი წარმოადგენს „ჩვენის“ ინტერესების დამცველს, მის ჩრდილს, თანაც ისეთ ჩრდილს, რომელსაც აქვს „ჩვენისაგან“ გაუცხოვებისა და ტირანიად ჩამოყა-

ლიბების შესაძლებლობა.¹⁷⁴ „ჩვენი“ ანუ „უმრავლესობის მმართველობა, თუ ის შებოჭილი არ არის სამართლითა და თავისუფლების იდეით, შესაძლოა ტირანიად ჩამოყალიბდეს. ინდივიდუალურ თავისუფლებასთან მიმართებაში ნაკლებმნიშვნელოვანია, თუ ვინ ახორციელებს ტირანიას – ერთპიროვნული მმართველი თუ ხალხის უმრავლესობა. უმრავლესობის ტირანიის შემთხვევაში ინდივიდის მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, რადგან ამ შემთხვევაში მას უწევს საზოგადოებრივი აზრის და, მაშასადამე, ამ საზოგადოებრივი აზრიდან მომდინარე სულიერი თუ ფაქტობრივი ძალადობის დაძლევა“¹⁷⁵.

8.2. ხელისუფლება, ძალა და ნება. ძალა არ ქმნის არანაირ და მათ შორის, არც სახელისუფლებო უფლებას. ძალასთან მიმართებაში უფლება უაზრობად იქცევა: თუ ძალის გამოყენებით ვმართავ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მართვის უფლება მაქვს, უფრო პირიქით, არ მქონია მართვის უფლება და ამიტომ ვიყენებ ძალას; თუ იძულებული ვარ ვემორჩილებოდე, ეს ნიშნავს, რომ არ მაქვს არც უფლება და არც მოვალეობა. ძლიერის უფლება მხოლოდ მის ფაქტობრივ შესაძლებლობას – ძალას ეფუძნება და არანაირი სამართლებრივი თუ ეთიკური ძირებით არაა გამაგრებული. ამიტომ, ძლიერმა, რომ შეინარჩუნოს ბატონობა, ძალა უფლებად უნდა აქციოს, ხოლო მორჩილება მოვალეობად.¹⁷⁶ ხელისუფლება, როგორც ადამიანთა კავშირში წესრიგის ორგანიზატორი და დამცველი უნდა ფლობდეს ძალას, რათა შეძლოს საზოგადოების ყოველი ნაწილის მთელისთვის ხელსაყრელი მიმართულებით ამოქმედება, მაგრამ ეს ძალა საყოველთაო ნების გამოხატულება უნდა იყოს, რადგან

¹⁷⁴ Губин В.Д. Философия, М., 2000, С. 183.

¹⁷⁵ გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 97.

¹⁷⁶ ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბ., 1997, გვ. 13.

მხოლოდ მას ძალუძს კერძო პირთა დავაღდებულება.¹⁷⁷ სამართლებრივ ენაზე თუ ვიტყვით, ეს ძალა კანონიერი უნდა იყოს. მხოლოდ კანონიერი ძალა წარმოშობს, როგორც მართვის უფლებას, ასევე მორჩილების მოვალეობას. ეს კანონიერი ძალა ვლინდება, როგორც ზნეობრივი იმპერატივი საზოგადოების („ჩვენის“) სახელით, კავშირის წევრზე გარკვეული მოთხოვნების შესასრულებლად (ნებელობითი მოქმედება) და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, როგორც რაიმე მოთხოვნის შესრულების მაიძულებელი გარეგანი ძალა (იძულება).

მიუხედავად იმისა, რომ ძალა აუცილებელი ატრიბუტია ადამიანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესანარჩუნებლად, მასში და მის გარეთ წესრიგის დასამყარებლად და დასაცავად, ხელისუფლება ნებას უფრო ეფუძნება, ვიდრე ძალას. ხელისუფლების წარმომშობი ძირები და მისი საყრდენი უპირველესად ადამიანის ფსიქიკაშია. ძალა ნებას მოჰყავს მოქმედებაში. ძალა არ მუშაობს ადამიანის ნების გარეშე, ამიტომ ხელისუფლების მთავარი საყრდენი ადამიანია, მისი სულია და არა ძალა და ძალადობა.

სამართლისა და ხელისუფლების ურთიერთობა გაშუალებულია ნების საშუალებით. ხელისუფლება და ნება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთის მხრივ, ხალხის ნება ხელისუფლების დაფუძნების საშუალებაა, რაც განსაზღვრავს ხელისუფლების უფლებას დაიმორჩილოს სხვები, მობილიზაცია გაუკეთოს საზოგადოებას გარკვეული მიზნების სარეალიზაციოდ, მიიღოს გადაწყვეტილებები და სხვა. სხვანაირად თუ ვიტყვით, ხალხის ნება არის ხელისუფლების, როგორც იძულების საფუძველი, სოციალური სუბიექტის თავისუფალი ქცევისა და დამოუკიდებლობის დამორგუნველი.

¹⁷⁷ იქვე, გვ. 44.

მეორე მხრივ, მოსახლეობის ვადღებულება დაემორჩილოს ხელისუფლებას, დათმოს თავისუფლების წილი და ჰქონდეს გარკვეული უფლებები და მოვალეობები, ესეც ნებიდან მომდინარეობს.

მაშასადამე, ხალხის („ჩვენის“) ნება არის ხელისუფლების უფლების დაფუძნების საშუალება, რომლითაც ფუძნდება ხელისუფლების უფლება ძალაზე, ანუ მისი ძალაუფლება და მოსახლეობის უფლებები და მოვალეობები.

ნაპოლეონს რუსეთთან დამარცხების შემდეგ უთქვამს: „ყველაზე მეტად ამ ქვეყნად მანცვიფრებს ფიზიკური ძალის უძღურება. სამყაროში ორი რამაა: მახვილი და სული, საბოლოო ანგარიშით ყოველთვის იმარჯვებს სული“. შემთხვევითი არაა, რომ ტერმინი „ხელისუფლება“ სამართლის პრიორიტეტის მაგულისხმებელი ტერმინია ძალასთან მიმართებაში.¹⁷⁸ იგი მომდინარეობს სიტყვისაგან „ხელი“, რაც ძველ ქართულში „წესს“, „რიგს“ ნიშნავდა („გაჭრა ხელია მიჯნურთა...“).

8.3. სახელმწიფო ხელისუფლების ცნება და განხორციელების საშუალებები. ხელისუფლება შეიძლება იყოს სახელმწიფო, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, საოჯახო და სხვა. ადამიანთა გაერთიანებისათვის დამახასიათებელ ხელისუფლებებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლება. იგი იმორჩილებს ყველა სხვა სახის ხელისუფლებას, რის გამოც მას უმაღლეს, უზენაეს ხელისუფლებას უწოდებენ. სახელმწიფო ხელისუფლება როგორც ხელისუფლების უმაღლესი ფორმა წარმოადგენს საზოგადოების საერთო ინტერესების გამოხატვის, რეალიზაციისა და დაცვის საშუალებებს.¹⁷⁹ უმაღლესი ხელისუფლება სახელმწიფოს სპე-

¹⁷⁸ გ. ნადარეიშვილი, „ხელისუფლება“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის // სამართალი, 2003, #1-2, გვ.121.

¹⁷⁹ Э. А. Поздняков, Философия государства и права, М., 1994. С. 159.

ციფიკური ნიშანია, ამ ნიშნით განსხვავდება სახელმწიფო, როგორც ადამიანთა გარკვეული გაერთიანება, ადამიანთა სხვა სახის გაერთიანებებისაგან და საზოგადოებაში არსებულ სხვა ხელისუფლებებისაგან. სახელმწიფო ხელისუფლების მთავარ მომენტს მისი აბსტრაქტული ხასიათი წარმოადგენს. სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფარგლებში ხელისუფლება იურიდიულ ნორმათა სისტემაა და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს.¹⁸⁰ მისი არსებითი ნიშანია აგრეთვე, სუვერენიტეტი ანუ იურიდიული და ფაქტობრივი დამოუკიდებლობა, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ურთიერთობებში. სახელმწიფო ხელისუფლების საშინაო სუვერენიტეტი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის სახელმწიფოს მასშტაბით სოციალური იძულების ერთადერთი ორგანო. ამ თვალსაზრისით მას აბსოლუტური მონოპოლია უპყრია, მხოლოდ მას აქვს უფლება დასჯისა და იმის განსჯისა, თუ რა შემთხვევაში მიმართოს იძულებას. იგი არის სახელმწიფოში სამართლის ერთადერთი წყარო. საგარეო სუვერენიტეტი კი გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებლობას საერთაშორისო საქმეებში.

სახელმწიფო ხელისუფლების მიზანია საზოგადოების მართვის, მთლიანობის, ორგანიზებულობის, ფუნქციონის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ხელისუფლება შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი ძალადობით, ფარული იძულებით, ორგანიზაციული მოღვაწეობით ან ამ სამივეს ერთდროული გამოყენებით. მისი გამოვლენის ძირითადი ფორმებია: მბრძანებლობა, ხელმძღვანელობა, მართვა, ორგანიზაცია, ხოლო მისი ძირითადი ფუნქციებია – მარგანიზებელი, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი. სახელმწიფო ხელისუფლება გამოიხატება კანონებით, სამართლებრივი ნორმებით, წესებით, აკრძალვებით, მითითებე-

¹⁸⁰ იროდიონ სურგულაძე, სახელმწიფო // სამართალი, 1991, # 7-8, გვ. 17.

ბით. ხელისუფლების ამოცანაა ემსახუროს მოსახლეობას საზოგადოების („ჩვენის“) ინტერესების პრიორიტეტით. თანამედროვე სამართლებრივი ცნობიერება სახელმწიფო ხელისუფლებას განიხილავს, როგორც:

ა) თითოეული მოქალაქის ძირითადი უფლებების მაღიარებელსა და დამცველს;

ბ) ხალხის არა მხოლოდ ხელისუფლების ობიექტად, არამედ აგრეთვე მის სუბიექტად მაღიარებელ ფენომენს;

გ) ხალხის არა მხოლოდ ქვეშევრდომად, არამედ ხელისუფლების მიზნად მაგულისხმებელ მოვლენას;

დ) ხალხთან ერთად ერთი მიმართულებით მოქმედს;

ე) მოვალეობას და არა უპირატესობას.

აქედან გამომდინარე სახელმწიფო ხელისუფლება შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: საზოგადოების სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისი მართვის, მისი მთლიანობის, ფუნქციონისა და ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შესაძლებლობას, სხვადასხვა საშუალებებით, ორგანიზაცია გაუწიოს და დაიმორჩილოს სხვა ადამიანები, სახელმწიფო ხელისუფლება ეწოდება.

სახელმწიფო ხელისუფლება გარკვეულ პოლიტიკას ახორციელებს: მისი საშუალებით ხორციელდება ჩანაფიქრი, განზრახვა, გეგმა, ამიტომაცაა ასე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ხელისუფლებისათვის ბრძოლა, მისი მოპოვება და მისი შენარჩუნება. სახელმწიფო ხელისუფლება არსებობს ორი ფორმით: პოტენციური და რეალური ფორმით. პოტენციურს უწოდებენ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ჯერარსის სახით არსებობს. ე.ი ჯერ არ განხორციელებულა, არ განივთებულა, მაგრამ მისი არსებობა გაცნობიერებულია საზოგადოების მიერ და საზოგადოებრივი წესრიგისა და ორგანიზებულობის

თვალსაზრისით არანაკლებ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ვიდრე განხორციელებულ.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება თავისი არსით პოლიტიკურია, იგი მაინც განსხვავდება პოლიტიკური ხელისუფლებისაგან, სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის პოლიტიკური ხასიათისაა, მაგრამ პოლიტიკური ხელისუფლება ყოველთვის არ გვევლინება სახელმწიფო ხელისუფლებად. თუპოლიტიკა საზოგადოებაში სოციალურ ჯგუფებს შორის სოციალური სტატუსის გადანაწილებაა, მაშინ პოლიტიკური ხელისუფლება საზოგადოებაში სოციალური ღირებულებების გადანაწილების საშუალებაა და ნებისმიერი სოციალური ჯგუფი, ვთქვათ, პოლიტიკური პარტია, თავისი პოლიტიკური ნების განხორციელებისათვის უნდა ფლობდეს გარკვეულ ხელისუფლებას, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებისაგან განსხვავებით ორიენტირებულია ადამიანთა იმ ერთობის, იმ პოლიტიკური პარტიის ინტერესებზე, რომლის ხელისუფლებასაც იგი წარმოადგენს, მაშინ როცა, სახელმწიფო ხელისუფლება მოიცავს მთელ ქვეყანას და მიმართულია მთელ საზოგადოებაზე. ამიტომ, ნებისმიერი პოლიტიკური გაერთიანება, თავისი პოლიტიკური ნების მთელ ქვეყანაში გავრცელებისა და განხორციელებისათვის ცდილობს მოვიდეს სახელმწიფო ხელისუფლებაში.

ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის მქონე სახელმწიფოებში ჭირს სახელმწიფო ხელისუფლებისა და პოლიტიკური ხელისუფლების განსხვავება. აღნიშნულ ქვეყნებში, მართველი პარტია, კონსტიტუციის ძალით, გადაქცეულია ე.წ. „სახელმწიფო პარტიად“ და ფაქტობრივად პარტიულ ინტერესებს ექვემდებარება და ეწირება სახელმწიფო ინტერესები. უფრო მეტიც, თუ დემოკრატიულ ქვეყნებში, მმართველი პარტიები ემორჩილებიან „პოლიტიკური თამაშის“ წესებს და სახელმწიფო ხელისუფლებას უთმობენ არჩევნების გზით მოსულ სხვა

პარტიებს, ტოტალიტარულ სახელმწიფოებში „სახელმწიფო პარტია“ არჩევნებით არ თმობს თავის მმართველ პოზიციას, ვინაიდან კონსტიტუციით იგი ითვლება სახელმწიფოსა და საზოგადოების წარმმართველ ძალად, სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ბირთვად. მე-20 საუკუნის 60-90-იან წლებში აფრიკაში (ტუნისი, უგანდა, ეკვატორული გვინეა, მალივია, ზაირი და სხვა) არსებობდა ე.წ. მონოკრატული რესპუბლიკები, რომელთა კონსტიტუციები ნებას რთავდა ერთ რომელიმე პარტიას, სახელმწიფო ემართა პარალელურად და ამ პარტიის თავმჯდომარეს სიცოცხლის ბოლომდე თვლიდა ქვეყნის პრეზიდენტად, უფრო მეტიც, კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქვეყნის ხელმძღვანელის პოსტი განისაზღვრა არა სიცოცხლის ბოლომდე, არამედ მემკვიდრეობითაც კი.

ტრადიციულად, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების უმნიშვნელოვანეს მეთოდებს დარწმუნებისა და იძულების მეთოდები წარმოადგენენ.

დარწმუნება ადამიანის ნებასა და ცნობიერებაზე აქტიური ზემოქმედების შედეგია, რის საფუძველზეც ადამიანს უმუშავდება სახელმწიფო ხელისუფლების მიზნების, ფუნქციების ღრმა გაგებაზე დაფუძნებული შეხედულებები და წარმოდგენები. ადამიანები, დარწმუნების შედეგად, ითვისებენ და ითავისებენ სოციალურ ღირებულებებს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლება მიზანშეწონილად თვლის. გარკვეული იდეების, შეხედულებების თუ ცოდნის რწმენად გადაქცევა ურთულესი პროცესია. იგი მიმდინარეობს ადამიანის ცნობიერების, ემოციების, გრძნობების გავლით. რწმენა იმით განსხვავდება ცოდნისაგან, რომ პიროვნებებისაგან განუყოფელია, პიროვნებას არ შეუძლია საკუთარი რწმენიდან ამოვარდნა ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს საკუთარ მსოფლმხედველობას, სულიერ და ზნეობრივ ორიენტირებს. დარწმუნების მეთოდი ამაღლებს ადამიანებში ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გრძნობას. ამიტომაცაა,

რომ დარწმუნების მეთოდი ყოველთვის უპირატესი მეთოდია დემოკრატიულ სახელმწიფოთა ხელისუფლების ისტორიაში.

რაც შეეხება იძულებას, მის გარეშე არ არსებობს სახელმწიფო ხელისუფლება. იძულების ერთ-ერთი სახის – სახელმწიფოებრივი იძულების გამოყენებით ხელისუფლების სუბიექტი თავის ნება-სურვილის თავს ახვევს ხელისუფლების ობიექტს. სახელმწიფოებრივი იძულება წარმოადგენს ფსიქოლოგიურ, მატერიალურ თუ ფიზიკურ ზემოქმედებას სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მხრიდან პიროვნებაზე, იმ მიზნით, რომ იგი აიძულოს იმოქმედოს სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად.

სახელმწიფოებრივი იძულება სოციალური ზემოქმედების უმკაცრესი მეთოდია. იგი ზღუდავს ადამიანების თავისუფლებას, იძულების გზით ხნის დაპირისპირებას სახელმწიფოებრივ და პირად ინტერესებს შორის, სტიმულს აძლევს სახელმწიფოსათვის სასარგებლო ქცევას.

სახელისუფლებო იძულება შეიძლება იყოს სამართლებრივი და არასამართლებრივი. არასამართლებრივი სახელმწიფოებრივი იძულება სახელმწიფო ორგანოების თვითნებობისა და პიროვნების დაუცველობის მანიქვენებელია. ასეთი ხასიათის იძულება დამახასიათებელია ანტიდემოკრატიული, რეაქციული რეჟიმის მქონე ქვეყნებში.

სამართლებრივი სახელისუფლებო იძულება მკაცრადაა განსაზღვრული სამართლის ნორმებით და მოქცეულია პროცესუალურ ნორმებში. რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი იძულების სამართლებრივი ორგანიზაცია, მით უფრო პოზიტიურ ფაქტორად გვევლინება იგი საზოგადოების განვითარებისათვის. სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოებრივი იძულება მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი ხასიათის შეიძლება იყოს.

ნებისმიერი სახის სახელმწიფო ხელისუფლებას საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის, ყოველთვის სჭირდება გარკვეული იდეოლოგიის ანუ იმ იდეათა სისტემის არსებობა, რომელიც ამართლებს სახელმწიფოს ინტერესებს და საზოგადოებაში უქმნის პრივილეგირებულ იმიჯს. იდეოლოგიის მეშვეობით ხელისუფლება გამოხატავს და უხსნის მოსახლეობას თავის მიზნებსა და ამოცანებს, თავისი სამოქმედო პროგრამის შესრულების მეთოდებსა და საშუალებებს. იდეოლოგია უზრუნველყოფს ხელისუფლების გარკვეულ ავტორიტეტს, ასაბუთებს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებისა და მიზნების ერთიანობას. იმის მიხედვით, თუ რამდენად ემთხვევა ერთმანეთს ხალხისა და ხელისუფლების ინტერესები, განასხვავებენ პოპულისტურ, მითიურ და ცრუ სახელმწიფო იდეოლოგიებს.

8.4. სახელმწიფო ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთმიმართება. არსებობს თეორიები, რომლებიც თვლიან, რომ სამართალი და სახელმწიფო ხელისუფლება ფაქტობრივად ერთიდაიგივეა. ვფიქრობთ ამგვარი მოსაზრებები ზუსტი არ უნდა იყოს, არც იმ შემთხვევაში სამართლად მხოლოდ ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები რომ ჩავთვალოდ და მით უფრო, არც იმ შემთხვევაში სამართლად ბუნებით სამართალს თუ მივიჩნევთ. მართალია, ხელისუფლება სამართლებრივად ორგანიზებული ინსტიტუტია, მაგრამ იგი მხოლოდ ნორმატიული შინაარსით არ განისაზღვრება. ხელისუფლება არსის, ფაქტობრივის სფეროა და არა ჯერარსის, მაშინ როცა სამართალი ჯერარსის სფეროა. სამართალი, განსაკუთრებით ბუნებითი სამართალი, ხელისუფლების შეფასების კრიტერიუმი. ხელისუფლება შეიძლება იყოს მეტნაკლებად სამართლებრივი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება განსხვავდეს ვთქვათ, ტოტალიტარული და დემოკრატიული ხელისუფლებები. ხელისუფლებისა და სამართლის გაიგივების შემთხვევაში ხელისუფლების სამართლებრივი შეფასება შეუძლებელი იქნებოდა. სახელმწი-

ფოში ხელისუფლების სტიქია სჭარბობს სამართლის სტიქიას და თუ სამართალს სახელისუფლებო საწყისის გარდა არ ექნებოდა სხვა საწყისები (სამართლიანობა, ზნეობა, რელიგია და სხვა), მაშინ შეუძლებელი გახდებოდა ხელისუფლების სამართლებრივი თვითშეზღუდვა, რადგან ხელისუფლებას კანონების (სამართლის) ცვლა ხელეწიფება. მართალია, ხელისუფლება წარმოადგენს პოზიტიური სამართლის აუცილებელ პირობას, იგი სამართალს ანიჭებს სიცოცხლისუნარიანობას, აქცევს მას პოზიტიურ სამართალად და აძლევს მოქმედების შესაძლებლობას ანუ მის გარეშეც პოზიტიური სამართალი არ არსებობს, მაგრამ თვით ხელისუფლებასაც არ შეუძლია არსებობდეს სამართლის გარეშე, ამიტომ მათი უპირობო გაიგივება შეუძლებელია.

ხელისუფლება იზღუდება როგორც ბუნებით, ასევე პოზიტიური სამართლით, რომელიც თავის მხრივ ნაზიარებია ბუნებით სამართალთან. ხელისუფლების პოზიტიური სამართლით შეზღუდვა-შემოფარგლვაში ვგულისხმობთ სამართლის მიერ მისი მოქმედების საზღვრების წინასწარ განსაზღვრას, ხელისუფლების „ცხოვრებას“ სამართლის მიერ დადგენილი წესებით. მართალია, ხელისუფლებას შეუძლია შეცვალოს ეს წესები, მაგრამ მხოლოდ კანონის შესაბამისად და რაც ყველაზე მთავარია, მას არ შეუძლია დაარღვიოს მის მიერვე მიღებული კანონები. უფრო მეტიც, თუ ისტორიულად მოქმედებდა პრინციპი: „ხელისუფალი კანონისაგან დამოუკიდებელია“, თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქმედებს პრინციპი: „ხელისუფალი კანონის უპირველესი დამცველი და შემსრულებელია“. მიმდინარეობს ხელისუფლების „იურიდიზაცია“. საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება მტკივნეულად აღიქვამს ხელისუფლების მიერ კანონის ნებისმიერ დარღვევას და მას „მართლმსაჯულების მკვლელობას“ ადარებს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხელისუფლების

სამართლით შეზღუდვის ინსტიტუციურ უზრუნველყოფას და-
მოუკიდებელი სასამართლო ახორციელებს.

8.5. ხელისუფლების სუბიექტი, ობიექტი, რესურსი. ხელი-
სუფლება თავის თავში ყოველთვის გულისხმობს ხელისუფ-
ლების სუბიექტსა და ხელისუფლების ობიექტს. ეს კარგად ჩანს
სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურაში. აქ ხელისუფ-
ლების სუბიექტს წარმოადგენს პიროვნება, ხალხი, კლასი თუ
სხვა სახის ის ოფიციალური ერთობა, რომელიც მიმართულებას
აძლევს სახელისუფლებო პროცესს და რომლის სახელითაც
მოქმედებენ სახელმწიფო ორგანოები. ხოლო ხელისუფლების
ობიექტია ის, ვისზედაც მიმართულია ხელისუფლების სუბიექ-
ტის მიერ გამოცემული განკარგულებები. ხელისუფლების
ობიექტს მოეთხოვება დაემორჩილოს ხელისუფლების სუბიექტს.
მაშასადამე, ხელისუფლება არ არის მხოლოდ ხელისუფლების
სუბიექტი იგი ორმხრივი ასიმეტრიული მოვლენაა და მოიცავს,
როგორც ხელისუფლების სუბიექტს ასევე ხელისუფლების
ობიექტს. ხელისუფლების ობიექტის გარეშე ხელისუფლება არ
არსებობს, უფრო სწორად, შეუძლებელია მისი განხორციელება,
ეს ნათლად ჩანს ხელისუფლებისადმი სამოქალაქო დაუმორ-
ჩილებლობის დროს, როცა ხელისუფლების ობიექტი არ
ემორჩილება სუბიექტს, ფაქტობრივად ეულად დარჩენილი
ხელისუფლების სუბიექტი ვერ ახორციელებს ხელისუფლებას.
მაშასადამე, სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტი და
ობიექტი ერთმანეთს არ ემთხვევა, თუმცა დემოკრატიულ
სახელმწიფოებში შეიმჩნევა მათი დაახლოების ტენდენცია. ეს
დაახლოება იმით არის გამოწვეული, რომ დემოკრატიულ
ქვეყნებში მოქალაქე წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფ-
ლების წყაროს და ამდენად, იგი ხელისუფლების ობიექტიცაა და
სუბიექტიც. მას აქვს უფლება აქტიური მონაწილეობა მიიღოს
ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირე-
ბაში. ასევე, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხის ხელისუფ-

ლება უმაღლესი ხელისუფლებაა, რის გამოც ხალხი გამოდის, როგორც ხელისუფლების სუბიექტად, ასევე ობიექტად, მაგრამ ხელისუფლების სუბიექტისა და ობიექტის მთლიანი დამთხვევა არც აქ ხდება და ეს არც შეიძლება მოხდეს, რადგან მაშინ სახელმწიფო ხელისუფლება დაკარგავდა პოლიტიკურ ხასიათს და გადაიქცეოდა უშუალო, საზოგადოებრივ ხელისუფლებად.

სახელმწიფო ხელისუფლებას, საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის, სჭირდება აგრეთვე გარკვეული რესურსების არსებობა. ხელისუფლების რესურსებს წარმოადგენს იმ საშუალებების ერთობლიობა, რომლებსაც იყენებს ხელისუფლების სუბიექტი ობიექტზე ზემოქმედებისათვის. ხელისუფლების რესურსები შეიძლება დაიყოს უტილიტარულ და მაიძულებელ რესურსებად. უტილიტარული რესურსებია ის მატერიალური და სხვა სოციალური სიკეთე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთან ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ინტერესებთან, მათი დახმარებით სახელმწიფო ხელისუფლება უზრუნველყოფს გარკვეული ლოიალური დამოკიდებულების შენარჩუნებას ხელისუფლებისადმი, როგორც ცალკეული პიროვნებების, ასევე მოსახლეონის მხრიდანაც.

8.6. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია და ლეგალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ლეგალიზაცია და ლეგიტიმაცია ერთი რიგის მოვლენებს წარმოადგენენ, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგალიზაციის დროს აქცენტი გადატანილია ხელისუფლების ფორმალურ, იურიდიულ მხარეზე, ხოლო ლეგიტიმაციის დროს მოსახლეობის ფაქტიურ დამოკიდებულებაზე ხელისუფლებასთან, მის პოლიტიკასთან. ლეგიტიმაცია (ლეგიტიმურობა), უფრო ფართო მნიშვნელობით, ნიშნავს ხალხის მიერ მოცემული ხელისუფლების მიღებას, მის აღიარებას, მისი უფლებების ცნობას, მასზე დამორჩილების მზაობას. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგალიზაცია კი

გულისხმობს იმას, თუ რამდენად შეეფარდება მისი მოსკლა ქვეყნის კონსტიტუციას, ე.ი. რამდენად კონსტიტუციურია მოცემული ხელისუფლების მოსკლა სახელმწიფოს სათავეში. ლეგალურობა ხელისუფლების ლეგიტიმურობის იურიდიული გაფორმება და გამოხატვაა.¹⁸¹

ლეგიტიმაცია ლეგალიზაციასთან შედარებით უფრო რთული და მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვინაიდან ვერც ერთი სახელმწიფო ხელისუფლება ვერ იქნება დამოკიდებული მხოლოდ იმ კანონებზე, რომლებსაც თვითონ გამოსცემს და ძალადობაზე. სახელმწიფო ხელისუფლებას თავისი სიმტკიცისათვის, სტაბილურობისათვის, ხალხის, საზოგადოების, გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერა სჭირდება.

ლეგიტიმაცია მოსახლეობის შინაგანი დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. მისი საფუძველია ადამიანთა რწმენა იმის შესახებ, რომ მათი სიკეთე დამოკიდებულია ხელისუფლების შენარჩუნებაზე, რომ მოცემული ხელისუფლება მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავს. ლეგიტიმაცია დამოკიდებულია მოსახლეობის საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, მის მასობრივ ფსიქოლოგიაზე. ამ გაგებით, ლეგიტიმაცია შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მიხედვით, სხვადასხვანაირი. ის, რაც მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ აღიქმება, როგორც ლეგიტიმური, მეორე ნაწილის მიერ შეიძლება აღქმული იქნას, როგორც არალეგიტიმური. მაქსიმალური განასხვავებს ლეგიტიმაციის ტრადიციულ, ქარიზმულ და რაციონალურ ტიპებს.¹⁸²

ტრადიციულ ლეგიტიმაციაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების აღიარება მოსახლეობის მიერ ტრადიციული

¹⁸¹ Теория государства и права. Под. ред. В.М. Корелского и В.Ф. Перевалова М., 1998. С. 137.

¹⁸² მაქს ვებერი, პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა, თბილისი, 1994, გვ. 14-16.

ავტორიტეტის საფუძველზე. ავტორიტეტისადმი მორჩილება არა მარტო მისი ძლიერებისა და ძალაუფლების წინაშე შიშს ეფუძნება, არამედ მისი მორალური უპირატესობისა და სიმართლის რწმენასაც.¹⁸³

ქარიზმული ლეგიტიმაციის დროს მოსახლეობა ხელისუფლებას აღიარებს ბელადის (სახელმწიფოს მეთაურის) ზებუნებრივი, განსაკუთრებული, სპეციფიური თვისებების, მისი უნარის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე მისი მისიის რწმენის გამო პირადი ერთგულებისა და ნდობის საფუძველზე.¹⁸⁴

რაც შეეხება რაციონალურ ლეგიტიმაციას, იგი ეყრდნობა გონებასა და განსჯას. რაციონალური ლეგიტიმაცია, გულისხმობს ხალხის მიერ ხელისუფლების კომპეტენტურობისა და კანონიერების გაცნობიერებულ შეფასებას, არსებულ რეჟიმზე მოსახლეობის გააზრებულ მხარდაჭერას და სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციონალური კომპეტენტურობის რწმენას.¹⁸⁵ რაციონალური ლეგიტიმაცია თანამედროვე მსოფლიოში ლეგიტიმაციის ძირითადი სახეა. მისი გამოსატულებაა არჩევნები, რეფერენდუმი და სხვა.

არალეგიტიმური ხელისუფლება უზურპატორული ხელისუფლებაა, რომელმაც ძალისმიერი, კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით ჩაიგდო ხელში სახელმწიფო ხელისუფლება. უზურპირებულ ხელისუფლებად ითვლება აგრეთვე არჩევნების ჩატარების სამართლებრივი პროცედურის დარღვევის ან არჩევნების შედეგების გაყალბების შედეგად მოსული სახელმწიფო ხელისუფლება. შესაძლებელია ლეგიტიმურად შექმნილი ხელისუფ-

¹⁸³ ერიხ ფრომი, ავტორიტარული სინდისი, თბილისი, 1998, გვ. 7.

¹⁸⁴ მაქს ვებერი, ქარიზმული ბატონობა. წიგნში ოსვალდ შპენგლერი, პოლიტიკის ფილოსოფია, მაქს ვებერი, ქარიზმული ბატონობა, თბილისი, 1995, გვ. 47-69.

¹⁸⁵ თინათინ ჩავლეიშვილი, კლასიკური თეორიები სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის შესახებ, მისი სახეები, სტრუქტურა, ხარისხი და კრიტერიუმები // სამართალი, 2004, # 1-2, გვ. 17.

ლების უზურპირებაც. ეს იმ შთხვევაში ხდება, როცა ხელისუფლება გამოიყენება კანონსაწინააღმდეგო მიზნების განსახორციელებლად, სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მაშინ, როცა ხელისუფლება აჭარბებს სახელისუფლებო უფლებამოსილებებს და სხვა.

8.7. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება, მისი ორგანიზაციის პრინციპები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ისტორიულად პირველს სახელმწიფო ხელისუფლების ისეთი ორგანიზაცია წარმოადგენს, რომლის დროსაც მთელი სახელმწიფო ხელისუფლება თავმოყრილი იყო ერთი ორგანოს – მონარქის ხელში. სხვათა შორის, ხელისუფლების მთელი სისრულით ერთი ორგანოს ხელში გაერთიანება შემდეგი დადებითი ნიშნებით ხასიათდება:

- ✓ *უზრუნველყოფს ნებისმიერი საკითხის ოპერატიულ გადაწყვეტას;*
- ✓ *გამორიცხავს დაშვებული შეცდომების გამო პასუხისმგებლობისა და ბრალის სხვა ორგანოზე გადაბრალების შესაძლებლობას;*
- ✓ *ერთიანი ხელისუფლება თავისუფალია სხვა ორგანოებთან უფლებების გაფართოებისათვის ბრძოლისაგან და სხვა.*

მოაზროვნეთა გარკვეული ნაწილი ამ და სხვა არგუმენტების გამო ერთიან, დაუნაწილებელ ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს.¹⁸⁶

პოლიტიკური აზროვნების ადრეული ეპოქიდან მოყოლებული ხელისუფლების ფენომენი გაგებულ იქნა, როგორც დადებითი მოვლენა. ფაქტიურად, ამავე პერიოდიდან მოხდა მისი უარყოფითი მხარეების დაფიქსირებაც. მიუთითებდნენ ხელისუ-

¹⁸⁶ Гегель Г. В. Политические произведения, М., 1978. С. 82.

ფალის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაზე და ამ შესაძლებლობის განხორციელების თავიდან აცილების მიზნით, იქმნებოდა სხვადასხვა თეორიები: „შერეული ხელისუფლების თეორია“ (პოლიბიუსი, მაკიაველი), „ხელისუფლების დანაწილების თეორია“ (ლოკი, მონტესკიე), „შეკავება-გაწონასწორების თეორია“ (ჯეფერსონი, ჰამილტონი), ხელისუფლების მთლიანი ლიკვიდაციის თეორია“ (გოდვინი, შტირნერი, ბაკუნინი) და სხვა. ჩვენ მოკლედ შევეხებით ხელისუფლების დანაწილების თეორიას.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებაში იგულისხმება არა საკუთრივ ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება, არამედ მისი საგნის დაყოფა ინსტიტუციურ და ფუნქციურ მხარეებად. სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუციური დაყოფა ნიშნავს მის წარმოდგენას პარლამენტად, მთვრობად და სასამართლოდ, ხოლო ფუნქციური დაყოფა – მის წარმოდგენას საკანონმდებლო ხელისუფლებად, აღმასრულებელ ხელისუფლებად და სასამართლო ხელისუფლებად. სახელმწიფო ხელისუფლების, როგორც ინსტიტუციური, ასევე ფუნქციური დაყოფის მიუხედავად, ისინი ერთი პრინციპის გამტარებლები არიან, ერთსა და იმავე ძალას, ერთსა და იმავე სახელმწიფო ხელისუფლებას წარმოადგენენ და ერთი და იმავე სახელმწიფო ხელისუფლების განშტოებებია. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება გულისხმობს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ერთიანია, ოღონდ მისი განხორციელება სხვადასხვა ფორმით ხორციელდება და ეს ფორმები ერთმანეთს ავსებენ, ურთიერთსუბსიდილობის პრინციპით მოქმედებენ. „ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობისა და ფუნქციონირების ისეთი წესების ერთობლიობაა,

რომელიც გამოირიცხავს თეიტნებობას მმართველთა მხრიდან და ანარქიას მართულთა მხრიდან¹⁸⁷.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების იდეა ანტიკურ ეპოქიდან მომდინარებს. ამ ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პლატონი (ძვ.წ.428–348) თვლიდა, რომ სახელმწიფო მმართველობა უნდა დაემყაროს შრომის განაწილების პრინციპს და უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ასეთივე აზრს ანვითარებდა არისტოტელე (ძვ.წ.384–322).

ხელისუფლების დანაწილების თეორიული დასაბუთებით გამოვიდა ჯონ ლოკი (1632–1704). მართალია, იგი სასამართლო ხელისუფლებას არ თვლიდა დამოუკიდებელ ხელისუფლებად, მაგრამ განასხვავებდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას საკანონმდებლო ხელისუფლების უპირატესობის პრინციპით. კლასიკური სახით სახელმწიფო ხელისუფლების იდეა შეიმუშავა შარლ ლუი მონტესკიემ (1689–1755). იგი მოითხოვდა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სრულ თანასწორობას, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობასა და განკერძოებას. მისი აზრით, არც ერთი ხელისუფლება არ უნდა შეიჭრას მეორის კომპეტენციაში.

ხელისუფლების დანაწილების იდეა განავითარა ამერიკელმა სახელმწიფო მოღვაწემ ჯეიმს მედისონმა (1751–1836). მან წამოაყენა თეორია, რომლის მიხედვით ხელისუფლების თითოეული შტოს გაწონასწორება-შეკავება, მათი კომპეტენციის გამიჯვნა ისე უნდა მოხდეს, რომ ისინი ნაწილობრივ კვეთდნენ ერთმანეთს, რითაც შეასრულებენ ერთმანეთის ზედამხედველობისა და ურთიერთკონტროლის ფუნქციას. ამ პრინციპის მიხედვითაა მოწყობილი აშშ-ს სახელმწიფო. კერძოდ, საკანონმდებ-

¹⁸⁷ ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008, გვ. 186.

ლო ხელისუფლების – კონგრესის უფლებები იზღუდება აღმასრულებელი ხელისუფლების – პრეზიდენტის მიერ, მას შეუძლია ვეტო დაადოს კონგრესის გადაწყვეტილებას. ასევე აშშ-ს უზენაეს სასამართლოს შეუძლია გააუქმოს კონგრესის მიერ მიღებული კანონი, თუ იგი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. თავის მხრივ პრეზიდენტის ხელისუფლებაც შეზღუდულია საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებით. კონგრესს შეუძლია გააუქმოს პრეზიდენტის ვეტო თითოეულ პალატაში 2/3 ხმის მიღების შემთხვევაში. პრეზიდენტი ვალდებულია იმოქმედოს მხოლოდ კონგრესის მიერ მიღებული კანონის ფარგლებში და ა.შ. ასე, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპით განხორციელებულია ხელისუფლების სამივე შტოს ურთიერთკონტროლი, ერთმანეთის კომპეტენციაში ნაწილობრივ შეჭრის გზით. აშკარაა, რომ ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების სისტემას უკიდურეს მინიმუმამდე დაჰყავს მოცემული სამი განშტოებიდან ერთ-ერთის დომინირების საფრთხე.¹⁸⁸

ერთი სიტყვით, ხელისუფლების დანაწილება გულისხმობს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების ისეთ ორგანიზაციას, რომლის დროსაც ხორციელდება სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ურთიერთკონტროლი, ურთიერთზემოქმედება და ურთიერთდახმარება ურთიერთგაწონასწორებისა და ურთიერთშეკავების იდეის განსახორციელებლად.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მიზანია:

ა) ხელი შეუშალოს ერთი პირის, ან ერთი რომელიმე სახელმწიფო ორგანოს ხელში მოვლი ხელისუფლების კონცენტრაციას;

¹⁸⁸ ბადრი ფორჩხიძე, ომარ მინდაძე, სამართლის ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები, ქუთაისი, 2009, გვ. 23.

ბ) ხელი შეუშალოს ხელისუფლების უზურპაციას და მის ბოროტად გამოყენებას;

გ) დაიცვას პიროვნება სახელმწიფოებრივი ძალადობისა და თვითნებობისაგან;

დ) ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ეფექტურ მართვას.

განასხვავებენ ხელისუფლების დანაწილების ორ სახეს: ჰორიზონტალურს და ვერტიკალურს. ჰორიზონტალურში გულისხმობენ ხელისუფლების დაყოფას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად (რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი), ხოლო ვერტიკალურში – ხელისუფლების დაყოფას ფედერაციის სუბიექტის ხელისუფლებასა და ფედერალურ ხელისუფლებას შორის. ხელისუფლების ასეთი დაყოფით გარკვეულად შესაძლებელი ხდება ცენტრის ხელში მთლი ხელისუფლების კონცენტრაციისა და ფედერაციის სუბიექტთა სეპარატიზმის თავიდან აცილება.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები გარკვეული დამოუკიდებულებით სარგებლობენ.

თანამედროვე მსოფლიოში შეიმჩნევა სახელმწიფოს მართვაში აღმასრულებელი ხელისუფლების როლის ზრდის ტენდენცია, რაც გამოწვეულია პარლამენტისა და სხვა არჩევითი ორგანოების როლის შესუსტებით, სახელმწიფოს ერთგვარი ბიუროკრატიზაციით.

დამოუკიდებლობის შედარებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა სასამართლო ხელისუფლება.

ხშირად ლაპარაკობენ მეოთხე ხელისუფლების შესახებაც და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ. ეს არ არის შემთხვევითი, მასმედიის საშუალებით ხდება ადამიანთა მართვა და დამორჩილება ინფორმაციის შეგროვების, მისი შერჩევის, გავრცელების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ღირებულებების ჩამოყალიბების გზით,

რის გამოც ზოგი თეორეტიკოსი თვლის, რომ უახლოეს მომავალში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მეოთხე ხელისუფლებიდან პირველ ხელისუფლებად გადაიქცევა, რაც სახელმწიფოში ე.წ. მედიოკრატიის (მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელისუფლება) დამკვიდრებას მოასწავებს.

Murman Gorgoshadze

The Issues of the Philosophy of Jurisprudence

Resume

This work represents the basic results of the scientific activity of the Full Professor of the Batumi State University Murman Gorgoshadze.

The first chapter “The object of the jurisprudence sciences (according to Professor Aleksandre Vacheisvili)” deals with the analysis of the role and place of the philosophy of jurisprudence in the system of the jurisprudence sciences according to Professor Aleksandre Vacheisvili, who was the Professor of the Tbilisi State University (this University was named after Ivane Javachishvili) in the 30-60th of the 20th century.

The second chapter “The place of “the jurisprudence anthropology” in the system of the jurisprudence sciences” is dedicated to a place of the jurisprudence anthropology that is relatively new discipline in the system of the jurisprudence sciences. According to the author, the jurisprudence anthropology would be regarded as one of the parts of the philosophy of jurisprudence because of the philosophy of jurisprudence tries to discover the ideal jurisprudence, and in this process of searching the methods and results of the jurisprudence anthropology are very valuable.

In the third chapter “Some of the issues of the state and the jurisprudence in the philosophy of Aristotle” the author analyses some of the issues of the state and the jurisprudence in the philosophy of Aristotle. According to the author, Aristotle is not the author of the patriarchic theory of the state as well as the follower of this theory. In the scientific circles this theory is recognized, despite of this fact the author thinks that Aristotle is the founder of a quite different theory about the origin of the state.

The fourth chapter “The anthropology bases of the jurisprudence (the attempt of the axiomatic proving)” deals with the problem of the axiomatic searching of the relationship of a human being with the real world. According to the author, the jurisprudence is based on the freedom, the freedom is the phenomena essential for the human being, and as a result, the jurisprudence has the base in the nature of the human being, and the jurisprudence is developed according to the exposing of the freedom.

The fifth chapter “The jurisprudence nihilism – one of the types of the social nihilism” analyses the concept of the nihilism, the characteristic features of the jurisprudence nihilism, the origin of the jurisprudence

nihilism, forms of the exposing of the jurisprudence nihilism. According to the author, the jurisprudence nihilism originates on the base of the special types of the social conscience, national psychology, traditions, lifestyle; the jurisprudence nihilism is exposed on the level of the social group as well as on the level of the individual; so all these factor must be kept in mind when trying to overtake the jurisprudence nihilism.

The sixth chapter “The philosophical and jurisprudential aspects of the jurisprudence positivism” is the analysis of the essence of the jurisprudence positivism, its origin, its basic principles and influences. The author says that the modern jurisprudence is characterized by some converging of the ideas of the jurisprudence positivism into ideas of the Common Law.

The seventh chapter “The basic elements of the jurisprudence mentality” deals with the basic elements of the jurisprudence mentality. According to the author, the attitude of the jurisprudence mentality towards the jurisprudence, understood as a non-existing at this moment phenomena and the attitude of the jurisprudence mentality towards the jurisprudence, understood as an existing at this moment phenomena, is an unity of the knowledge based on the base of the cognitive and evaluating elements of the jurisprudence mentality.

The eighth chapter “The jurisprudence and the state power” deals with the relationship of the jurisprudence and the state power. The author shows that the power does not produce any state power and does not produce any obligations. The interrelations of the jurisprudence and the state power are based on the assurance and confidence.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე, ათენელთა სახელმწიფო წყობილება, თარგ-მანი ს. ყაუხჩიშვილი, ქუთაისი 1935
2. არისტოტელე, დიდი ეთიკა, თბ. 1994
3. არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ. 1995
4. არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. II, თბ. 1996
5. არისტოტელე, რიტორიკა, თბ. 1981
6. ამირან ბერძენიშვილი, პოლიტიკური სისტემის ეფექტურობა და ლეგიტიმურობა // ფილოსოფიური ძიებანი, №3, 1999
7. მამუკა ბიჭაშვილი, პოლიტიკური თეორია, თბ., 2006
8. თინათინ ბოჭორიშვილი, ღირებულების ობიექტურობა და პიროვნების პრობლემა // ადამიანი, გონი, ღირებულება, თბ., 1991
9. თამაზ ბუაჩიძე, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., 2003
10. თამაზ ბუაჩიძე, ფილოსოფიური ნარკვევები, თბ., 2005
11. არსენ ბურჯაღლიანი, ფილოსოფია, სამართალი, პიროვნება, თბ., 2006
12. ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987
13. უილიამ გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ. 1983
14. ოთარ გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფო-სათვის, თბ., 1998
15. ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ., 1993
16. მოსე გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. I, თბ., 1972.
17. ზურაბ დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზმი, თბ., 2003
18. სერგი დანელია, ოგიუსტ კონტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა, წიგნში, სერგი დანელია, ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1978
19. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008
20. ავთანდილ დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბ., 1992
21. დიალექტიკური მატერიალიზმი, თბ., 1970

22. ალექსანდრე ვაჩეიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია, ტფ., 1926
23. ალექსანდრე ვაჩეიშვილი, კელსენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე // ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტტ. IX, X, ტფ., 1929,1930წწ
24. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, თბ., 1955
25. მაქს ვებერი, პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა, თბ., 1994
26. მაქს ვებერი, ქარიზმული ბატონობა. წიგნში – ოსვალდ შპენგლერი, პოლიტიკის ფილოსოფია, მაქს ვებერი, ქარიზმული ბატონობა, თბ., 1995
27. ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007
28. გურამ თევზაძე, ანტიკური ფილოსოფია, თბ. 1995
29. გურამ თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2002
30. გივი ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000
31. თენგიზ ირემაძე, გრიგოლ რობაქიძე და ნიცშეს ფილოსოფია // ნიცშე საქართველოში (ეძღვნება თამაზ ბუაჩიძის ნათელ ხსოვნას), თბ., 2007
32. კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ცნობარი, თბ., 1998;
33. კონსტანტინე კაპანელი, სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი, თბ., 1925
34. ალექსანდრე კახიძე, მეტაფიზიკის გადაღახვის შეუძლებლობა პოზიტივისტურსა და პოსტპოზიტივისტურ ფილოსოფიაში // ფილოსოფიური ძიებანი, 2006, #X
35. ნაპო კვარაცხელია, ადამიანი და მეტაფიზიკა // ფილოსოფიური ძიებანი, № X, თბ., 2006
36. ნაპო კვარაცხელია, სიცოცხლე და ზნეობა // ფილოსოფია და თანამედროვეობა, მიხეილ მახარაძის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2007

37. ედუარდ კოდუა, სოციოლოგიის ისტორია, I ნაკვეთი, თბ. 1996.

38. რუსუდან კუტალია, ილია ჭავჭავაძის სამართლებრივ-პოლიტიკური შეხედულებები და სამართლის ფილოსოფია (დემოკრატიის ქართული ნიმუში), თბ., 2004

39. ნოდარ ლადარაია, სოციოლინგვისტიკა, თბ., 2002

40. გივი ლობჯანიძე, ავთანდილ ტუკვაძე, გიორგი ჯაოშვილი, შესავალი სამართლის ფილოსოფიასი, თბ., 2006

41. გივი ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003

42. გივი ლობჯანიძე, ავთანდილ ტუკვაძე, გიორგი ჯაოშვილი, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ., 2006

43. მერაბ მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992

44. მერაბ მამარდაშვილი, ნიჰილიზმი და ეროვნული ხასიათი // კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები, შემდგენელი, შესავალი წერილის ავტორი და რედაქტორი პროფესორი მიხეილ მახარაძე, ბათუმი, 2009

45. ვალერიან მეტრეველი, გიორგი დავითაშვილი, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ისტორია, თბ., 2002

46. ნინო მშენიერაძე, ადამიანი როგორც შემოქმედი გონითი არსება (ფილოსოფიური ანთროპოლოგია), თბ., 2005

47. ნოდარ ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, თბ., 1990

48. გიორგი ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა // გიორგი ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992

49. გიორგი ნანეიშვილი, სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემპირიული საფუძვლები // გიორგი ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992

50. გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბ., 2006

51. გურამ ნაჭყებია, სამართლის ფილოსოფიის შესაძლებლობის საკითხისათვის // ფილოსოფიური ძიებანი, № IX, თბ., 2005

52. გურამ ნაჭყებია, მართლშეგნება, როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი // ფილოსოფიური ძიებანი, 2004, VIII

53. ფრ. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ., 1993

54. კარლ რ. პოპერი, ვარაუდები და დარღვევები: მეცნიერული ცოდნის ზრდა, თბ. 2000
55. საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ. 1991
56. ბიძინა სავანელი, თანამედროვე სამართლის თეორია, თბ., 2004
57. თედო სახოკია, ქართული ანდაზები, თბ., 1967
58. თ. სილაგაძე, პიროვნების კანონთან დამოკიდებულების ზოგიერთი ფსიქოლოგიური ასპექტი // სამართალი, №2, 2000
59. იროლიონ სურგულაძე, სახელმწიფო // სამართალი, 1991, # 7-8
60. ბადრი ფორჩხიძე, ომარ მინდაძე, სამართლის ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები, ქუთაისი, 2009
61. ერის ფრომი, ავტორიტარული სინდისი, თბილისი, 1998
62. ჯამბულ ფუტყარაია, სამართლის ფილოსოფია, შესავალი ნაწილი (ძველი სამყარო), თბ., 2006
63. ქართული ანდაზები და გამოცანები, თბ., 1991
64. ქართული პროზა, ოცდაათ ტომად, ტ. VII, თბ., 1989
65. თინათინ ჩაველიშვილი, კლასიკური თეორიები სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის შესახებ, მისი სახეები, სტრუქტურა, ხარისხი და კრიტერიუმები // სამართალი, 2004, # 1-2
66. ლევან ჩიქოვანი, ჰეგელის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ // მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1972, №2
67. მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990
68. სავლე წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბ. 1968
69. სერგო ჯორბენაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის // საბჭოთა სამართალი, 1973, #5
70. ზურაბ ხასია, ორგვარი ნიჰილიზმისათვის // „მაცნე“ ფილოსოფია, 2007, # 1
71. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004
72. გიორგი ხუბუა, სამართლის ფილოსოფიის საგნის საკითხისათვის // კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, თბ., 2002
73. ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თბ., 1984

74. ენდრიუ ჰეიგუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, თბ., 2004
75. Азаркин Н. М. Всеобщая история юриспруденции, М., 2003
76. Аристотель, Сочинения в 4-х т. Т. 4, М., 1984
77. Баскин Ю. Я. Очерки философии права, Сыктывкар, 1996
78. Бачинин В. А. История философии и социологии права, Санкт-Петербург, 2001
79. Бердяев Н. А. Государство // Власть и право: Из истории русской правовой мысли, Л., 1990
80. Бонар А. Греческая цивилизация, Т. 3, М., 1991
81. Венгеров А. Б. Теория государства и права, М., 2000
82. Гегель Г. В. Политические произведения, М., 1978
83. Герцен А.С. Собр. соч. Т. VII, 1950
84. Гулина О.Р. Истоки правового нигилизма, <http://www.uic.bfshedu.ru/strn col/vestnik/2/gulina.html>.
85. Густав Радбрух, Философия права, М., 2004
86. Денис Ллойд, Идея права, М., 2002
87. Егоров С. Н. Аксиоматические основы теории права, Спб., 2001
88. Енгибарян Р. В. Краснов Ю. К., Теория государства и права, М., 1999,
- 89.** Зорькин В. Д. Позитивитская теория права в России, М., 1978
90. Зубов В. П. Аристотель, М., 1963,
91. Зыкова А.В. Хосе Ортега - и - Гассет: поиски новой философии // Х. Ортега - и - Гассет, Что такое философия? М., 1991
92. Ильин А.И. Наши задачи, М., 1993
93. История философии, Т. I, М., 1941,
94. История политических и правовых учений, М., 2001
95. Какабадзе З. М. Проблема человеческого бытия, Тб., 1985
96. Кальной И. И. Философия права, М., 2006
97. Ковлер А.И. Антропология права, М., 2002
98. Кант И. Соч. Т.4. ч.2.
99. Козлихин И. Ю. Позитивизм и естественное права // Государство и право», 2000 № 3
100. Комаров С. А. Малько А. В., Теория государства и права, М., 1999,

101. Лабунская Л.Н. Социальное наследование в зеркале нигилизма // *Философия права*, 2009, №1(32)
102. Лейст О. Э. Сущность права, проблемы теории и философии права, М. 2002
103. Мальцев Г.В. Понимание права. Подходы и проблемы, М., 1999
104. Марченко М.Н. Общая теория государства и права. Академический курс в 2-х томах. Отв. Ред. Проф. — Т.1, М., 1998
105. Моисеев С. В. Философия права, Новосибирск, 2003
106. Нерсесянц В. С. Юридическая антропология как наука и учебная дисциплина // Рулан Н. Юридическая антропология (Пер. с франц.), М., 2000
107. Нерсеянц В. С. Философия права, М., 1998.
108. Новиков А. И. Нигилизм и нигилисты, М., 1972
109. Пашуканис Е. Б. Избранные произведения по общей теории права и государства, М., 1980
110. Петрухин И. Л. Человек и власть, М., 1999
111. Поздняков Э. А. Философия политики, М., 1994. Т. 2
112. Поздняков Э. А. Философия государства и права, М., 1995
113. Радько Т.Н. Медведева Н.Т. Позитивизм как научное наследие и перспектива развития России // *Государство и право*, 2005, №5
114. Разин А. В. Нравственный мир человека, М., 2003
115. Рулан Н., Юридическая антропология (Пер. с франц.), М., 2000
116. Саидов А.Х. О предмете антропологии права. // *Государство и право*, № 2, М., 2004
117. Санха Сурия Пракаш, Юриспуденция – Философия права, М., 1996,
118. Сартр Ж.П. Экзистенциализм—это гуманизм // *Сумерки богов*, М., 1989
119. Секторский Е. В. Понятие общества в античном мире, В Журнале ФН № 4, 1992
120. Сорокина Ю. И. Введение в философию права, М., 2008
121. Современная западная философия, словарь, М., 1991
122. Сырых В. М. Теория государства и права, М., 2004
123. Теория государства и права. Под. ред. В.М. Корелского и В.Ф. Первалова М., 1998
124. Теория государства и права, под ред. М.Н. Марченко, М., 1997

125. Тишков В.А. Антропология права – начало и эволюция дисциплины.- Юридическая антропология. Закон и жизнь, М., 2000 - http://www.jurant.ru/ru/books/law_and_life/
126. Трубецкой С. Н., Курс истории древней философии, ч. II, М., 1912
127. Туманов В.А. Правовой нигилизм в историко-идеологическом ракурсе // Государство и право, 1993, №8
128. Фатьянов А.А. Воля как правовая категория // Государство и право, 2008, №4
129. Философия: Университетский курс, М., 2003
130. Франкл, В. Человек в поисках смысла, М., 1990
131. Чанышев А. Н, Аристотель, М., 1981
132. Чиркин В.Е. Основы государственной власти, М.,1996
133. Шалютин Б.С. Закон и закон (юр.) // Государство и право, 2007, №4
134. Якушев, А.В. Теория государства и права (конспект лекций), М.,2000

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ელუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.07.2009
ქალაქის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 9.4
ტირაჟი 200

ფასი სახელმწიფოებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35